

პრესომბუდსმენი A3



„სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა ყველას ვალდებულებაა" A5



მადონა მოსკოვში, „როლინგსტოუნზის" პალმაზე A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 24 ივლისი, 2006 წელი. №164 (1316)

ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი



C2

## ამბები

### პოლონეთმა ლუსტრაციის კანონი მიიღო

პოლონეთის სეიმმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, კომუნისტური სპეცსამსახურების აგენტთა სიები უნდა გამოქვეყნდეს. ლუსტრაციის შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან სამ თვეში პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტი ვალდებულია, გამოაქვეყნოს არქივში დაცული ყველა აგენტის სახელი.

A2

## სამართალი

### შსს-ს ახალი სტატისტიკა

შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი კარგა ხანია ირწმუნება, რომ ძველი, მავნე ტრადიცია დანაშაულის დაფარვისა და სტატისტიკის შელამაზებისა წარსულს ჩაბარდა. შს მინისტრი იმასაც აცხადებს, რომ საქართველოში მძიმე კატეგორიის დანაშაულები საგრძნობლად შემცირდა.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 24/07 | 25/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 37 |
| ბათუმი | 28 | 31 |
| სოხუმი | 31 | 32 |
| ქუთაისი | 34 | 33 |
| გორი | 30 | 29 |
| ონი | 25 | 23 |
| ზუგდიდი | 33 | 34 |
| ახმეტა | 37 | 36 |
| სამტრედია | 33 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.2412 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2810 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პრესომბუდსმენი | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ინტერვიუ | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# სამზადისი ომისათვის

## ასე მოჩანს საქართველო ჩრდილოეთიდან

სოფო ბუკია

ბოლო დღეების განმავლობაში რაც არ უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, რუსეთში ყველაფერს ომის სამზადისად აღიქვამენ.

მოსკოვში დარწმუნებულები არიან, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დსთ-ს ლიდერთა არაფორმალურ სამიტზე არ ჩავიდა, რადგან წინასაომარ ფუსფუსს ვერ დააღწია თავი; ხოლო ხაინდრავა მხოლოდ იმიტომ მოხსნეს, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს ხელისუფლებას ომის მომზადებაში უშლიდა ხელს.

**„ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილი პეტერბურგში დსთ-ს ლიდერთა სამიტზე არ ჩავიდა, მიუთითებს იმ საერთო განწყობაზე, რაც რუსეთის მიმართ საქართველოში არსებობს. ქართული მხარე არ აღმოჩნდა მზად, ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვიტოს პრობლემები, მათ შორის - აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, სახეზეა კრიზისი საქართველოს შიდა პოლიტიკაში. კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას თანამდებობიდან განთავისუფლება იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში „ომის პარტიის" მხარდამჭერები მძლავრობენ,"** - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ანდრეი კოკოშინმა.

იგივეს იმეორებს ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ალექსანდ ბარანოვი, რომელიც ამჟამად რუსეთ-საქართველოს საზღვართა მიმდინარე სამხედრო წვრთნებს უდგას სათავეში. ბარანოვი ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას „ძალიან დაძაბულს" უწოდებს.

რუსი ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის დსთ-ს სამიტზე ჩასვლის შემთხვევაში ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა მაინც არ მოიხსნებოდა. **„სააკაშვილის უკანასკნელმა ვიზიტმა პეტერბურგში დაადასტურა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში რაიმე პოზიტივს ამ ეტაპზე არ უნდა ველოდოთ,"** - აცხადებს რუსი მიმომხილველი ვიტალი პორტნიკოვი.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა უკვე გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება, რომ საჭიროების შემთხვევაში რუსი სამხედროები კონფლიქტის ზონებში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ნაწილებს დახმარებას აღმოუჩენენ.


გაგრძელება A2 გვერდზე


# არის თუ არა კოდორის ხეობა ემზარ კვიციანი?

ვერიკო თევზაძე

*ემზარ კვიციანი, რომლის სტატუსი დღეს „კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული" და „სახალხო ლაშქარ „მონადირის" ყოფილი სარდალია", ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებს.*

კვიციანი შინაგანად ახლაც „მონადირის" ლიდერად მიიჩნევს თავს: „აქ ჩემი ბატალიონის წევრები არიან," - აცხადებს იგი. ემზარ კვიციანის განცხადების თაობაზე თავდაცვის სამინისტრო დუმს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კირკიტაძემ. მისი თქმით, კვიციანი გენერალ დუმბაძის ბედს გაიზიარებს. კვიციანის პრობლემაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე არის თავად კოდორის ხეობის პრობლემა.


გაგრძელება A3 გვერდზე




*ემზარ კვიციანის განცხადებას კოდორის ხეობის მოსახლეობის წარმომადგენლები კრიტიკით შეხვდნენ.*

# საქართველოს ბაზარზე უმსხვილესი აზერბაიჯანული ბანკი შემოდის

B

ბანკების რეიტინგი წმინდა აქტივების მიხედვით

| | ბანკების დასახელება | წმინდა აქტივები (ათას ლარებში) | სააქციო კაპიტალი (ათას ლარებში) | სესხები/ წმინდა აქტივებთან (%) | ფასიანი ქაღალდები/ წმინდა აქტივებთან (%) | მოსახლეობის ანაბრები/მთლიან ვალდებულებებთან (%) | სამთავრობო სექტორის დეპოზიტები/ მთლიან ვალდებულებებთან (%) | საბალანსო მიმდინარე მოგება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 701160 | 97769 | 61.9 | 0.5 | 33.9 | 0.1 | 4439 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 606016 | 99179 | 59.5 | 0.8 | 24.6 | 0.9 | 4685 |
| 3 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 409675 | 40731 | 75.4 | 0.4 | 16.9 | 1.2 | 1867 |
| 4 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 361704 | 45470 | 73.9 | 0.0 | 31.4 | 0.0 | 1104 |
| 5 | სს „ბანკი ქართუ" | 245108 | 83923 | 74.4 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 3632 |
| 6 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 235463 | 35228 | 58.6 | 0.4 | 29.6 | 4.5 | 2720 |
| 7 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 95217 | 13459 | 30.9 | 1.1 | 5.9 | 18.7 | 73 |
| 8 | სსკბ „ბაზისბანკი" | 49873 | 11236 | 66.4 | 0.0 | 19.7 | 10.3 | 288 |
| 9 | სს „სტანდარტ ბანკი" | 37646 | 7764 | 69.8 | 0.0 | 8.3 | 0.1 | 426 |
| 10 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | 34110 | 6252 | 61.1 | 0.00 | 8.4 | 0.0 | 233 |
| | სულ საბანკო სექტორი | 2891471 | 493575 | 64.2 | 0.5 | 24.4 | 1.6 | 21959 |

*საქართველოში საბანკო სექტორი ერთ-ერთი მათგანია, რითაც უცხოელი ინვესტორები ყველაზე ხშირად ინტერესდებიან. ყველაზე მსხვილი კაპიტალდაბანდებებიც სწორედ ამ სფეროში ხდება. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე უცხოურმა ბანკმა საკუთარი ფილიალი გახსნა, რამდენიმე მათგანი კი წლის ბოლომდე აპირებს ქართულ საბანკო ბაზარზე გამოჩენას. ერთ-ერთი მათგანი უმსხვილესი აზერბაიჯანული ბანკი იქნება - უახლოეს მომავალში ქართულ საბანკო ბაზარზე "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" შემოვა.*

# ახალი მთავრობა - გარდაუვალი აუცილებლობა

გიორგი ასანიშვილი

მთავრობის ცვლის პროცესი, როგორც წესი, პოლიტიკური დაძაბულობის ზრდით და ოპოზიციის გააქტიურებით ხასიათდება. ამიტომაც ცდილობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, რომ მინისტრთა კაბინეტი რაც შეიძლება მოკლე დროში განაახლოს. შესაბამისი პროცედურების დასაჩქარებლად, ბიუროს სხდომები და საკომიტეტო მოსმენები შაბათ-კვირას ჩატარდა, რაც, თავისთავად, უპრეცედენტო შემთხვევაა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში.

ამასთან, „დროის მოგების" მიზნით, რამდენიმე კომიტეტის სხდომა ერთდროულად გაიმართა. ასე, მაგალითად, გუშინ, 15 საათზე, მოსმენები მოეწყო საპროცედურო საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი პოლიტიკის კომიტეტებში. ასეთი დაჩქარებული ტემპი გარკვეულ უხერხულობებს იწვევს: ვთქვათ, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის რომელიმე წევრს ამა თუ იმ მინისტრისთვის კითხვის დასმის სურვილი რომ ჰქონოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო? დარგობრივი პოლიტიკის კომიტეტში გაქცეულიყო, ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და შემდეგ ისევ თავის კომიტეტში დაბრუნებულიყო?

შექმნილ ვითარებაში სულაც არ არის გასაკვირი, რომ საკომიტეტო მოსმენებს ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს და ისინი მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, რეგლამენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ეწყობა. რაც შეეხება კომიტეტის სხდომების შინაარსობრივ მხარეს, საპარლამენტო უმრავლესობას აზრადაც არ მოსდის, მთავრობისთვის ნდობის ვოტუმის მინიჭება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, რადგან კარგად ესმის, რომ ამით მხოლოდ ქარიშხალს მოიმკის - პრეზიდენტი ურჩობას არ აპატიებთ, პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს, რაც უმრავლესობის უმრავლესობისთვის პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება (მითუმეტეს, რომ მომავალ საკანონმდებლო ორგანოში ადგილების რაოდენობა 235-დან 150-მდეა შემცირებული).


გაგრძელება A2 გვერდზე


# ანტილიბანური კამპანიის მე-13 დღე

## ახალი საავიაციო დარტყმები და მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთში

ლიბანზე ისრაელის ავიადარტყმები კვლავ გრძელდება. ისრაელის არმიამ იერიში, პირველ რიგში, საპორტო ქალაქ სიდონის ცენტრზე მიიტანა და ის მეჩეთი დაანგრია, სადაც ისრაელის დაზვერვის მონაცემებით, „ჰეზბოლას" ბოევიკები იკრიბებოდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა კი ამბობს, რომ ამ მეჩეთს თავს ლტოლვილები აფარებდნენ. იერიშის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა.

საჰაერო იერიში ისრაელმა ბეირუთის სამხრეთ ნაწილსა და ბექაას ველზეც მიიტანა. შაბათს კი ისრაელის არმიამ ლიბანის სასაზღვრო სოფელ მარუნ-ერ-რასზე კონტროლის დამყარების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. გავრცელებული ინფორმაციით, ამ სოფელს „ჰეზბოლას" ბოევიკები ისრაელზე იერიშის მიტანისთვის ძირითად ბაზად იყენებდნენ. თუმცა, კვირას კვლავ დაიბომბა ისრაელის ქალაქი ხაიფა, რომელზეც იერიში ბოევიკებმა 10 რაკეტით მიიტანეს.

ისრაელის მტკიცების მიუხედავად, რომ არ აპირებს ლიბანის ფართომასშტაბიან ოკუპაციას ხელმეორედ, ლიბანის საზღვართან უკვე დაიწყო სამხედრო ტექნიკისა და ჯარის სრული მობილიზება. პარალელურად კი ლიბანის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა ტოვებს საცხოვრებელ ადგილებს და ჩრდილოეთში ეძებს თავშესაფარს.

ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის უკიდურესად გამწვავების ფონზე მოლაპარაკებების წარმოება ისრაელის ხელისუფლებასთან აშშ-მ სამ ევროპულ ქვეყანასთან ერთად დაიწყო.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმეიერი ისრაელის თავდაცვის მინისტრს ამირ პერეცს შეხვდა, მაგრამ როგორც ჩანს საუბარმა შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ისრაელის მხარემ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაციები ლიბანში არ შეწყდება. ისრაელის ოფიციალურმა პირებმა მოგვიანებით შეხვედრები საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებების წარმომადგენლებთანაც გამართეს, მაგრამ მოლაპარაკებები ამჯერადაც უშედეგო აღმოჩნდა. რაც შეეხება აშშ-ს მხარეს, სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ევროპელ კოლეგებს საუდის არაბეთის წარმომადგენლებთან ჯორჯ ბუშის შეხვედრის დამთავრების შემდეგ შეუერთდა.


გაგრძელება A2 გვერდზე


# არასამთავრობოთა მოთხოვნა და განახლებული საპროტესტო აქციები

არასამთავრობო სექტორის ინფორმაციით, 208-ე მუხლით დაკავებულთა გათავისუფლების მოთხოვნით შეტანილი საჩივარი, უზენაესმა სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თანათავმჯდომარე მანანა კობახიძე აცხადებს, ვინაიდან სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველზე დაკავებული მოქალაქეები უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან, მათი გათავისუფლების შუამდგომლობა სასამართლომ უახლოეს ხანში უნდა განიხილოს.

**„საჩივრის განხილვის პირდაპირი ვადა სამართლებრივ ნორმაში მითითებული არ არის. თუმცა, ვინაიდან ირაკლი კაკაბაძე და მისივე თანაგუნდელები თავისუფლებააღკვეთილები არიან, სასამართლოს ჩვენი მოთხოვნის გაჭიანურების უფლება არ გააჩნია. საჩივარზე უზენაესმა სასამართლომ რეაგირება სასწრაფოდ უნდა მოახდინოს",** - აცხადებს მანანა კობახიძე.

როგორც ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით დაკავებულ პირთა გათავისუფლების მოთხოვნით, უზენაეს სასამართლოს 21 ივლისს მიმართეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამავე ორგანიზაციის სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმის საბოლოო განხილვამდე 208-ე მუხლის მოქმედება დროებით შეაჩერა და ამით, 208-ე მუხლით დაკავებულებს გასაჩივრების საშუალება მიეცათ.

მოსარჩელეების მოთხოვნით, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის მიერ მიღებული განკარგულება, რომლითაც, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის" 5 წევრს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა შეეფარდათ.


გაგრძელება A4 გვერდზე

# ახალი მთავრობა - გარდაუვალი აუცილებლობა

პირველი გვერდიდან

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ნოღაიდელის ახალი კაბინეტის წევრებს სახელისუფლებო ფრაქციისგან მხარდაჭერა, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვთ.

თუმცა, ზოგიერთ „ნაციონალს" უკმაყოფილება მაინც ეტყობა. მაგალითად, ელენე თევდორაძეს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ვანო მერაბიშვილის კანდიდატურის ხელახალი დასახელება ნამდვილად არ სიამოვნებს, მაგრამ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგომას მაინც ვერ ბედავს და პროტესტს ხმამაღლა არ გამოთქვამს. ამ კატეგორიის დეპუტატების არგუმენტები დაახლოებით ასე ჟღერს: შესაძლოა, ესა თუ ის მინისტრი არ მომწონს, მაგრამ მთავრობა, მთლიანობაში, ნორმალურია. ამიტომ, ცალკეულ უარყოფით ფიგურებს კარგ კაბინეტს ვერ გადავაყოლებ.

ადამინის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილთან თავის დამოკიდებულებას საკმაოდ ზოგადად გადმოსცემს. **„ჩემი აზრით, ამ ადამიანმა ძალიან ბევრი კარგი რამ გააკეთა და ამასთან, ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. მერაბიშვილმა თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და საქმე ბოლომდე ისე მიიყვანოს, რომ საზოგადოება ან ერთში დაარწმუნოს, ან - მეორეში. თუ იგი ამას ვერ შეძლებს და, სამწუხაროდ, ასეთ ნიშნებს, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ, მაშინ თანამდებობიდან თვითონ უნდა წავიდეს,"** - შინაგან საქმეთა მინისტრისთვის „გამოსაცდელი ვადის" დაწესების მომხრეა პარლამენტარი.

თევდორაძისგან განსხვავებით, რომელიც სათქმელს ბოლომდე არ ამბობს, აშკარად პოზიორობს თამაზ ხიდეშელი. შაბათს, ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე იმუქრებოდა, რომ მთავრობის ახალ შემადგენლობას მხარს არ დაუჭერდა, თუ საკომიტეტო მოსმენის დროს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია არ მოეწონებოდა. ამ განცხადებიდან ორიოდე საათის შემდეგ კი თამაზ ხიდეშელი ახალ სამთავრობო გუნდზე უკვე აღტაცებით საუბრობდა და მათი მისამართით დითირამბებს არ იშურებდა...

საკომიტეტო მოსმენებზე ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებს თავი მაინცადამაინც არ გამოუდვიათ. მათი პასიურობა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ კომიტეტის სხდომებს არ დასწრებია მთავრობის ორი საკვანძო ფიგურა: თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

ამ ფაქტს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი ასეთ ახსნას აძლევს: **„რომელი მინისტრი დაესწრება საკომიტეტო მოსმენას, ეს საკითხი თავად ამა თუ იმ კომიტეტის განაცხადის მიხედვით წყდება. კომიტეტებიდან რა განაცხადებიც იყო შემოსული, შესაბამისად, სხდომებზეც ის მინისტრები გამოცხადდნენ".**

ასე რომ, შაბათ-კვირას პარლამენტში ოქრუაშვილისა და მერაბიშვილის არყოფნა მთლიანად იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ხელმძღვანელთა „დამსახურებაა"...

მთავრობის შემადგენლობის ფორმირების პროცესი პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე გაგრძელდება, ახალი კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი კი ხვალ კენჭისყრით დასრულდება.

# ანტილიბანური კამპანიის მე-13 დღე

არაბული მხარე უკმაყოფილებას არ მალავს აშშ-ს მიერ ისრაელის აქტიურად მხარდაჭერის გამო ახლო აღმოსავლეთის კრიზისში.

კონფლიქტის რეგულირების მოლაპარაკების პარალელურად კი ისრაელი აშშ-ს იმ იარაღის სასწრაფოდ მიწოდებას სთხოვს, რომელიც ოფიციალური ვაშინგტონისგან მან ჯერ კიდევ გასულ წელს შეისყიდა. თანაც ამ თხოვნით ოფიციალური თელავივი უმთავრეს მოკავშირეს ლიბანში უკვე სამხედრო ოპერაციების დაწყების დღიდან მიმართავს. ისრაელი ამერიკული იარაღის უმსხვილესი შემსყიდველია.

„ჰეზბოლას" წინააღმდეგ დაწყებულ ისრაელის კამპანიას უკვე 350 ლიბანელისა და 40-ზე მეტი ისრაელელის სიცოცხლე შეეწირა.

გაერო-ს ჰუმანიტარული პროგრამების კოორდინატორმა იან ეგელანმა თავად მოინახულა საავიაცო დარტყმების შედეგად განადგურებული ადგილები ლიბანში. მისი თქმით, ლიბანის დაბომბვით ისრაელმა საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმები დაარღვია. ჰუმანიტარული ოპერაციის ორგანიზების მიზნით ეგელანი ლიბანის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრასაც აპირებს. ამ ოპერაციის დაწყებისთვის კი საჭირო გახდება ისრაელის მიერ ჰუმანიტარული დერეფნების გახსნა, რაზეც ისრაელის მხარე თანხმდება. ისრაელის ოფიციალურ პირთა განცხადებით, ისინი მზად არიან შეამცირონ ლიბანის სანაპირო რაიონების ბლოკადის მასშტაბები, რათა ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთულმა გემებმა ბეირუთის პორტში შეაღწიონ. უკვე ლიბანში ჩატანილი ტვირთის განაწილება კი რთული ხდება განადგურებული გზებისა და ხიდების გამო. **ბი-ბი-სი**


# საკონკურსო განაცხადი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს ქვემოთჩამოთვლილი ლაბორატორიების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად:**

**1. ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული**

**2. ლ. ჯაფარიძის სახ. დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**3. არაწყალხსნართა ელექტროქიმიის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**4. ლღობილთა ელექტროლიზის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**5. რადიაციული ქიმიის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**6. ნ. ლანდიას სახ. თერმოქიმიის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**7. კატალიზის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**8. ადგილობრივი წიაღისეულისა და მინერალური ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**9. არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორია (0,5 საშტატო ერთეული).**

**10. რ. დოლონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**11. მყარი სათბობების ქიმიისა და ტექნოლოგიის ლაბორატორია (1 საშტატო ერთეული).**

**12. ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია (0,5 საშტატო ერთეული).**

**საკონკურსო განაცხადების მიღების ვადა იწურება 25 აგვისტოს 17 საათზე.**

**დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (www.gnsf.ge) ვებ-გვერდზე.**

**მისამართი: მინდელის ქ. 11, 0186, თბილისი.**

**ტელეფონები: 32-46-01**
**32-17-55**
**32-54-96**
**ფაქსი: 329164, E-mail: japelch@geo.net.ge.**
**საკონტაქტო პირი თინა ლეჟავა**

# განცხადება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიცვალა მისამართი და გადავიდა ახალ შენობაში. სატენდერო მოსაკრებლის, საკვალიფიკაციო მონაცემების, სატენდერო დოკუმენტაციის შემოტანა და სატენდერო კომისიის მუშაობა 2006 წლის 24 ივლისიდან გარძელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ძმები ზუბალაშვილების N32 (შესასვლელი არსენა ოძელაშვილის ქ. N21).


# სამაჩაბლოს ომისათვის - ასე მოჩანს საქართველო ჩრდილოეთიდან

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკა აცხადებს, რომ ქართულ აგრესიას სხვისი დახმარების გარეშეც მოიგერიებს. როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ირწმუნება, სამხედრო ჩარევის შემთხვევაში საქართველო „ძალიან მკაცრ" წინააღმდეგობას წააწყდება. სხვა არაღიარებული რესპუბლიკები მზად არიან, სამხრეთ ოსეთს დახმარება აღმოუჩინონ. დნესტრისპირეთი მზადყოფნას აცხადებს, საჭიროების შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთში საკუთარი სამშვიდობო კონტინგენტი გააგზავნოს. „ლენტა.რუ"-ს ინფორმაციით კი, აფხაზეთში უკვე დაიწყეს მოხალისეთა ბატალიონების დაკომპლექტება, რომლებიც სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ცხინვალის რეგიონში გაემგზავრებიან.

მანამდე მოძმე ხალხის მხარდაჭერის მზადყოფნა ჩრდილოეთ ოსეთმაც გამოხატა. ბესლანის საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელმა მაიარბეკ ტუაევმა აღნიშნა, რომ **„თუ საქართველო სამხედრო პროვოკაციაზე წავა, ჩრდილოეთ ოსეთი საკუთარი ძალების მობილიზებას მოახდენს"**. ტუაევის განცხადებით, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი გარდაუვალია, რადგან, მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილისა და ჯორჯ ბუშის უკანასკნელ შეხვედრაზე ვაშინგტონში, აშშ-ს პრეზიდენტმა სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყების სანქცია გასცა.

კონფლიქტს მოსალოდნელად მიიჩნევს დამოუკიდებელი რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი. მისი თქმით, თუ საქართველომ ცხინვალში საომარი მოქმედებები 27 ივლისისთვის არ დაიწყო, მაშინ, შესაძლოა, შეიარაღებული კონფლიქტი საერთოდ არ მოხდეს. **„შემოდგომაზე და ზამთარში საბრძოლო მოქმედებები გართულდება. სიტუაციის გართულება მოსალოდნელია უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში,"** - მიიჩნევს ფელგენგაუერი.

პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი სერგეი მიხეევი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების გაჩაღებას არც რუსეთი და არც დასავლეთი არ დაუშვებს. **„საქართველო დაინტერესებულია კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციით, მაგრამ აშშ-ს დღეს საქართველოსთვის სულ არ ცხელა. აშშ-ს ეყოფა ირანი, ერაყი, ავღანეთი, ლიბანი... საქართველოში ომიღა აკლიათ!.. კონფლიქტში არც ევროპა ჩაერთვება. მათ ხელს არ აძლევთ ომი საქართველოში, რადგან დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი... ასე რომ, საქართველო არაადეკვატურად იქცევა. ასეთ ვითარებაში კრემლთან და, კერძოდ კი, პუტინთან ულტიმატუმებით საუბარი შეუძლებელია,"** - აცხადებს მიხეევი.

# არის თუ არა კოდორის ხეობა ემზარ კვიციანი?

პირველი გვერდიდან

მთავარი შეკითხვა შემდეგში მდგომარეობს: როგორ უნდა მოახერხოს ხელისუფლებამ იქ სიტუაციის დარეგულირება ისე, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა უსაფრთხოება და ინტერესები იყოს დაცული, თანაც ისე, რომ ამ ფუნქციას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული რომელიმე ქვედანაყოფი ასრულებდეს?

„მონადირის" შექმნის წინაპირობა ჯერ კიდევ აფხაზეთის დაკარგვის დღეებიდან გაჩნდა. მაშინ იგი არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება იყო. მოგვიანებით, დავით თევზაძის მინისტრობის დროს, „მონადირე" გარდაიქმნა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ქვედანაყოფად.

იმ ხანებში კოდორში, სვანეთსა და ხევსურეთში ადგილობრივი მოსახლეობის ბაზაზე [illegible] კოდორის ხეობაში მოქმედება.

ოფიციალური გადაწყვეტილება „მონადირის" გაუქმების შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 2005 წელს მიიღო. ამას მოჰყვა ხმაური და მღელვარება. იქაურმა მოსახლეობამ პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, რომ ქვედანაყოფს ფუნქციონირება არ შეეწყვიტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ხეობის დატოვებას აპირებდნენ.

პრობლემის მოგვარებისას აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა მინისტრ ოქრუაშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის. ალასანია მაშინ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე იყო. ირაკლი ალასანია „მონადირის" მოდერნიზების იდეით გამოვიდა. ორ სახელმწიფო მოხელეს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი „მონადირის" გა- [illegible] არსებობის აუცილებლობაში არწმუნებს.

ექსპერტის სამხედრო საკითხებში, „მემარჯვენეთა" წარმომადგენლის, გიორგი თავდგირიძის აზრით, ოქრუაშვილს ემზარ კვიციანის „მონადირე" იმ სახით, რომლითაც არსებობდა, უნდა გაეუქმებინა, მაგრამ აუცილებლად უნდა მომხდარიყო ჩანაცვლება სხვა ფორმალური დანაყოფით. **„საქართველოში სახალხო ლაშქრის არსებობა წარმოადგენს პრობლემას. დაჯგუფებას სხვა ფორმა უნდა მიეღო. იგი არ უნდა ყოფილიყო ერთი პირის გარშემო შექმნილი გაერთიანება".**

თავდგირიძის აზრით, კვიციანი, გასაგები მიზეზების გამო, ახერხებს კოდორის მოსახლეობის ემოციებით მანიპულირებას. **„კოდორის ხეობა თბილისის ცენტრალური ხელისუფლებისაგან ყურადღებას არის მოკლებული,"** - აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

[illegible] ლება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში არსებული დაჯგუფებით მოხდება.

დავით კირკიტაძის მიერ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის" მიცემულ კომენტარში ნათქვამია: **„იარაღი, რომლის მცირე ნაწილია დარჩენილი კოდორის ხეობაში, თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის და ყველას ვარწმუნებ, რომ იარაღი თავდაცვის სამინისტროს საცავებში შეინახება."** გამოდის, რომ კვიციანი ქაღალდზე გაუქმებულ თავის არაფორმალურ დაჯგუფებას ვერ ელევა.

გუშინ ემზარ კვიციანის განცხადებას კოდორის ხეობის მოსახლეობის წარმომადგენლები კრიტიკით შეხვდნენ. მათ შორის იყო კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეც.

ექსპერტები და პოლიტოლოგები, [illegible]




## მოკლედ

### ურთიერთობების სრული სპექტრი და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის შეხვედრა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან პიტერ სემნებისთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი პატრისია ჰილდეგარდ ფლორი (გერმანია არის ევროკავშირის შემდგომი თავმჯდომარე ქვეყანა).

შეხვედრაზე განიხილეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს სამოქმედო გეგმის შესათანხმებელი მოლაპარაკებების აქტუალური მდგომარეობა, იმსჯელეს საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების და ამ პროცესში ევროკავშირის როლის შესაძლო გაძლიერების პესრპექტივაზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ბოლო დროს შექმნილ სიტუაციაზე.

გელა ბეჟუაშვილმა მადლიერების გრძნობით ხაზი გაუსვა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის 2006 წლის 20 ივლისის განცხადებას, სადაც ევროკავშირი ადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის მიმართ, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების დაცვით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კმაყოფილებით აღნიშნა ევროკავშირის დადებითი პოზიცია უახლოეს მომავალში გაერო-ს ფაქტების შემსწავლელი მისიის გაგზავნასთან მიმართებაში აფხაზეთში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესაძლო განლაგებასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სრული სპექტრი და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. ქართული მხარე მიესალმა ევროკავშირის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და აქტიურად ითანამშრომლოს ამ მიზნით მიმდინარე სამშვიდობო პროცესებში. **მედიანიუსი**

### ბათუმი და ტრაპზონის გუბერნია თანამშრომლობას იწყებენ

„მალე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც აჭარასა და ტრაპზონის გუბერნიას შორის თანამშრომლობის დეტალებზე იმუშავებს",- ამის შესახებ ბათუმში ვიზიტით მყოფმა ტრაპიზონის გუბერნატორმა ჰუსეინ იავუზდემირმა განაცხადა, რომელიც, 20-კაციანი დელეგაციით, ბათუმში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

დელეგაციის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ბათუმის აეროპორტის ამოქმედება კონკურენციას არ გაუწევს ტრაბზონის აეროპორტის ფუნქციონირებას.

დელეგაციის წარმომადგენლები აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს შეხვდნენ. შეხვედრაზე განათლებისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გეგმებსა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე ისაუბრეს.

„ბათუმში ეს ჩემი მესამე ვიზიტია. ძალიან კმაყოფილი ვარ. უმოკლეს დროში ბევრი სასიკეთო ცვლილება ვნახე. აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივაზე ვესაუბრე. მალე შეიქმნება სპეციალური მუშა ჯგუფი, რომელიც ამ თანამშრომლობის დეტალებს უფრო კონკრეტულად დააზუსტებს", - განაცხადა ჰუსეინ იავუზდემირმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პოლონეთმა ლუსტრაციის კანონი მიიღო

პოლონეთის სეიმმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, კომუნისტური სპეცსამსახურების აგენტთა სიები უნდა გამოქვეყნდეს. ლუსტრაციის შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან სამ თვეში პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტი ვალდებულია, გამოაქვეყნოს არქივში დაცული ყველა აგენტის სახელი.

კანონის თანახმად, მნიშვნელოვნად იზრდება იმ თანამდებობების რაოდენობა, რომელთა დაკავებამდე ადამიანმა ე.წ. ლუსტრაციის განცხადება უნდა შეავსოს. ამგვარ განცხადებას შეავსებენ თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, დიპლომატები, ჟურნალისტები, ნოტარიუსები და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები.

ყველა ამ ადამიანმა უნდა მიიღოს ოფიციალური სერტიფიკატი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თანამშრომლობდა თუ არა კონკრეტული პიროვნება სპეცსამსახურებთან. შესაბამის დოკუმენტს პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტი გასცემს. თუ სერტიფიკატში მითითებული იქნება, რომ კონკრეტული ადამიანი ოდესღაც იყო საიდუმლო პოლიციის აგენტი, ეს იქნება სავსებით საკმარისი საფუძველი სამსახურიდან განთავისუფლებისათვის.

ამ კანონის წინააღმდეგ პოლონეთის სეიმში მხოლოდ პოსტკომუნისტი-დეპუტატები გამოდიოდნენ.

უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა კონსერვატიულმა პარტიამ „კანონი და სამართლიანობა" ყველა სტრუქტურიდან ყოფილი კომუნისტების თანამდებობიდან დათხოვნა საკუთარ პრიორიტეტად აქცია. პოლონეთში, ლუსტრაციის უკანასკნელი მსხვერპლი, ივნისის ბოლოს, ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ზიგა გილევსკა გახდა. მას სოციალიზმის პერიოდში სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა ედებოდა ბრალად. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თეზგიზ ქიროა, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

შესანიშნავად ჟღერს — „პოლიტიკური სპექტრი“! თვალწინ იმწამსვე რაღაც ცისარტყელასავით ფერადოვანი დაგიდგება. სოლიდური ცნებაა, ვერაფერს იტყვი... საქმიანობაც და ინტერესების სფეროც ასევე ფართო, ღრმა და სოლიდური აქვთ მასში შემავალ ელემენტებს — პარტიებს, ფრაქციებს, ცალკეულ ადამიანებს. ამ ბოლო დროს, მაგალითად, ფილოლოგიური ანალიზი იპყრობს მათ გონებას: მმართველი უმრავლესობა სინქრონულ რეჟიმში მუშაობს და ქართულ-რუსულ სიტყვიერ პროდუქციაში პარალელებს იკვლევს; ოპოზიციას კვლევის დიაქრონული რეჟიმი აურჩევია და ერთმანეთს უდარებს მმართველი უმრავლესობის მიერ სხვადასხვა დროში მიღებულ წერილობით დოკუმენტებს.

ამ საყოველთაო გატაცებაში ერთი ფრაზა მიგვაჩნია ყველაზე ნიშანდობლივად: „**საქართველოში არგენტინის საფეხბურთო გუნდის გულშემატკივართა რიცხვმა მას შემდეგ იკლო, რაც ქართველმა ხალხმა გაიგო, რომ ბოკერია არგენტინას ქომაგობდა**“ („24 საათი“, 21 ივლისი). ეს წინადადება, რომლის ავტორია **კობა დავითაშვილი**, შეიძლება ავირჩიოთ სიმბოლოდ, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს ჩვენში გაბატონებული აზროვნების ხასიათსა და დონეს. რას ვგულისხმობ? — შევეცადოთ აღვწეროთ საზოგადოება, სადაც დავითაშვილის მიერ დახატული სურათი შეიძლება განხორციელდეს.

1. ასეთი საზოგადოება უაღრესად ერთსულოვანი უნდა იყოს: იმდენად, რომ უკვე ერთსულოვნებაზე საუბარიც უხერხულია, რადგან ამგვარი ქცევა უფრო გამრავლების ინსტინქტით შეპყრობილი კალიების ან ნემსიყლაპიების გუნდს უფრო შეეფერება, ვიდრე მთელი ერის სოციალურ სტრუქტურას. ერთსულოვნება, რომლის განსახორციელებლად აუცილებელი პირობაა სულის არარსებობა! სხვანაირად, აბა, როგორ უნდა მოხდეს ასეთი ძლიერი კორელაცია ორ სიმრავლეს შორის, რომელთაგან ერთი ბოკერიას მოძულეთაგან შედგება, მეორეში კი არგენტინის გულშემატკივრები შედიან. დიდი რიცხვების კანონი მოითხოვს, რომ ამგვარი საზოგადოება ან უსულო ავტომატებისაგან უნდა შედგებოდეს, ან ძალიან მცირერიცხოვანი უნდა იყოს.

2. ამის მთქმელს აუცილებლად ხელთ უნდა ჰქონდეს სოციალურ კვლევათა მუდმივად მოქმედი და სარწმუნო მექანიზმი. ასეთი მექანიზმი კი მხოლოდ ერთ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს: სოფლის თემში. სოციალურ კვლევათა ფორმას და, შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლის საფუძველს აქ მოარული ჭორებითაა წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში შეიძლება მოხდეს, რომ არგენტინის ექვსი გულშემატკივრიდან ორს გულზე არ ეხატებოდეს ბოკერია: ეს კი უკვე კლების 33 პროცენტია!

3. ამის მთქმელი აუცილებლად უნდა გრძნობდეს თავს სოფლური თემის ერთ-ერთ ლიდერად თუ არა, გამორჩეულ პიროვნებად მაინც — ერთგვარ „ციციკორედ“. სწორედ ამგვარად წარმოუდგენიათ ოპოზიციონერებს ქართველი საზოგადოება და საკუთარი ადგილი მასში: სოფლური თემი, სადაც საფიხვნოზე დამსხდართ თავიანთი „გზიანი სიტყვა“ უნდა ჰქონდეთ.

რა თქმა უნდა, დავითაშვილის მიერ ჩვეულებისამებრ როყიოდ წამოსროლილი წინადადება ერთობ სუსტი საფუძველია მსგავსი შორს მიმავალი დასკვნის გასაკეთებლად, მაგრამ არ მითქვამს, საფუძველია-მეთქი. თუ თვალს აღმა აჰყოლებთ სტრიქონებს, იპოვით ადგილს, სადაც ვამბობ, რომ ეს წინადადება მხოლოდ სიმბოლოა, მაგრამ ადეკვატური სიმბოლო. ახლა კი უფრო სერიოზული ტექსტი განვიხილოთ.

სტატიას, რომელზედაც მოგახსენებთ, ერთობ გრძელი სათაური აქვს: *პასუხი „ხელისუფლების სიძულვილით დაბრმავებული ოპოზიციონერისაგან“, ანუ რამდენიმე მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არ შეუერთდა ოპოზიცია მორიგ აქამდე არნახულ, არგაგონილ და „ისტორიულ“ აქციას* („24 საათი“, 20 ივლისი). პოლიტიკური ბაროკოს ეს ნიმუში ეკუთვნის თინათინ ხიდაშელს, ადამიანს, რომელმაც 2003 წლის ნოემბერში ანტიკორუფციული საბჭოს გაუქმება შემდეგი სიტყვებით გაამართლა: „**ამ ხალხს კონტროლი არ სჭირდება**“, — ხოლო თავისივე განცხადების კატეგორიულობას ასეთი გამართლება მოუძებნა: „საქართველოში არავის მოეპოვება საკმარისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ეს სიტყვები გაიხსენოს“. ახლა ქალბატონი ხიდაშელი ასეთ რამეს გვეუბნება: „**ამ ქვეყანაში ხალხი ბრძენია და პოლიტიკური მეხსიერება ცოცხალი. იმის მიუხედავად, ჟურნალისტები ამას გაიხსენებენ თუ არა ... „პატრიოტებს“ საკუთარი პოლიტიკური ისტორიის შეხსენებას არასოდეს დავზარდები**“. არც ჩვენ გვჭირს სკლეროზი და სიზარმაცე, თუმცა კი მნიშვნელოვნად სხვა რამ მიგვაჩნია: პოლიტიკა რეალობის ხელოვნებაა, აქ წარსულს მნიშვნელობა არა აქვს. ვინმეს შეიძლება ეგონოს, მმართველი უმრავლესობის მხარდაჭერა ჩემთვის თვითმიზანია — უბრალოდ, არ მიყვარს, როცა მეუბნებიან, ბრძენი ხარო, და ამავე დროს სულელად მრაცხენ. პოლიტიკური წარსულის ჯურღმულებში ხელის ფათურს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ოპონირების მეტად არაპროდუქტიული ხერხია და მხოლოდ იმ სოციუმში შეიძლება იყოს რელევანტური, სადაც შერჩევის საფუძველი ეფექტურობაზე მეტად „შეუმცდარობაა“, ანუ ისევ და ისევ სოფლის თემში, რომლის ფარგლებში ნდობის კრედიტს არა აკადემიური ან ინსტიტუციური კრიტერიუმები განსაზღვრავს, არამედ ის გარემოება, რომ კანდიდატს „ჯერ არაფერი შეშლია“.

მაგრამ თინათინ ხიდაშელის სტატიაში, კიდევ უფრო საინტერესო მომენტებიც მოიპოვება.

1. პარლამენტის 2006 წლის 15 ივლისის დადგენილება იმეორებს 2005 წლის 11 ოქტომბრისა და 2006 წლის 15 თებერვლის დადგენილებებს — ახალი არაფერია ნათქვამი, ზოგან კი ძველიც შერბილებულია. ძველები ამბობდნენ, წვეთი ქვას ძალით კი არა, ხშირი ვარდნით ხვრეტსო. მაინც რატომ უნდა მივიჩნიოთ ნაკლად ის, რომ საქართველოს პარლამენტი რუსი სამშვიდობოების მიმართ მტკიცე თანმიმდევრულობას იჩენს და ამდენი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე აზრს გამოთქვამს? — საყვედურის მთავარი პათოსი შემდეგია: დადგენილება არაა არნახული და არგაგონილიო. ნურც იქნება — მთავარი სხვაა: არავინ გთხოვთ, უწოდოთ ამ დადგენილებას „ისტორიული“, მით უმეტეს, რომ პარლამენტის ყველა დადგენილება, როგორი რუტინულიც არ უნდა იყოს, ისტორიულია, რადგან ისტორია საზოგადოების განდიდების მანიის დამადასტურებელი ბოდვა კი არა, მისი ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი დავთარია. ამ თვალსაზრისით კი ისტორიაში ჩაიწერება ისიც, რომ დროის გარკვეულ მომენტში კონკრეტულმა ადამიანებმა (რომელთაც საკანონმდებლო მოღვაწეობა ხალხის მიერ არჩევნებზე გამოხატული ნებით ევალებოდათ) უარი თქვეს პარლამენტის თანმიმდევრულ პოლიტიკაში მონაწილეობაზე. ეს თანმიმდევრული პოლიტიკა და უმრავლესობის „პიარი“ არანაირად არაა ერთი და იგივე... გამოთქმა „პიარისთვის სჭირდებათ“ არაადეკვატურია. უფრო სწორია „პიარისთვის იყენებენ“. გამოყენებულის მნიშვნელობა კი „პიარისაგან“ დამოუკიდებელია და მას დრო განსაზღვრავს.

სხვათა შორის, სიტყვას „პიარი“ ჩვენში ისევე არასწორად იყენებენ, როგორც ოდესღაც სიტყვას „ინტრიგანი“. ეს უკანასკნელი საკუთარი გამორჩენისთვის ჩახლართული ვითარებების შემქმნელს ნიშნავს, და არა „სიმართლისათვის არამკითხე მებრძოლს“, როგორც ეს ჩვენში ესმოდათ. ასევე „პიარი“ საზოგადოებასთან ურთიერთობაა (PR — public relations) და არა საზოგადოების მოტყუება და გაბოლება. ბოლოს და ბოლოს, თვით ხიდაშელის სტატია სხვა არაფერია, თუ არა „პიარი“.

2. დადგენილების გამომუშავებაში მონაწილეობაზე ოპოზიციის უარი განპირობებულია ქვეყანაში გამეფებული უსამართლობით. სამართლიანობის დაცვა დიდად საშური საქმეა. მაგრამ საკითხავი სხვა რამეა: სასწორის ერთ პინაზე დევს რუსი სამშვიდობოების სტატუსის საკითხი და საქართველოს გათავისუფლება კონფლიქტებისაგან, მეორეზე კი ერთ-ერთ სამინისტროში ჩაბუდებული „ატმაროზკების“ ნეიტრალიზაცია. არის თუ არა ეს საკითხები თანაზომადი? განაპირობებენ თუ არა ისინი ერთმანეთს? სოფლის თემში მცხოვრებმა შეიძლება თქვას, მაგასთან ნადში რა წამიყვან, მაგის ბიჭმა ჩემს გოგოს უჩქმიტაო. მაგრამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებში ამგვარი სტრატეგია არა მარტო გაუგებარია, მავნებელიცაა, რადგან სამართლიან საქმეებში მონაწილეობისგან თავის არიდება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას ბღალავს. თანაც ისინი, ვისაც სახელმწიფოს მართვაზე აქვთ პრეტენზია, ყველაფრისთვის უნდა ნახულობდნენ დროს, პოლიტიკურ ვითარებას მთელი მისი ავ-კარგიანობით უნდა ხედავდნენ და მთელი არსებით არ უნდა „იციკლებოდნენ“ საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც ნაწილობრივ მომენტებზე.

სხვათა შორის, არც მმართველი ჯგუფია თავისუფალი რეალობისადმი ამგვარი სოფლური მიდგომისაგან: გაუთავებელი კივილი იმაზე, რომ ოპოზიცია „რუსეთთანაა შეკრული“, სწორედ ამის მაჩვენებელია. აი, გაზეთშიც დაიწერა, რომ ბოკერიამ რუსებს ურჩია, ჩვენი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს ფულს ნუ ახარჯავთო. იქნებ ყოველივე ამას სჯობდეს თუ გახსნილი საქმე არა, ერთი კვალიფიცირებული და დამაჯერებელი ანალიზი? მაგრამ პროფესიონალიზმის დეფიციტი და საქმის ბოლომდე მიყვანის უუნარობა აქაც ხშირი სტუმარია.

და კიდევ — სოფლური თემის შესაბამის ეთიკურ მასშტაბებს მხოლოდ პოლიტიკოსები არ გვახვევენ თავზე. საინტერესოა, რომ **ნინია კაკაბაძე** 21 ივლისის ნომერში სწორედ ამ ტერმინებით იწყებს საზოგადოების შეფასებას: „**ვინც საკუთარ თავს საზოგადოების წარმომადგენლად თვლის, ის არ არის საზოგადოება** (ჰმ! — ნ. ლ.). **საზოგადოება არის უბრალო გლეხი, რომელმაც არ შეისწავლა კანტი და ჰეგელი, არ გამოჩნდა ტელევიზორში, არ დაწერა არაფერი... მას მხოლოდ იმის უნარი აქვს, დაინახოს და ყველაზე ზუსტად შეაფასოს უსამართლობა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი საზოგადოება არის**“. „ასეთი საზოგადოება არსებობს“ თუ „ასეთი საზოგადოება არის“? — სხვა სიტყვებით, უნდა დავაზუსტოთ, რას გულისხმობს ავტორი: იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს გაუნათლებელი, უცნობი, მაგრამ ერთადერთი ჭეშმარიტი ეთიკური საზომის მატარებელი ჯგუფი, თუ იმას, რომ გაუნათლებლობა და მასთან შეხამებული მაღალი ზნეობრიობა არის ჩვენი საზოგადოების ძირითადი მახასიათებელი? მეორე მხრივ, გაუგებარია, როგორ გაატარებენ თუნდაც ძალიან მაღალ და საამაყო ეთიკურ პრინციპებს ისინი, ვისაც მათი განზოგადებულად და დამაჯერებლად გამოხატვისათვის საკმარისი უნარი არ გააჩნიათ (არ შეუსწავლიათ ფილოსოფია), საყოველთაო მასშტაბში გასავრცელებლად კი — შესაძლებლობა (არ გამოჩენილან ტელევიზორში, არ დაუწერიათ არაფერი)?

ამ თვალსაზრისით ერთი ინტელიგენტური მითი მახსენდება. ასე, ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ იყო თბილისში გამეფებული, თუმცა რეალურად მის განხორციელებას არავინ ესწრაფოდა: სოფლიდან ჩამოყვანილი ცოლი, როგორც ზნეობის ნიმუში. საშუალო და საშუალოზე დაბალი ხარისხის ინტელიგენტები ამ მითში თავიანთ ფარულ ზრახვებს ეალერსებოდნენ: ზნეობრივი იგია, ვისაც ყველანაირად ხმარობ და ხმას ვერ გცემს, ფეხებს გბანს და ნაბან წყალს სვამს.

ნინია კაკაბაძის რისხვას შემდეგი მოვლენა იწვევს: ჟურნალ „სახეების“ პრეზენტაციაზე გამოჩნდა **გურამ დონაძე**, მაგრამ მიუხედავად ამისა, „**პრეზენტაციაზე შეკრებილი ათასამდე ადამიანიდან არავინ დატოვა დაჯილდოების ცერემონიალი. მხოლოდ თითო-ოროლამ თქვა უარი გურამ დონაძესთან ერთად მუქთა ჭამაზე**“. ნეტა, სხვა რა უნდა მომხდარიყო? — ათასივეს ერთსულოვნად უნდა დაეტოვებინა დარბაზი? თუ დონაძე უნდა გაეყვანათ „ქორთიარდ მერიოტიდან“ და ლეონიძის ქუჩიდან ამონგრეული ქვაფენილით ჩაექოლათ მერიის წინ? რეალურად როგორ უნდა განხორციელდეს ან ერთი ან მეორე სოციუმში, რომელიც ობიექტურად უკვე აღარ არის სოფლური თემი? — სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ რაოდენობის გამო, ისევ და ისევ დიდი რიცხვების კანონის წყალობით.

## მომავალ ორშაბათამდე!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების“ ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისათვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის გამზ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

მოკლედ

## ელენე თევდორაძე იუსტიციის მინისტრის მუშაობით უკმაყოფილოა

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის მუშაობით უკმაყოფილოა.

„ნამდვილად არ მომწონს, რომ იუსტიციის მინისტრი ვერ ახერხებს სასჯელაღსრულების სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ კრიტიკას ბაჩო ახალაიასთან ერთად პოლიტიკურ ასპექტში იუსტიციის მინისტრიც უნდა იზიარებდეს“,-აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარე. არადა, იუსტიციის მინისტრი სამინისტროს წარმატებული მუშაობის დამადასტურებლად აცხადებს, რომ ვადამდელი აღსრულების საკითხში სამინისტრომ წინ წაიწია და ამგვარი საქმეების რაოდენობა 7-დან 46 პროცენტამდე გაიზარდა. *ჯი-ეიჩ-ენი*

## გვიჩიანის საქმის განხილვა დასასრულს უახლოვდება

დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლო „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველის გიორგი გვიჩიანის საქმის განხილვას განაახლებს.

როგორც გვიჩიანის ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე აცხადებს, დღეს სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევას განაახლებს, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, დაცვის მხარის მიერ სასამართლოზე მოწვეულ მოწმეთა დაკითხვა უნდა მოხდეს.

მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ, სასამართლო დასკვნით ეტაპზე - მხარეთა შორის კამათზე უნდა გადავიდეს, რის შემდეგაც მოსამართლე ნინო სანდოძე „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთასა და შესრულებაში ბრალდებულებს გიორგი გვიჩიანს, ნიკოლოზ ჩემიასა და ავთანდილ ხერკელაძეს განაჩენს გამოუტანს. განსასჯელებს, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, 20 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

გვიჩიანი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისი დაკავება ძმების - ნუგზარ და ნოდარ გვიჩიანების ანგარიშსწორებას უკავშირდება. სწორედ ნოდარ გვიჩიანის ჩვენების საფუძველზე დააკავა გამოძიებამ გიორგი გვიჩიანი. *ინტერპრესნიუსი*

## კონსულტაციები გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისგან

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) პროექტის „საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“ ფარგლებში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კონფერენცია ჩატარდა.

კონფერენციის მიზანი, ხუთი წლის განმავლობაში სამთავრობო თუ კერძო სექტორში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გამოყენებასთან დაკავშირებით დაგროვილი გამოცდილების გაზიარება და იმ პრობლემების განხილვა გახლდათ, რომელიც აღნიშნული კოდექსის დამკვიდრებას უკავშირდება.

ღონისძიებაზე მომხსენებლებად მიწვეულნი იყვნენ იუსტიციისა და გარემოს დაცვის მინისტრები, პარლამენტის წევრები, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მოსამართლეები და სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე წამოჭრილი და განხილული საკითხების შედეგად ჩამოყალიბდა გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოქმედი კოდექსის გადამუშავება და იმ ხარვეზების გამოსწორება, რომელიც მის დამკვიდრებას აფერხებს. კონფერენციას GTZ-ის ექსპერტი, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, გერდ ვინტერი უძღვებოდა, რომელიც, კოდექსის შექმნიდან დღემდე, ქართული ადმინისტრაციული სამართლის დახვეწასა და განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

GTZ უკვე მრავალი წელია უშუალოდ ჩართულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემუშავებაში და არა ერთი კონსულტაციის, კონფერენციისა და ტრენინგის პარალელურად, ადმინისტრაციული სამართლის ლიტერატურას აქვეყნებს. გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) დავალებით, GTZ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სამართლისა და იუსტიციის სფეროში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად რამდენიმე პროექტს ახორციელებს.

ამ პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს მოკლე და გრძელვადიანი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც მათ შორის, საკონსულტაციო საქმიანობასაც ეწევიან და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს ატარებენ. გარდა ამისა, GTZ დახმარებას უწევს ახალი კანონების გამოყენებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოცემას. *24 საათი*

## იუსტიციის მინისტრმა ანგარიშების მოსმენა დაასრულა

საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე მინისტრის ბიუროსა და პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდა და მათგან 2006 წლის I ნახევარში გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინა. ამით იუსტიციის მინისტრმა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ 2006 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშების მოსმენა დაასრულა.

2006 წლის განმავლობაში მინისტრის ბიურომ ორგანიზება გაუწია არაერთ ღონისძიებას, მათ შორის, სტაჟიორთა მისაღებ კონკურსს, ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდას, იუსტიციის მინისტრის შეხვედრებს მოქალაქეებთან.

პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფდა სამინისტროს ხელმძღვანელ პირთა პრესკონფერენციების, კონფერენციების, სემინარების მომზადებასა და გაშუქებას, ავრცელებდა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციებს და მუშაობდა სამინისტროს ვებგვერდის განახლებაზე. **24 საათი**

## Human Rights Watch-ის ახალი ანგარიში

საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ი დარწმუნებით აცხადებს, რომ 2004 წლის სკანდალის მიუხედავად, ამერიკელი სამხედროები ერაყელ ტყვეებს აუტანელ მდგომარეობაში მაინც აყენებდნენ.

**„აშშ-ს ხელისუფლების მიერ ერაყში დატყვევებულ პირთა წამება და სხვა დამამცირებელი მოპყრობა ნებადართული იყო სამხედრო ხელმძღვანელების მიერ და იგი ხდებოდა ყოველდღე, მიუხედავად 2004 წლის სკანდალისა, რომელიც დაკავშირებული იყო აბუ-გრეიბის ციხეში განვითარებულ სიტუაციასთან,“** - ნათქვამია Human Rights Watch-ის ახალ ანგარიშში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციამ გუშინ გამოაქვეყნა.

53-გვერდიანი ანგარიში, რომლის ავტორიცაა სამართალდამცველ სტრუქტურათა, ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის საკითხებში ექსპერტი ჯონ სიფტონი, ეყრდნობა ამერიკელ სამხედროთა და თვითმხილველთა ჩვენებებს.

**„თვითმხილველთა განცხადებებით, ტყვეების წამება და დამცირება, მათი დაკითხვის დროს სისტემატურად გამოიყენებოდა 2003-2005 წლებში. თვითმხილველთა ჩვენებები წინააღმდეგობაში მოდის აშშ-ს ხელისუფლების განცხადებებთან, რომ წამებისა და დამცირების უკანონო შემთხვევები ხდებოდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. არადა, როგორც ჩანს, ეს იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა, რითაც უხეშად ირღვეოდა ჟენევის კონვენცია,“** - აცხადებს Human Rights Watch-ის ექსპერტი.

2004 წელს ამერიკულ პრესაში დაიბეჭდა ფოტომასალა, რომელიც აბუ-გრეიბის ციხეში იყო გადაღებული და რომელზეც აღბეჭდილი იყო ამერიკელი ზედამხედველი, რომელიც ერაყელ ტყვეს აწამებდა. ერაყელ ტყვეთა წამებისა და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე 10 ამერიკელ სამხედროს მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.

# არასამთავრობოთა მოთხოვნა და განახლებული საპროტესტო აქციები

პირველი გვერდიდან

როგორც მანანა კობახიძე განმარტავს, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ 208-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოქმედება დროებით შეაჩერა, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ აღნიშნული მუხლით დაპატიმრებული მოქალაქეები.

მიუხედავად იმისა, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის“ ლიდერები პატიმრობაში იმყოფებიან, ამ ორგანიზაციის წევრები საპროტესტო აქციებს არ წყვეტენ და „სიკვდილის ბრიგადების“ დასჯის მოთხოვნით, თბილისის ქუჩებში პლაკატებს კვლავ აკრავენ. გავრცელებული ინფორმაციით, საპროტესტო აქციათა სერია დღეიდან განახლდება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტში“ აცხადებენ, დედაქალაქში, დღეს ღამით, ახალი პლაკატები ძველი შინაარსით კვლავ გაიკვრება. ორგანიზაციის წევრები გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით, შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯას და „სინდისის პატიმრების“ ირაკლი კაკაბაძის, ჯაბა ჯიშკარიანის, ლაშა ჩხარტიშვილის, ზურაბ რთველიაშვილის და დავით დალაქიშვილის გათავისუფლებას მოითხოვენ.



„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ „თანასწორობის ინსტიტუტის“ დაკავებული წევრების გათავისუფლებას ითხოვს.

ამავე აქციის ფარგლებში, დღესვე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ერთობლივი პრესკონფერენციაც გაიმართება.

პრესკონფერენციის შემდეგ, საპროტესტო აქციის მონაწილეები ავტომანქანების მძღოლებს „სიცოცხლის სიგნალის“ მიცემისკენ მოუწოდებენ.

*24 საათი*

# შსს-ს ახალი სტატისტიკა

## საქართველოში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის 2006 წლის 6 თვის შედეგები

შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი კარგა ხანია ირწმუნება, რომ ძველი, მავნე ტრადიცია დანაშაულის დაფარვისა და სტატისტიკის შელამაზებისა წარსულს ჩაბარდა. შს მინისტრი იმასაც აცხადებს, რომ საქართველოში მძიმე კატეგორიის დანაშაულები საგრძნობლად შემცირდა.

„გვაქვს სერიოზული წარმატებები სხვადასხვა მიმართულებით. საქართველოში წლების წინათ ყველაზე გავრცელებული უმძიმესი დანაშაული - ადამიანის გატაცება, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. არადა, გახსოვთ, ალბათ, რა ხდებოდა ამ მიმართულებით. ვერ გაიხსენებთ ვერც ერთ შეკვეთილ მკვლელობას, რომელიც ბოლო პერიოდში მომხდარიყოს. შემცირდა მანქანების გატაცებაც. ანუ, ფაქტობრივად, აღარ ხდება მძიმე კატეგორიის დანაშაული. თუმცა, მარტო პოლიცია ვერაფერს გახდება, თუ საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნება. ორი წელი დაგვჭირდება იმისთვის, რათა წვრილმანი დანაშაულიც აღმოიფხვრას. იშვიათია შემთხვევა, მოქალაქემ განაცხადოს დამნაშავის შესახებ. არადა, ამერიკაში დანაშაულის დამალვაც დანაშაულად ითვლება. ჩვენ არჩევანი უნდა გავაკეთოთ, ან ვიცხოვრებთ საბჭოურ სისტემაში, ან ევროპულ ყაიდაზე უნდა გადავიდეთ.

ისე, თუ ამოიღებთ სტატისტიკურ მონაცემებს, მიხვდებით, რომ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა, ყოველგვარი შელამაზებს გარეშე, საგრძნობლად იმატა. ვერავინ იტყვის იმას, რომ ორი-სამი წლის წინ უფრო ნაკლები დანაშაული ხდებოდა,“ - აცხადებდა ვანო მერაბიშვილი.

ამის დასადასტურებლად ერთი თვის წინათ, შსს-მ დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლები გამოაქვეყნა, მაგრამ, ალბათ შედარებისთვის, ეს იყო მხოლოდ გასული წლისა და მიმდინარე წლის ორი თვის მონაცემები. ამჯერად, შსს-მ მიმდინარე წლის ექვსი თვის სტატისტიკა გამოაქვეყნა, რომელსაც გთავაზობთ.

| დანაშაულის სახეობა | პერიოდი | | | | დანაშაულის მატება/კლება | გახსნის მატება/კლება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2005 წლის 6 თვე | | 2006 წლის 6 თვე | | | |
| | ფაქტი | გახსნა | ფაქტი | გახსნა | | |
| განზრახ მკვლელობა | 271 | 114 (42%) | 170 | 96 (56.5%) | - 101 | - 18 |
| ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება | 227 | 107 (47%) | 152 | 77 (51%) | - 75 | -30 |
| ყაჩაღობა | 750 | 342 (45.6%) | 1079 | 380 (35%) | + 329 | +38 |
| ძარცვა | 744 | 300 (40%) | 1380 | 349 (25%) | + 636 | +49 |
| ქურდობა | 6468 | 1831 (28%) | 14695 | 2104 (14%) | + 8227 | +273 |
| ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა | 694 | 611 (88%) | 1190 | 1052 (88.5%) | + 496 | +441 |

უცხოეთი

# სიმართლის უტყუარი დეტექტორი

სიცრუის დეტექტორის გამოყენების თვალსაზრისით, რუსეთი მსოფლიოს ქვეყნების ხუთეულში შედის და მისი გამოყენების მასშტაბები დღითიდღე იზრდება.

**„დღეისთვის რუსეთში 400 პოლიგრაფოლოგია და პოლიგრაფტესტით ქვეყანაში ათეულ ათასობით შემოწმება ტარდება, ჩვენ უკვე მსოფლიოს ხუთეულში ვართ,“** - განაცხადა რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს კრიმინალისტიკური ცენტრის უფროსმა იური ხოლოდნიმ, რომლის ინფორმაციითაც, უკვე არსებობს რუსული სიცრუის დეტექტორი, რომელიც ხარისხით, მართალია, ამერიკულს ჩამოუვარდება, მაგრამ პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება.

რუსეთის უზენაესმა სასამართლომ ცოტა ხნის წინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, გამოძიების მიერ პოლიგრაფ ტესტის გამოყენება კანონიერად ჩაითვალა. თუმცა, ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ გამოთქვა ეჭვი, რომ მკაცრი სამართლებრივი რეგულირების გარეშე პოლიგრაფ ტესტის გამოყენება სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნიდა.

**„როცა ამერიკაში 50-70-იან წლებში დაიწყეს სიცრუის დეტექტორის აქტიური გამოყენება, ამას მოჰყვა არა ერთი სკანდალური სასამართლო პროცესი, სადაც ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაზე იყო საუბარი, ამიტომაც, თუ არ მოხდება მკაცრი სამართლებრივი რეგულირება, ამერიკულ გამოცდილებას ვერ ავცდებით,“** - ასეთი გახლდათ ექსპერტთა და სამართალდამცველთა ვარაუდი, თუმცა, მოგვიანებით, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სიცრუის დეტექტორის გამოყენება ძალზე ეფექტურად შეაფასა. სამართალდამცველები ძალზე დადებითად აფასებენ სამართალწარმოებაში გამოყენებულ ახალ მეთოდს, რადგან, პოლიგრაფ ტესტის გამოყენებამ, ფაქტობრივად, გამორიცხა უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემა.

სიცრუის დეტექტორი რუსეთში არაერთ გახმაურებულ საქმეზე გამოიყენეს და საკმაო წარმატებით. პოლიგრაფ ტესტს აქტიურად იყენებენ დსთ-ს წევრ ქვეყნებშიც. გარდა გამოძიებისა, სადაც პოლიგრაფ ტესტით ბრალდებულთა შემოწმება ხდება, სიცრუის დეტექტორი აქტიურად გამოიყენება სპეცსამსახურებში კადრების შერჩევის დროსაც. გარდა ამისა, პრაქტიკაში მკვიდრდება მისი გამოყენება ბიზნესშიც, თანამშრომელთა პროფესიული მონაცემების შემოწმებისთვის.

განსხვავებით სხვა სფეროებისგან, პოლიგრაფ ტესტით ბრალდებულთა დაკითხვა ნებაყოფლობითია.

პოლიგრაფ ტესტი საქართველოსთვის ჯერჯერობით „უცხო ხილია“. მისი გამოყენება ერთადერთხელ მოხდა, წლების წინათ, მაშინ, როცა საქართველოში გარდაიცვალა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი ფრედ ვუდროფი. სიცრუის დეტექტორის კომპლექსური აპარატურა საქართველოში თავად ამერიკელებმა ჩამოიტანეს და მასზე საკუთარი სურვილით გაიარა შემოწმება ქართველმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომლის მანქანაშიც გარდაიცვალა ვუდროფი.

ფსიქოლოგიური ტესტებისა და პოლიგრაფ აპარატურის მეშვეობით, დაკითხულთა პასუხების ემოციურ სტიმულატორთა ანალიზის შედეგად ექსპერტები აკეთებენ ფაქტობრივად, უტყუარ დასკვნას. თუმცა, არსებობს ალბათობა იმისა, რომ გამოცდილ ინტერვიუერს, ემოციის კონტროლის გზით, შეუძლია მოატყუოს პოლიგრაფ აპარატურა. როგორც ექსპერტები აცხადებენ, „სიცრუის დეტექტორის მოტყუება ძალზე ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. ეს შეუძლიათ იმ პირებს, რომელთათვისაც ცნობილია პოლიგრაფ აპარატურის მოქმედების მექანიზმი, ასეთი ადამიანები ძალზე ცოტანი არიან და ისინი სპეცსამსახურების წარმომადგენლები გახლავთ,“ - აცხადებენ ექსპერტები.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი............................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი............................................................

საკონტაქტო ტელეფონი............................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სითიმოლის" შენობის ხელოვნების სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 089 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# „სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა ყველას ვალდებულებაა"

*სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება სასამართლოში წესრიგის დაცვა და ყველა იმ შემაფერხებელი მიზეზის აღმოფხვრაა, რაც მოსამართლეს ხელს უშლის პროცესის ნორმალურ წარმართვაში. სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება მშვიდ, გაწონასწორებულ ვითარებაშია შესაძლებელი. მოსამართლე მხოლოდ განსახილველ საქმეზე უნდა ფიქრობდეს და მას ხელს არავინ და არაფერი უნდა უშლიდეს. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებაც სწორედ ისეთი სიტუაციის შექმნას ითვალისწინებს, რომ მოსამართლე სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზში დაცული იყოს ყოველგვარი ხელისშემშლელი ფაქტორებისგან. ამის გარანტიას მოსამართლეებს თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აძლევს.*
*ხდება თუ არა ანალოგიური ნორმების გამოყენება მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში და რამდენად სამართლიანად იყენებენ ქართველი მოსამართლეები ამ ნორმას. ამ შეკითხვებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი უპასუხებს.*



**- სასამართლოში წესრიგის დარღვევა ადრეც ისჯებოდა, რატომ გახდა აუცილებელი კანონის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება?**

- სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული იყო მისი თავდაპირველი რედაქციითაც და ითვალისწინებდა წესრიგის დამრღვევი პირის გაძევებას სხდომის დარბაზიდან. თუმცა, ეს ნორმა ფაქტიურად არ მოქმედებდა, რადგან წლების მანძილზე მისი გამოყენების სულ რამდენიმე შემთხვევა იყო. ამასთან, ამ დებულებაში არაფერი იყო ნათქვამი ზოგადად სასამართლოს შენობაში წესრიგის დამრღვევი პირების შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით გამოიკვეთა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, გამოიყენოს სსსკ-ის 208-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი, როგორც სასამართლოს შენობაში წესრიგის დამრღვევი პირის, ასევე იმ პირის მიმართ, რომელიც თავისი მოქმედებით გამოხატავს სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობას. სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობის დეფინიციას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა, იგი მთლიანად გადატანილია სამოსამართლო სამართლის სფეროში და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს თვით სასამართლოს თავმჯდომარემ.

გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ სხდომის თავმჯდომარემ შეიძლება გამოიყენოს რამდენიმე სახის ზემოქმედების ღონისძიება, მათ შორის - გაძევება, დაჯარიმება 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, სასამართლოსადმი გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობის შემთხვევაში კი სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, წესრიგის დამრღვევი პირი დააპატიმროს 30 დღე-ღამემდე ვადით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის აღნიშნული დანაწესი ვრცელდება, როგორც პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტზე, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრე ნებისმიერ პირზე.

208-ე მუხლის ანალოგიურ დებულებებს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც. ამ ნორმის ძირითადი არსი არ არის, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია, სასამართლოს მიერ პროცესის დაჩქარება, როცა თითქოსდა მხარეები შეზღუდულები არიან, სრულად და ვრცლად წარმოადგინონ საკუთარი პოზიციები, პირიქით: ამ ნორმის ძირითადი არსი არის წესრიგის დამრღვევი პირების მიმართ სასამართლოს მიერ თავისი უფლებამოსილების ადეკვატურად გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში სწორედ ეფექტურ მართლმსაჯულებას უწყობს ხელს, რაშიც, სასამართლოს გარდა, პროცესის მონაწილე მხარეებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულები. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ასეთ შემთხვევებში მოსამართლე მოქმედებს არა საკუთარი თავის დასაცავად და საქმის გასაიოლებლად, არამედ - სასამართლოს ავტორიტეტისა და ღირსების, მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად.

თუ გვინდა რეალური სასამართლო რეფორმა, სამართლიანი მართლმსაჯულება და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ყველანი ერთად უნდა მივეჩვიოთ სასამართლოში წესრიგის დაცვას. უნდა მივაღწიოთ ისეთი ვითარების შექმნას, როცა პროცესზე იქნება სრული წესრიგი. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლე გადაწყვეტს მტყუან-მართალს და ისე გამოიტანს გადაწყვეტილებას.

**- მოქმედებს თუ არა მსგავსი ნორმები მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში?**

- რა თქმა უნდა და საკმაოდ მკაცრი სანქციებიც არსებობს, მათ შორის - დაპატიმრებაც. მეტიც, ასეთი ნორმა მოქმედებს როგორც პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში, ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც (რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით), მაგალითად, გერმანიაში. და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში, ჩვენგან განსხვავებით, არც სასამართლო რეფორმა მიმდინარეობს და საზოგადოების სამართლებრივი დონეც გაცილებით მაღალია, მაინც მკაცრად განისჯება თითოეული შემთხვევა, რომელიც სასამართლოს ღირსებას ლახავს. ეს ნორმები ამ ქვეყნებში ისტორიულად არის ჩამოყალიბებული და არავის შეაქვს ეჭვი მათ სამართლიანობაში.

**- დეფინიცია, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობად, წესრიგის დარღვევად, არ არსებობს. თვითონ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, მოხდა თუ არა წესრიგის დარღვევა ან უპატივცემულობის გამოხატვა. თქვენ როგორ განმარტავდით მსგავს შემთხვევას?**

- როცა მოსამართლე ხედავს, რომ მას უხეშად აწყვეტინებენ სიტყვას, ეპასუხებიან, პროცესზე დამსწრე პირთა შორის არის გადალაპარაკება, რაც იწვევს ხმაურს, ეს, რა თქმა უნდა, არის წესრიგის დარღვევა. მოსამართლე ვალდებულია, აღკვეთოს ყველა მოქმედება, რომელიც ხელს უშლის პროცესის ნორმალურ წარმართვაში. წესრიგის დარღვევის აღკვეთა კი ნამდვილად არ ნიშნავს აზრის თავისუფლად გამოხატვის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, როგორც ზოგიერთი „ექსპერტი" ამაყად აცხადებს.

ასეთი შემთხვევების ანალიზის შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები ნამდვილად არ იყენებენ ამ ღონისძიებას და ამ მუხლს იმისთვის, რომ გააძევონ, დააჯარიმონ ან დააპატიმრონ ვინმე და ამით გაიიოლონ რომელიმე მხარისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება. ანალიზმა გვიჩვენა, რომ არც ერთ შემთხვევაში არ დარღვეულა არც ერთი მხარის კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი უფლებები.

იმის დასტურად, რომ კანონის ეს ნორმა არ არის ე.წ. „სადამსჯელო იარაღი" სასამართლო ხელისუფლების ხელში და მისი გამოყენება ხდება ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, შევეხები რამდენიმე ასეთ ფაქტს სასამართლო პრაქტიკიდან:

2006 წლის 22 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას, სხდომაზე დამსწრე პირმა გამოავლინა სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობა. სასამართლომ აშკარა უპატივცემულობად შეაფასა დამსწრე პირის მიერ მოსამართლის პირადი შეურაცხყოფა. იმის გამო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მან თავს უფლება მისცა, უცენზუროდ მოეხსენიებინა მოსამართლე. სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს პირი დაპატიმრებულ იქნა 20 დღე-ღამის ვადით.

2006 წლის 22 ივნისს სასამართლოს მიერ 200 ლარით დაჯარიმდა დაზარალებული, რომელიც არ დაემორჩილა მოსამართლის განკარგულებას. კერძოდ, იგი შეურაცხყოფდა განსასჯელს. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება - აღკვეთოს სასამართლოს სხდომის დარბაზში ნებისმიერი მოქმედება, რაც ხელს უშლის სასამართლო სხდომის წარმართვას.

კანონის მიმართ თანასწორობა, სამწუხაროდ, არასწორად გაიგო ჩვენმა საზოგადოებამ. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ კანონი უნდა დაიცვას მესამე პირმა და იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული აკრძალვები მასაც დაემუქრა, ცდილობს, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი, რომელსაც იღებს საკანონმდებლო ორგანო და ქცევის წესს უდგენს თავის მოქალაქეებს, პირველ რიგში, უნდა დაიცვან თავად საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა. სასამართლო ხელისუფლებისადმი პატივისცემა ერთნაირად ევალება როგორც საზოგადოების რიგით წევრს, ასევე პარლამენტარს და ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია, როგორც სასამართლო ხელისუფლების, ასევე ელექტორატის წინაშე. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ გახმაურებულ სასამართლო სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წევრთა გარკვეულმა ნაწილმა დაარღვია წესრიგი და გამოხატა სასამართლოსადმი უპატივცემულობა, რის გამოც სასამართლომ სამართლიანად, კანონის სრული დაცვით მიიღო შესაბამისი განკარგულება მათი დაჯარიმებისა და გაძევების შესახებ.

**- სხდომიდან წესრიგის დარღვევისათვის ერთ-ერთმა გაძევებულმა დეპუტატმა მეორე დღესაც სცადა დარბაზში შესვლა და მას სასამართლო მანდატურმა ამის საშუალება არ მისცა.**

- და სწორადაც მოიქცა, რადგან სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი, სსკ-ის 208-ე მუხლის 41 ნაწილის თანახმად, გაძევებულად ითვლება ამ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე. კანონის ეს მოთხოვნა იმპერატიულია, თუმცა კანონმდებელმა დაუშვა შესაძლებლობა და მხარეს მიანიჭა უფლებამოსილება, მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გაძევებული პირის დაბრუნების თაობაზე. ამ დეპუტატს კი სასამართლოსთვის მსგავსი შუამდგომლობით არ მიუმართავს.

რაც შეეხება იმ ფაქტს, როცა სასამართლო სხდომის დარბაზიდან გააძევეს პარლამენტის წევრი, მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, თუმცა თავად წესრიგის დამრღვევი პარლამენტარი შემდგომ შეეცადა, შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება და ეს ფაქტი გამოეყენებინა პოლიტიკური ქულების დასაწერად.

საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტის წევრი არ დაემორჩილა მოსამართლის ბრძანებას, რომელმაც იგი გააძევა სხდომის დარბაზიდან. იგი აგრძელებდა წესრიგის დარღვევას და სასამართლოს უპატივცემულობას, რის გამოც მოსამართლე უფლებამოსილი იყო, მაშინვე გაეცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. ეს იმდენად თვალსაჩინო მაგალითია წესრიგის დარღვევისა, რომ ჩვენ შეიძლება იგი გამოვიყენოთ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეობის კანდიდატთა სწავლებისას, რათა დავანახოთ მათ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მოსამართლემ მსგავს შემთხვევებში.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სასამართლოსადმი პატივისცემა ნებისმიერი პირის ვალდებულებაა. მაგრამ ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ადვოკატის როლი, რომელიც ერთგვარი მედიატორია საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ჩვენს რეალობაში ხშირია შემთხვევები, როცა ადვოკატი ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს მხარესა და იმავდროულად - საზოგადოებაზე და სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვა აირჩიოს დაცვის ტაქტიკად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ერთ-ერთი საქმის განხილვისას ადვოკატმა სწორედ ეს მეთოდი აირჩია სასამართლო ხელისუფლებაზე ზეგავლენის ფორმად. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამ მეთოდით ძირითადად სარგებლობენ საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილი ადვოკატები, რომლებსაც რატომღაც „კომპეტენტური ადვოკატების" იმიჯი აქვთ და რომლებიც, აწვდიან რა საზოგადოებას ცალმხრივ და არაობიექტურ ინფორმაციას, ცდილობენ, შექმნან მცდარი აზრი სასამართლო ხელისუფლებაზე და ამით, გარკვეულწილად, ზეწოლა მოახდინონ სასამართლოზე. ზემოაღნიშნულს თუ განვავრცობთ, სახეზეა ადვოკატის მხრიდან სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობა და მოსამართლის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა. ადვოკატი, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრია და მასზეა დამოკიდებული ამ კორპორაციის საქმიანობა, სწორედ ადვოკატთა ეთიკის კოდექსის შემუშავების თვალსაზრისით, არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებას, დაარღვია წესრიგი და შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლო ხელისუფლებას, რის გამოც მის მიმართ გამოყენებულ იქნა სსსკ-ის 208-ე მუხლით დადგენილი ერთ-ერთი ღონისძიება, კერძოდ, იგი გააძევეს სხდომის დარბაზიდან.

ამ და სხვა შემთხვევებში, 208-ე მუხლის ამოქმედების შემდეგ, ადვოკატებმა სასამართლო ხელისუფლების მოქმედება შეაფასეს ცალმხრივად და არაობიქტურად. მათი მოსაზრებით, სასამართლოს აქვს ბერკეტები, დაცვის უფლების განხორციელებას ჩამოაცილოს მისთვის არასასურველი ადვოკატი, რაც, თავისთავად, არასწორია, რამდენადაც, რეალურად დაცვის განხორციელებისას შეუძლებელია ადვოკატის მიმართ გამოყენებულ იქნეს სსსკ-ის 208-ე მუხლით დადგენილი ღონისძიებანი, რაოდენ მიუღებელი სამართლებრივი პოზიციაც არ უნდა გააჩნდეს მას. პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ სასამართლოს კანონიერი მითითებებისადმი დაუმორჩილებლობა ანუ წესრიგის დარღვევა და აშკარა და უხეში უპატივცემულობა, რაც არანაირად არ ნიშნავს დაცვის უფლების განხორციელებას. სიღნაღის სასამართლოს მოსამართლემ 10-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა ადვოკატს სასამართლოსადმი გამოხატული აშკარა უპატივცემულობის გამო, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან მოსამართლე მიიჩნია არაკომპეტენტურ პირად და სასამართლო სხდომას უწოდა შოუ, მოსამართლეს კი - „არარაობა" და „არაკაცი". თავდაპირველად, წესრიგის დარღვევისათვის მოსამართლემ გააძევა იგი დარბაზიდან, მაგრამ ადვოკატი არ დაემორჩილა ამ განკარგულებას და შეურაცხყო როგორც მთლიანად სასამართლო ხელისუფლება, ასევე მოსამართლის პიროვნული ღირსება. უდავოა, რომ ადვოკატის აღნიშნული მოქმედება არ წარმოადგენს მისი მხრიდან პროფესიული მოვალეობის რეალიზებას და, სასურველია, ამ საკითხზე, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილონ ადვოკატთა დამოუკიდებელი ასოციაციის წევრებმა, რამეთუ კორპორაციის ერთი წევრის მიერ მსგავსი მოქმედების ჩადენა მთლიანად ადვოკატთა კორპუსის იმიჯს აყენებს ზიანს.

საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრების დაპატიმრებამ. გავრცელდა არასწორი ინფორმაცია სასამართლოს მხრიდან ერთგვარი ინკვიზიციური ზომების მიღებასა და საზოგადოებრივი აზრის დევნასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მედიის საშუალებებით საზოგადოებას მიეწოდა ობიექტური, ფაქტებზე დამყარებული ინფორმაცია, ეს საკითხი მაინც იქცევს საზოგადოების ყურადღებას, ვინაიდან იგი დაინტერესებულმა მხარემ გადაიტანა პოლიტიკურ ასპექტში და გარკვეული პირებისათვის აღმოჩნდა თვითდამკვიდრების საშუალება.

ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით კი მოხდა შემდეგი: არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, შეეცადნენ ზეგავლენა მოეხდინათ სასამართლოზე, არ დაემორჩილნენ სასამართლოს მანდატურის მითითებას და სააპელაციო სასამართლოს ცენტრალურ შესასვლელთან დაარღვიეს წესრიგი. სსსკ-ის 208-ე მუხლი დაინტერესებულმა მხარემ განმარტა იმ მიმართებით, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია აღკვეთოს წესრიგის დარღვევა მხოლოდ სასამართლოს შენობაში. აღნიშნული ნორმის დისპოზიცია გულისხმობს ორი დამოუკიდებელი მოქმედების განხორციელებას, ეს არის სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღევა ან სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობა. აქ, სავალდებულო პირობა, რომ მოქმედება განხორციელდეს სასამართლოს შენობაში, არ ვრცელდება ორივე შემთხვევაზე. ქმედების შემადგენლობისათვის მნიშვნელოვანია, რომ გამოხატული იყოს სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობა და ეს მოქმედება ხელს უშლიდეს სასამართლოს საქმიანობას, რაც რეალურად მოხდა ზემოხსენებულ შემთხვევაში.

**- საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია სარჩელი, რომელიც ამ ნორმის ანტიკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს. იმ ქვეყნებში, სადაც ანალოგიური ნორმა მოქმედებს, საჩივრდება თუ არა მოსამართლის განკარგულება?**

- ბევრ ქვეყანაში, სადაც ეს ნორმები მოქმედებს, არის გასაჩივრების უფლება, თუმცა არა ყველა სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ. მაგალითად, გერმანიაში, როცა ამგვარი ღონისძიების გამოყენება ხდება ქვედა ინსტანციის სასამართლოებში, იგი საჩივრდება ერთხელ ზემდგომ ინსტანციაში. მაგრამ როცა ამგვარ ღონისძიებას ფედერალური უზენაესი სასამართლო იყენებს, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. პირადად მე არ მიმაჩნია პრობლემად, რომ დაიშვას გასაჩივრების უფლება, მაგრამ იგი უნდა გადაწყდეს ისე, რომ გასაჩივრების პროცედურა იყოს გამარტივებული და გადაწყვეტილებაც ოპერატიულად იქნეს მიღებული. ისევ და ისევ უცხოური პრაქტიკიდან გამომდინარე, გეტყვით, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გაჭიანურებული პროცესი. შესაძლოა იყოს იმაზე უფრო სწრაფი პროცედურა, ვიდრე არის მაგალითად, საარჩევნო დავებთან დაკავშირებული კანონით გაწერილი სპეციალური პროცედურები.

**- მოსამართლეებმა აღნიშნული ნორმა უკვე მრავალჯერ გამოიყენეს, გამოიწვევს თუ არა ეს მოსახლეობის სამართლებრივი შეგნების ამაღლებას?**

- მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებამ გარკვეული როლი შეასრულა საზოგადოების სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. რთულად, მაგრამ შესამჩნევად იცვლება დამოკიდებულება სასამართლო ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და ეს ურთიერთობა უნდა დაემყაროს მხარეთა ურთიერთპატივისცემას. სასამართლოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება აისახება საზოგადოების დამოკიდებულებაზე სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ამდენად, ურთიერთობის ორივე მხარეს არის გარკვეული პრობლემებიც, მაგრამ შეიმჩნევა დადებითი ტენდენციაც, რაც აუცილებლად მოგვცემს პოზიტიურ შედეგს.



*მოკლედ*

## ბრედ პიტი

მსახიობი ჯენიფერ ანისტონი აღშფოთებულია ყოფილი ქმრის, ბრედ პიტის გადაწყვეტილებით, რომელიც აიძულებს, ფილმ „დიდ გულში“ მთავარი როლი ანჯელინა ჯოლის დაუთმოს. ჯენიფერს იმედი ჰქონდა, რომ ბრედ პიტი ერთად მიღებულ გადაწყვეტილებას არ დაარღვევდა და პაკისტანში მოტაცებული ამერიკელი ჟურნალისტის ცოლის, დენიელ პერლის როლს ანისტონი შეასრულებდა. ამ როლით მსახიობს „ოსკარზე“ ექნებოდა პრეტენზია.

ფილმის ეკრანიზაციის უფლება კინოკომპანია „პლან ბი-ს“ ეკუთვნის, რომელსაც ბრედ პიტი და ჯენიფერ ანისტონი განქორწინებამდე ერთად ფლობდნენ. განქორწინების შემდეგ სტუდია ბრედ პიტის ხელში გადავიდა და მას ახლა ყველა საკითხის გადაწყვეტა ერთპიროვნულად შეუძლია.

ჯენიფერის მეგობრები აცხადებენ, რომ პიტი უნამუსოდ მოიქცა, რადგან თავის დროზე სწორედ ჯენიფერმა დაარწმუნა პერლი, მათთვის ფილმის ეკრანიზაციის უფლება მიენიჭებინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნუცა კუხიანიძის ახალი როლი

რეჟისორი გიორგი მგელაძე ახალგაზრდა მწერლის თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობის „ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე“ ფილმის გადაღებას ერთ თვეში დაიწყებს. მთავარი გმირის, ამინას როლს კი სავარაუდოდ, ცნობილი მსახიობი ნუცა კუხიანიძე შეასრულებს. როგორც მგელაძემ განაცხადა, ამ ეტაპზე გადაღებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. მისივე თქმით, ნუცა კუხიანიძესთან მოლაპარაკების შემდეგ მსახიობი რეჟისორის წინადადებას დათანხმდა.

„ნუცა კუხიანიძის გარდა ამ როლზე ალტერნატიული კანდიდატურა არ მოიაზრება. მსახიობი ამ ეტაპზე თანახმაა და იმედია გადაწყვეტილებას არ შეიცვლის“, - აცხადებს რეჟისორი. თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობა ტერორიზმის თემაზეა შექმნილი, მისი მთავარი გმირი კი თვითმკვლელი ტერორისტი ქალია. მოთხრობა ეროვნული კინოცენტრის მიერ ორგანიზებული სცენარების კონკურსის გამარჯვებულია და მისი ეკრანიზება კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გალინა ვიშნევსკაია

ცნობილი საოპერო შემსრულებელი გალინა ვიშნევსკაია გროზნოს სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტს გამართავს.

ჩეჩნეთის სახელმწიფო ტელევიზიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ვიშნევსკაია გროზნოში თავისი მოღვაწეობის განმავლობაში პირველად ჩავიდა და შესაბამისად, ჩეჩენი მაყურებლისათვის გამართული კონცერტიც მის შემოქმედებით მოღვაწეობაში პირველი იქნება. გალინა ვიშნევსკაია სოლო კონცერტის გარდა, გროზნოს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისათვის მასტერ-კლასსაც ჩაატარებს. გალინა ვიშნევსკაიას გასტროლები კავკასიაში მის საიუბილეო წელს უკავშირდება. სექტემბრისთვის მომღერალი გასტროლებს თბილისშიც გეგმავს, სადაც ოპერისა და ბალეტის სცენაზე თავის აღსაზრდელებთან ერთად წარდგება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Imagine აკრძალეს

ლეგენდარული „ბითლის“ ჯონ ლენონის უპოპულარესი სიმღერა Imagine, რომელიც მსოფლიო პაციფისტების ჰიმნად იქცა, დიდი ბრიტანეთის დაწყებით სკოლებში აკრძალეს.

დევონის საგრაფოს წმიდა ლეონარდოს სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა გამოსაშვები საღამოს პროგრამიდან ეს სიმღერა ამოეღო. აკრძალვის მიზეზად დირექტორმა ტექსტის შინაარსი დაასახელა, რომელიც ანტირელიგიურ სიტყვებს შეიცავს.

ამ მოსაზრებას „ბითლზის“ მუზეუმის დირექტორი ლივერპულში ჯერი გოლდმანი არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ლენონმა ეს სიმღერა მშვიდობასა და სიყვარულს მიუძღვნა და იგი ათეიზმს არ ქადაგებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მადონა მოსკოვში, „როლინგსტოუნზი“ პალმაზე

**გამოქვეყნდა 2006 წლის ყველაზე შემოსავლიანი ტურნეების ჩამონათვალი**

ზაფხულის არდადეგების დასრულებისთანავე, სექტემბრის დასაწყისში პოპ-დივა მადონა მოსკოვში თავის პირველ კონცერტს ჩაატარებს. კონცერტი იმ ტურნეს შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მადონა უკვე რამდენიმე თვეა ატარებს და თითქმის ყველა კონტინენტი მოიარა. მოსკოვში ჩატარებული წარმოდგენა (ვისაც მადონას ცოცხალი კონცერტი უნახავს, მუსიკალურ ნაწილზე მეტად, ალბათ, სანახაობა ხიბლავს) კიდევ ერთხელ გაამყარებს მადონას ადგილს იმ სიაში, რომელიც რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა და 2006 წლის ყველაზე შემოსავლიანი ტურნეების მონაცემებს შეიცავს.

ამ მხრივ უპირობო ლიდერია 47 წლის მადონა, რომელმაც ტურნეს დაწყებამდე განაცხადა, რომ გასტროლების განმავლობაში მთელ დედამიწას საცეკვაო მოედნად აქცევდა. დანაპირები ამერიკელმა სუპერვარსკვლავმა მეტნაკლებად შეასრულა და ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის ქალაქებში ნამდვილი მეჯლისი მოაწყო ბიბლიური დანამატებით...

შოუს Confessions On A Dance Floor დეკორაციის მთავარი ფიგურა ხელოვნური ალმასებით გაწყობილი უზარმაზარი ჯვარია, რომელზეც კომპოზიცია Live To Tell-ის შესრულებისას მომღერალს აკრავენ, თავზე კი ეკლის გვირგვინს ადებენ. ამ სცენამ უკვე გამოიწვია სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელთა რისხვა, თუმცა მადონას ტურნე კვლავ გრძელდება და მასში კორექტივების შეტანას არავინ აპირებს.

ასეთი მორიგი სკანდალური ტრიუკების გამო თუ მადონას ავტორიტეტის გათვალისწინებით, ამ დრომდე მადონამ 54 მილიონ 300 ათასი დოლარის მოგროვება




მოახერხა, ხოლო მის კონცერტებზე დასასწრები ბილეთი 291 621 მსურველმა შეიძინა

როგორც ჩანს, მსმენელს ყველაფერი გამოცდილი და დაგემოვნებული ურჩევნია და განსაკუთრებული ინტენსივობით ძველი ვარსკვლავების კონცერტებს ესწრება. „როლინგსტოუნზმა“ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაწყებული ტურნე Bigger Bang-ით სიაში მეორე ადგილი მოიპოვა და 52 მილიონ 500 ათასი დოლარიც ჩაირიცხა ანგარიშზე.

ტაბლოიდები გაკვირვებულები არიან ამ მონაცემების გამო, რადგან აღარც „სტოუნზების“ ხმები ჟღერს ძველებურად და არც მათი გიტარები. გარდა ამისა, მუსიკოსები უკვე იმდენად მოხუცდნენ, რომ ხშირად აწუხებთ სხვადასხვა სახის ავადმყოფობები - ხან გრიპი ურთულდებათ, ხანაც ხიდან ვარდებიან. ასე მოხდა გიტარისტ კეიტ რიჩარდსის შემთხვევაში. 62 წლის რიჩარდსი პალმის ხიდან ჩამოვარდა, მისი ეს ცელქობა კი ჯგუფს ორთვიან იძულებით დასვენებად დაუჯდა. თუმცა ახლა ყველაფერი კარგადაა და რამდენიმე დღის წინ მილანში გამართულ კონცერტზე ბებერი კეიტი ყოჩაღად გამოიყურებოდა.

„როლინგსტოუნზს“ აქვს შანსი გაუსწროს მადონას, რადგან კიდევ აქვს ჩასატარებელი კონცერტები გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, პორტუგალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. გასტროლები 2007 წელსაც გაგრძელდება, თუმცა სად, ჯერ ცნობილი არ არის.

ამ ჩამონათვალში რაც უნდა უცნაური იყოს, მესამე ადგილი ბილი ჯოელმა დაიკავა. იგი თითქმის მეორე წელია, რაც მსოფლიოში მოგზაურობს და მსმენელს საკუთარ შემოქმედებას აცნობს. ამას კი იმდენად შეუმჩნევლად აკეთებს, რომ არა ეს ნუსხა, მისი კონცერტების შესახებ ალბათ ვერაფერს გავიგებდით. არადა, წესით საუკეთესო სამეულში U2 და მისი მსოფლიო ტურნე Vertigo უნდა მოხვედრილიყო. 2006 წლის დასაწყისის მონაცემებით, სწორედ ეს ჯგუფი ლიდერობდა გაყიდული ბილეთებისა და შემოსავლების მხრივ, თუმცა ამჯერად მხოლოდ მე-19 ადგილითა და 15 მილიონი დოლარით შეოიფარგლა.

უკანასკნელი დროის ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ინგლისურმა ჯგუფმა „ქოლდფლეიმ“ სიაში მხოლოდ მე-9 ადგილი დაიკავა, თუმცა იმდენი კი მოახერხა, რომ Aerosmith-ს, Pearl Jam-ს, Dave Matthews Band-ს, Black Eyed Peas-ს, ელტონ ჯონსა და Queen-ს (პოლ როჯერსთან ერთად) გაუსწრო.

50 ერთეულიანი სიის უკანასკნელ ათეულში მოხვდა ბობ დილანი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ახალი ალბომი Modern Times გამოუშვა. დილანს ვერც ამან უშველა, 48-ე ადგილს დასჯერდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ვინმე ხელოვნურად ქერათმიანი ჰილარი დაფის დაბლაც კი აღმოჩნდა.

**ყველაზე შემოსავლიანი ტურნეების ჩამონათვალი (2006 წლის პირველი ექვსი თვე)**

1. 54.3 - მადონა - 291621
2. 52.5 - „როლინგსტოუნზი“ - 309554
3. 47.2 - ბილინ ჯოელი - 613002
4. 46.5 - ტიმ მაქგროუ / Faith Hill - 574605
5. 43.3 - Cirque Du Soleil / Delirium 473378
6. 42.4 - სელინ დიონი - 312441
7. 32.7 - „ბონ ჯოვი“ - 424459
8. 31.2 - Kenny Chesney - 523226
9. 27.6 - „ქოლდფლეი“ - 457483
10. 23.1 - George Strait - 387713
11. 22.0 - ლუის მიგელი - 542808
12. 21.8 - „აეროსმიტი“ - 233824
13. 17.5 - Rascal Flatts - 396134
14. 17.2 - Pearl Jam - 330197
15. 16.2 - RBD - 257756
16. 16.1 - Dave Matthews Band - 381720
17. 15.5 - Nickelback - 403344
18. 15.3 - ელტონ ჯონი - 89069
19. 14.9 - U2 - 191625
20. 14.4 - ჯიმი ბაფეტი - 202190


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.**ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისის ქუჩების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 პოზიციად (ლოტად):

1. ლოტი (პოზიცია) - სამღერეთის ქუჩა;
2. ლოტი (პოზიცია) - ანაპის სახელობის 414 დივიზიის ქუჩა;
3. ლოტი (პოზიცია) - ლეკიშვილის ქუჩა;
4. ლოტი (პოზიცია) - მუხრანის ქუჩა (ჩარგლის ქუჩიდან თბილისის ზღვოის წრიულ გზამდე)
5. ლოტი (პოზიცია) - პ. სააკაძის ქუჩა
6. ლოტი (პოზიცია) - აფხაზეთის ქუჩა

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს ქუჩების კაპიტალურ შეკეთებას;

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, საბოლოო მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის (რეაბილიტაცია) საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე; პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 16 აგვისტოს 12 საათიდან 16 აგვისტოს 16.30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 15 აგისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, კომპოზიტიური მასალის (ალუბონდი) გამოყენებით 1050 მ2 ვენტილირებადი ფასადის მოპირკეთების (მონტაჟი) და 950 მ2 ფასადის სამღებრო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაპირკეთებელი (მონტაჟი) ფართის მოცულობა - 1000 მ2, ვენტილირებადი ფასადის მოპირკეთება (მონტაჟი) 4 მმ კომპოზიტიური მასალის (ალუბონდი) გამოყენებით, სამღებრო-სარემონტო სამუშაოების მოცულობა - 950 მ2

*2*. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვე.

***3***. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 16 აგვისტოს 12 საათიდან 16 აგვისტოს 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის (რეაბილიტაცია) საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (სასურველია დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული);
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 15 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ტენდერს ქ. თბილისის ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების კაპიტალური შეკეთების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია - 7 ლოტად (პოზიციად):

1. ლოტი (პოზიცია) - დ. აღმაშენებლის ხეივნიდან დ/დიღომში შესასვლელი და გამოსასვლელი გზა (ს/ცენტრი "გუდვილთან");
2. ლოტი (პოზიცია) - ქვემო ფონიჭალის ცენტრალური გზა (რუსთავის გზატკეცილი);
3. ლოტი (პოზიცია) - აეროპორტის დასახლების ცენტრალური და წრიული გზა;
4. ლოტი (პოზიცია) - გუმათჰესის ქუჩა;
5. ლოტი (პოზიცია) - გუმათჰესისა და ჭიჭინაძის ქუჩების შემაერთებელი ქუჩები;
6. ლოტი (პოზიცია) - მუხაძის ქუჩა შემაერთებელი ქუჩებით;
7. ლოტი (პოზიცია) - სარაჯიშვილის ქუჩის ბოლო მონაკვეთი;

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარის ქვედა და ზედა ფენები - 140000 მ2, ტროტუარის ფენა -23000 მ2, ძველი ბორდიურების დემონტაჟი და მონტაჟი, ახალი ბაზალტის და ბეტონის ბორდიურების მოწყობა, ახალი სანიაღვრე კოლექტორების მოწყობა, გვერდმიმღებების და წვიმმიმღები ჭების მოწყობა, მცირე ხელოვნური ნაგებობების მოწყობა.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვე.

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 16 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 16 აგვისტოს 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის (რეაბილიტაცია) საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (სასურველია დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული);
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 15 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისის ტერიტორიაზე, დაზიანებული ქვაფენილის რეაბილტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: სარეაბილიტაციო ფართი: 5000მ2, მათ შორის: ა) გრანიტის ძელაკით მოწყობა - 3000 მ2, ბ) რიყის ძელაკით მოწყობა - 2000მ2, წვრილმარცვლოვანი-ბორღოვანი საფუძვლის მოწყობით, საშუალოდ 10სმ.

**2**. სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად, სამუსაოების დასრულების ვადა - მიმდინარე წლის 20 დეკემბერი.

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 16 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 16 აგვისტოს 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 15 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება
# შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს სოლარიუმის აპარატის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.

**შესყიდვის ობიექტი.**

ახალი სოლარიუმის აპარატი შემდეგი მახასიათებლებით: აპარატის სიგრძე არანაკლებ - 233 სმ, ბალანსირებული, 43 ცალი (სხეულის) 100 ვატიანი ნათურა, 3 ცალი (სახის) 400 ვატიანი ნათურა VIP ფილტრით, 7 ცალი (მხრის) 25 ვატიანი ნათურა, კისრის რეფლექტორი, სხეულის ფორმის ბიოდასაწოლი (204X77 სმ), კონდიცირება-ვენტილაციის სისტემები, ინფრაწითელი მართვა, მართვის პულტი (მიკროკომპიუტერი), ზღვის შხეფის ეფექტი, ხმოვანი გიდი, "მულტივიჟენი".

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 50 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი, 14 აგვისტოს 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:**

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101757, ა/ა N3408022974, საიდენტიფიკაციო კოდი 205037574. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 15 აგვისტოდან 21 აგვისტოს 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აგვისტოს 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

ტენდერში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ და ვალდებულება საგარანტიო მომსახურების თაობაზე.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79, 8(99) 35-55-35

***სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ტყვიავის თემის გამგეობა (მის. სოფ. ტყვიავი, ტყვიავის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) აცხადებს ტენდერს ტყვიავის საკრებულოს ტერიტორიაზე ფლავი-ფლავისმანის საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ა) ფლავი-ფლავისმანის საავტომობილო გზის **კმ 0+00-დან კმ 2+605-მდე** რეაბილიტაცია.

ბ) სამუშაოს შესრულების ადგილია სოფლები ტყვიავი და ფლავი.

გ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 ოქტომბრამდე.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 14 აგვისტოს 1600 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. ტყვიავი, ტყვიავის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ტყვიავის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**3.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირისათვის:**

**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;

**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

**7.** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. შიდისი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ტყვიავის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი ეკატერინე ლაცაბიძე, ნინო გიგუაშვილი.

**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ტყვიავის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: გორის რაიონის სოფ, ტყვიავი გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

მოკლედ

## ელიტარული ფრანგულ-ქართული სკოლა

საფრანგეთის საელჩო თბილისში ორენოვან ფრანგულ-ქართულ სკოლას ხსნის. მომავალი ქართული ელიტისთვის სასკოლო მომზადებისა და მოსწავლეების უმაღლესი სწავლების ქართულ-ევროპულ და საერთაშორისო სისტემებში წარმატების გარანტირების თვალსაზრისით, საფრანგეთის საელჩო ამბიციურ საგანმანათლებლო პროექტს ახორციელებს და ორენოვან ფრანგულ-ქართულ სკოლას ხსნის.

2006-დან 2012 წლამდე თანდათანობით შეიქმნება ყველა კლასი, საბავშვო ბაღიდან საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებამდე. სწავლება მთლიანად ორენოვანი იქნება. ფრანგული და ქართული ენები გამოყენებული იქნება როგორც ურთიერთობისას, ასევე სწავლების პროცესში. ორივე ენაზე ოფიციალური სტანდარტებისა და პროგრამების შესაბამისად, თანაბრად გადანაწილდება სასწავლო პერიოდში შესასწავლი საგნები.

როგორც საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ფილიპ ლეფორმა განაცხადა, როდესაც ქვეყანაში არსებობს საერთაშორისო ლიცეუმი, ეს კარგი განაცხადია ინვესტიციების მოსაზიდად. „დაინტერესებული პირები უფრო თამამად მოდიან ისეთ ქვეყანაში, სადაც არსებობს საერთაშორისო სკოლები, სადაც მათი ოჯახის შვილებს შეუძლიათ კარგი განათლების მიღება“ - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა.

მისი თქმით, მსგავსი სკოლები პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ რუსეთში, ლატვიასა და უკრაინაში არსებობს. კავკასიის რეგიონში კი ეს სკოლა პირველი იქნება. „უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლა გათვლილია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ოჯახის შვილებზე, ასევე საქართველოში მოღვაწე უცხოელი ბიზნესმენების ოჯახის წევრებზე.

რასაკვირველია, ნახევარი კონტინგენტი ქართველი ბავშვები იქნებიან. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში სწავლა არ იქნება ყველა ოჯახისათვის ხელმისაწვდომი, თუმცა განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებს კონკურსის წესით მივიღებთ და მათ განათლებას მთლიანად საფრანგეთის საელჩო დააფინანსებს“ - განაცხადა ფილიპ ლეფორმა.

მისი თქმით, სკოლა საერთაშორისო სტანდარტის დიპლომს გასცემს. 2006-2007 სასწავლო წელს, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში, ნებისმიერი ეროვნების 4 და 5 წლის ბავშვებისათვის საბავშვო ბაღის შერეული კლასი გაიხსნება. სწავლება ამა წლის 13 სექტემბერს დაიწყება. ხოლო სკოლაში ჩაწერა, საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლობისა და კულტურის სამსახურში, 8 სექტემბერამდეა შესაძლებელი.

2007-2008 სასწავლო წლიდან, ორენოვანი ფრანგულ-ქართული სკოლა ვაკის პარკის გვერდით, ფრანგი არქიტექტორის მიერ შექმნილ უმაღლესი კლასის შენობაში გადავა, სადაც დაცული იქნება უსაფრთხოების, პედაგოგიური ორგანიზების, ჰიგიენისა და გარემოსთან ინტეგრირების ევროპული ნორმები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველ ეტაპზე მხოლოდ საბავშვო ბაღი გაიხსნება. აქ წარმოდგენილი იქნებიან როგორც ქართველი, ასევე ფრანგი პედაგოგები. ქართველი პედაგოგების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად საფრანგეთის საელჩომ უკვე კონკურსი გამოაცხადა. **ინტერპრესნიუსი**

## ფილმის გადაღება ვერ დაფინანსდა

კინორეჟისორ ლევან ზაქარეიშვილის ახალი ფილმის „კავკასიური ბესთსელერის“ პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ვერ დააფინანსა. ფილმი 9 აპრილის თემას ეძღვნება. როგორც რეჟისორმა განაცხადა, მან ფილმის დაფინანსებისთვის მიმართა რამდენიმე შესაბამის უწყებას, მათ შორის კულტურის სამინისტროსაც, მაგრამ ფილმის დაფინანსება მაინც ვერ მოხერხდა.

რეჟისორის თქმით, მას აქვს შეთავაზებები საზღვარგარეთიდან, მაგრამ თუკი რომელიმე საზღვარგარეთული ქვეყნის დაფინანსებით გადაიღებს ფილმს, მაშინ ის 9 აპრილის თემაზე აღარ იქნება. რეჟისორს კი სურს, რომ ამ ფილმით უკვდავყოს 9 აპრილის თემა.

„მაინტერესებს, როგორ განვითარდა ამ ტრაგედიის შემდეგ ადამიანების ცხოვრება, ვისზე როგორ იმოქმედა, ვინ რა ტრავმა მიიღო. ზოგიერთი იმ მიტინგის ცოცხლად გადარჩენილი მონაწილე ეკლესიაში წავიდა, ზოგი პოლიტიკაში, ზოგი კი მებრძოლი გახდა. მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ ჩემს ფილმებში, ალბათ ამიტომაც არ მოვწონვარ არც ერთ ხელისუფლებას“, - აღნიშნა რეჟისორმა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსისტის მანანა მელაძის ინფორმაციით, კულტურის სამინისტრო ეროვნული კინოცენტრის კონკურში გამარჯვებულ პროექტს აფინანსებს. ლევან ზაქარეიშვილის პროექტი შემოსული იყო 2005 წლის მაისის თვეში გამოცხადებულ კონკურსში, მაგრამ მან ვერ გაიმარჯვა, - აღნიშნა მანანა მელაძემ.

ლევან ზაქარეიშვილის ფილმებს არაერთი ჯილდო და პრიზი აქვს მიღებული. მისი „ისინი“ არის პირველი ფილმი, რომელიც საქართველოს სახელით გავიდა კანის ფესტივალზე. ფილმმა „თბილისი-თბილისი“ კი რუსეთის კინოაკადემიის მთავარი ჯილდო „ნიკა“ დაიმსახურა. ეს ფილმი ასევე „ოსკარზეც“ იყო ნომინირებული, როგორც საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმი, მაგრამ ბოლო მომენტში ამოიღეს. მიუხედავად ამისა, რეჟისორი ამერიკის კინოაკადემიის წევრი გახდა. იგი ასევე არის რუსეთის კინოაკადემიის წევრი. **მედიანიუსი**

## გრანდიოზული ცერემონია



30 აგვისტოს შემდეგ გრანდიოზული ცერემონიით გაიხსნება ახლად რეკონსტრუირებული და რესტავრირებული პუშკინის სახელობის რუსეთის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრი. ცერემონია თეატრის 250 წლის იუბილეს ეძღვნება.

როგორც თეატრის პრესმდივანი ეკატერინა სლეპიშკოვა აღნიშნავს, შენობაში სარესტავრაციო სამუშაოები ჯერ ისევ გრძელდება. რესტავრაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად და მკაცრი გრაფიკით. ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ რესტავრაცია უკვე ჩაუტარდა დარბაზს, საზოგადოების განყოფილებას, სამეფო და ჩვეულებრივ ლოჟებს. გაკეთებულია სცენის მოწყობილობა, რომლის ანალოგი ქვეყანაში არ არსებობს. მისი აღდგენისთვის ფედერალური ბიუროდან გამოიყო 435 მილიონი მანეთი. საზოგადოების დარბაზში რესტავრაციის შემდეგ გაკეთდა რვამეტრიანი ჭაღი. სლეპიშკოვას თქმით, თეატრის ადმინისტრაციული ნაწილის გავლით გამოთავისუფლდა 800 კვადრატული მეტრი, სადაც დაგეგმილია თეატრის მუზეუმის გახსნა. ძირითადი სარესტავრაციო სამუშაოები დამთავრებულია. საზოგადოება უკვე დაბრუნდება თეატრში. დანარჩენი სამუშაოები უკვე მოქმედ თეატრში გაგრძელდება. ამ პროექტში 2005-2006 წლებში ჩაიდო 950 მილიონი რუბლი, ხოლო 2010 წლისთვის დაგეგმილია 1,5 მილიონი რუბლის გამოყოფა.

15 სექტემბერს უკვე რესტავრირებულ თეატრში დაგეგმილია სპექტაკლ „ოიდიპოს მეფეს“ პრემიერა, რომელსაც ბერძენი რეჟისორი თეოდორ ტერზოპულოსი წარმოადგენს.

## საერთაშორისო კინოფესტივალი



პეტერბურგში იხსნება მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი „გზავნილი ადამიანთან“. რუსეთში ეს ერთადერთი საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც აერთიანებს დოკუმენტურ, მოკლემეტრაჟიან და ანიმაციურ ფილმებს. ბოლო 10 დღის განმავლობაში კინოს მოყვარულნი ელიან კონკურსის სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც გავა კინოს სახლში, კინოთეატრ „როდინასა“ და „პიკში“.

ფესტივალის პროგრამაში შესულია რამდენიმე კონკურსი, რომელში მონაწილეობისთვისაც გაგზავნილია 650 ფილმი 58 ქვეყნიდან. მათგან შეირჩა 120 საუკეთესო. 37 ნამუშევარს პეტერბურგელები იხილავენ საერთაშორისო კონკურსზე, 36 ნამუშევარს - დებიუტანტების კონკურსში, ხოლო 39 - დოკუმენტური კინოს ნაციონალურ კონკურსში „ფანჯარა რუსეთში.“

ორგანიზატორთა თქმით, ფესტივალში ფილმები შერჩეულია ძირითადი პრინციპით: „რეჟისორი არა მარტო ასახავს რეალობას, არამედ ქმნის საკუთარ სამყაროსაც. ფილმები, რომლებიც უბრალოდ გადმოგვცემენ ფაქტებს და პრობლემებს, არ მიიღება, როგორი სენსაციური და საინტერესოც არ უნდა იყოს ეს პრობლემა და ფაქტი. პირველ რიგში ჩვენ გვინდა ვნახოთ როგორ წარმოადგენს ავტორი საკუთარ თავს, რა ფორმებს იყენებს, როგორი ურთიერთობა აქვს გმირებთან. სწორედ ასეთი პოზიციით ირჩევა დოკუმენტური ნამუშევრების კონკურსი.“

საზოგადოებას და პროფესიონალებს ფესტივალის პროგრამები უქმნიან წარმოდგენას ახალი ფორმისა და მიმართულების შესახებ მსოფლიო კინოზე. ორგანიზატორები განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებენ იუმორისტულ და ჟანრობრივ კინემატოგრაფიას. „ეს არა მარტო ელემენტარული, არამედ პარადოქსული მიმართულებაა დოკუმენტურ და ანიმაციურ კინოში,“ - აღნიშნავენ ისინი.

საკონკურსო პროგრამების გარდა, გამარჯვებულები, რომლებიც მიიღებენ გრან-პრის „ოქროს კენტავრი“, პეტერბურგელებს ელით სპეციალური პროგრამები. მათ შორისაა პროგრამა იმ მულტფილმებისა, რომლებიც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შექმნეს რუსმა ანიმატორებმა, აგრეთვე ექსპერიმენტული ფილმების პროგრამა „ღამის მინიშნებები“, რომლებიც ეძღვნება ცნობილ იუბილარ რეჟისორ-დოკუმენტალისტებს რომან კარმენს, გრეც ფრანკს, პაველ კოგანს და ლუდმილა სტანუკინას.

მაყურებლები აგრეთვე იხილავენ ბოლო წლების ირლანდიელი რეჟისორების ფილმებს, რომელიც შედის პროგრამაში „ობიექტივში ირლანდიაა“. ერთ-ერთი პროგრამაა „არაჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება“, რომლის ფორმატშიც ნაჩვენები იქნება ფირები რუსეთის ცნობილი პოეტების ცხოვრების შესახებ.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება „მრგვალი მაგიდა“ და პასუხი გაეცემა კითხვებს არანორმატიულ ლექსიკაზე ლიტერატურასა და კინომატოგრაფში, კულტურის დაცემის შესახებ მთელ ქვეყანაში.

ფესტივალს „გზავნილი ადამიანთან“ 1988 წლის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი.

## საკონკურსო განაცხადი

**1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:**

**ა)** სეისმოლოგიისა და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**ბ)** გეოფიზიკური ველების დინამიკისა და გამოთვლითი გეოფიზიკის სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**გ)** დედამიწის ფიზიკის და გეომაგნეტიზმის სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**დ)** გამოყენებითი გეოფიზიკის სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**ე)** მზე-დედამიწის კავშირების სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**ვ)** ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**ზ)** ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი/

**2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

**ა)** განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**ბ)** კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

**გ)** დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

**დ)** გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

**ე)** 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

**ვ)** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ)

**ზ)** შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

**თ)** სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

**ი)** პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

**3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:**

**ა)** გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),

**ბ)** პატენტები,

**გ)** მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,

**დ)** მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

**ე)** სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;

**ვ)** კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

**4.** საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

**5. საბუთების მიღება იწარმოებს მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსიტუტი, მისამართი მ. ალექსიძის ქ.N1.**

**6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 25 აგვისტო.**

**7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 31 აგვისტოს**

**8. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:** www.Ggs.org.ge, e-mail: Kiria@Yahoo.com, ტელ: 330678, პასუხისმგებელი პირი ჯემალ ქირია.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ღია კონკურსს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

კონკურსში მონაწილეობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენების ცოდნა;
- ჰუმანიტარულ სფეროში მართვისა და მენეჯმენტის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება და კომუნიკაბელურობა;

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კანცელარიაში, განცხადებასთან ერთად I ეტაპზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- მოტივაცია, დასაბუთებული ხედვა კულტურის სფეროს მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისა და რეფორმების მიმართულებების შესახებ (არაუმეტეს 4-5 გვერდი).
- ავტობიოგრაფია (CV)
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი (3X4);

II ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ტელ: 98-74-30, 98-74-20

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 388210, 388220; ფაქსი: 331939, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში*" (პროექტი N-GEO-304-G02-M-00) პროგრამის ფარგლებში მალარიის გადამტანებზე ხელმისაწვდომი და მყარი კონტროლის განხორციელების მიზნით ინსექტიციდების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი: GEO304-G02-M-00).

3. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: სუფლუტრინის ჯგუფის სინთეზირებული პირეტროიდები, მალარიის გადამტანი კოღოს საწინააღმდეგოდ, საცხოვრებელი შენობების შიდა დამუშავებისათვის, დაფასოებული 20 კილოგრამიანი ფხვნილის სახით, აქტიური ნივთიერების 10%-იანი შემცველობით. შესყიდვის ობიექტი (ნივთიერება), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული უნდა იყოს ქვეყანაში დეზინსექციის პრაქტიკაში გამოყენებისათვის;

4. შესყიდვის ობიექტის მოცულობა: 1280 კგ.;

5. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 14 კვირისა;

6. მიწოდების ფორმა: "DDP - თბილისი"; ერთ ეტაპად; მიწოდების ადგილი: "*ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი*", მისამართი: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. N9;

7. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 აგვისტოს 15:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 15 აგვისტოს 15:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

8. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უნდა უზრუნველყოს შემდეგ ცნობებისა და ინფორმაციის წარმოდგენა:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

8.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

8.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ, გადასახადის სახეების მიხედვით.

9. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი).

პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნება ტენდერის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე, ყალბი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

10. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში);

11. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი);

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" ( ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 360898102052720400003 (005606074) ); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი;

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 ივლისის 10:00 სთ.-დან 2006 წლის 12 აგვისტოს 17:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნატო დვალი, სანდრო კვაჭანტირაძე, მერაბ იოსავა, დავით აბდუშელიშვილი სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: 388210, 388220; ფაქსი: 331939).


## ივერია მოტორსი



- ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში
- გარანტიით
- თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49

24 საათი B

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### BMW-ს ჰორბერტ რეიტხოფერი უხელმძღვანელებს

კომპანია BMW-ს დირექტორთა საბჭომ გუშინ ბავარიული მარკის ახალი ხელმძღვანელის ვინაობა გაამხილა. ახალი შეფი ჰორბერტ რეიტხოფერი უახლოეს მომავალში ჰელმუტ პანკეს სავარძელს დაიკავებს. 50 წლის რეიტხოფერი ახალ პოსტზე დანიშვნამდე წარმოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

პანკე კომპანია BMW-ს 2002 წლიდან ხელმძღვანელობს. მას აგვისტოში 60 წელი შეუსრულდება, ეს კი ზუსტად ის ასაკია, როცა კომპანია BMW, თავისი დაუწერელი კანონის საფუძველზე, ხელმძღვანელობას უფრო ახალგაზრდა სპეციალისტით ცვლის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელის სამუშაო კონტრაქტი 2007 წლის მაისამდე გრძელდება, დირექტორთა საბჭომ პანკეს უფლებამოსილების დროზე ადრე შეწყვეტის გადაწყვეტილება მაინც მიიღო. ამავე მიზეზით, სულ მალე კომპანიის ტრადიციას ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბუკჰარდ გოეშელის თანამდებობაც შეეწირება. მას კლაუს დრაეგერი შეცვლის, რომელიც, როგორც ცნობილია, BMW 5 და 7-Series მოდელებს გამოუშვებს.



### ლეგენდარული Ferrari 412S 8 მილიონ დოლარად იყიდება

ლეგენდარულ სპორტულ ავტომობილ Ferrari 412S ერთ-ერთ უმსხვილეს აუქციონზე გაიტანენ, რომელიც კალიფორნიაში 19 აგვისტოს გაიმართება. ეს ავტომობილი ჩრდილოეთ ამერიკის საავტომობილო რბოლებში მონაწილეობდა და მას ისეთი ცნობილი ავტომრბოლელები მართავდნენ, როგორებიც არიან ფილ ჰილი, რიჩი გინტერი და ჯონ ფონ ნოიმანი.

სპეციალისტების შეფასებებით, Ferrari 412S-ს საწყისი ფასი 8 მილიონი დოლარი იქნება. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ამ ავტომობილის გაყიდვა ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიაში ახალი რეკორდის სახელით შევა.

Ferrari 412S ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სპეციალურად SCCA -სერიისთვის შეიქმნა. ავტომობილს 0744 ნომრიანი ბორბალი აქვს, მისი ძარის დიზაინზე კი ლეგენდარულმა სერჯიო სკალეტიმ იმუშავა.

"წინა რეკორდსმენი" - Ferrari Testa Rossa 330TRI, 1962 წელს ლე-მანის ავტორბოლის გამარჯვებული გახდა, რომელიც 2002 წელს აუქციონზე 6,6 მილიონ დოლარად გაიყიდა.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3298 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9914 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4819 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7700 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8263 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1460 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3005 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3084 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2412 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4327 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3404 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1449 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1523 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2810 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1934 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2428 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3975 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5671 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1777 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4558 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3268 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2827 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5685 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5946 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1181 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5329 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4435 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5199 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8147 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1216 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1507 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4437 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2430 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4272 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0789 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2217 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2276 |




# საქართველოს ბაზარზე უმსხვილესი აზერბაიჯანული ბანკი შემოდის

ანა შარვაშიძე

*საქართველოში საბანკო სექტორი ერთ-ერთი მათგანია, რითაც უცხოელი ინვესტორები ყველაზე ხშირად ინტერესდებიან. ყველაზე მსხვილი კაპიტალდაბანდებებიც სწორედ ამ სფეროში ხდება. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე უცხოურმა ბანკმა საკუთარი ფილიალი გახსნა, რამდენიმე მათგანი კი წლის ბოლომდე აპირებს ქართულ საბანკო ბაზარზე გამოჩენას. ერთ-ერთი მათგანი უმსხვილესი აზერბაიჯანული ბანკი იქნება - უახლოეს მომავალში ქართულ საბანკო ბაზარზე "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" შემოვა.*

**ბანკების რეიტინგი წმინდა აქტივების მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | წმინდა აქტივები (ათას ლარებში) | სააქციო კაპიტალი (ათას ლარებში) | სესხები/ წმინდა აქტივებთან (%) | ფასიანი ქაღალდები/ წმინდა აქტივებთან (%) | მოსახლეობის ანაბრები/მთლიან ვალდებულებებთან (%) | სამთავრობო სექტორის დეპოზიტები/ მთლიან ვალდებულებებთან (%) | საბალანსო მიმდინარე მოგება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 701160 | 97769 | 61.9 | 0.5 | 33.9 | 0.1 | 4439 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 606016 | 99179 | 59.5 | 0.8 | 24.6 | 0.9 | 4685 |
| 3 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 409675 | 40731 | 75.4 | 0.4 | 16.9 | 1.2 | 1867 |
| 4 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 361704 | 45470 | 73.9 | 0.0 | 31.4 | 0.0 | 1104 |
| 5 | სს „ბანკი ქართუ" | 245108 | 83923 | 74.4 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 3632 |
| 6 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 235463 | 35228 | 58.6 | 0.4 | 29.6 | 4.5 | 2720 |
| 7 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 95217 | 13459 | 30.9 | 1.1 | 5.9 | 18.7 | 73 |
| 8 | სსკბ „ბაზისბანკი" | 49873 | 11236 | 66.4 | 0.0 | 19.7 | 10.3 | 288 |
| 9 | სს „სტანდარტ ბანკი" | 37646 | 7764 | 69.8 | 0.0 | 8.3 | 0.1 | 426 |
| 10 | სს „ვტა სილქ როუდ ბანკი" | 34110 | 6252 | 61.1 | 0.00 | 8.4 | 0.0 | 233 |
| | სულ საბანკო სექტორი | 2891471 | 493575 | 64.2 | 0.5 | 24.4 | 1.6 | 21959 |

B4

# სასამართლოში

## უძრავი ქონების საკუთრების უფლებაზე 282 საქმე განიხილება

### როგორ დავიცვათ თავი ცრუ გამყიდველებისგან

თინა შავაძე

*საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი სწრაფად ვითარდება. უძრავი ქონების ყიდვა, გაყიდვა, დაგირავება, იჯარით გაცემა და იპოთეკით დატვირთვა საკმაოდ მოგებიანი საქმე გახდა. ამ ეტაპზე, ბაზრის სტუქტურაში უამრავი სახელმწიფო და კერძო ფირმაა ჩართული და თითოეული მათგანის მთავარი ფუნქციაა გარიგების იმ დონეზე უზრუნველყოფა, რომ დაცული იყოს საკუთრების უფლება. არსებული მდგომარეობის მიუხედავად, გასულ კვირას გამოვლინდა რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც საბუთების გაყალბებით გზით, ბანკიდან სესხის მისაღებად ათეულობით გარიგება დადეს. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, გასულ და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქონებრივ დავებს შორის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გაყალბების გამო ყველაზე მეტი საქმე აღიძრა.*

- **იმისთვის, რომ კერძო საკუთრებაზე უფლება მოვიპოვოთ, საჭიროა ძალიან ფრთხილად ვიყოთ მისი შეძენის დროს.**
- **პირველ რიგში კლიენტს ვურჩევთ, რომ ქონების შეძენის დროს გარიგების ხელშეკრულებაში შემცირებული კი არა, ის რეალური ფასი ჩაწეროს, რასაც იხდის.**
- **საბუთების შეგროვება და ნოტარიუსში წარდგენა გარიგების გასაფორმებლად, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლება გარანტირებული და დაცულია.**



B2

# თავდაჯერებულობის სამიტი

თორნიკე შარაშენიძე
*ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

*გასულ კვირას თანამდებობიდან გადადგა კომპანია "იუკოსის" თავკაცი, ამერიკელი სტივენ ტიდი. მისი თქმით, აღარ არსებობს არანაირი იმედი, რომ ერთ დროს რუსეთის უდიდეს სანავთობო გიგანტს რაიმე გადაარჩენს. რუსეთის სასამართლოს მიერ გაკოტრების საკითხების კოორდინატორმა "იუკოსი" 15 მილიარდ დოლარად შეაფასა. იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობკომპანიის ვალები 15 მილიარდს შეადგენს, "იუკოსისათვის" ვალების რესტრუქტურიზაცია საბოლოოდ გამოირიცხა და ერთადერთ ალტერნატივას კომპანიის ლიკვიდაცია წარმოადგენს.*









B3

## ფასების საერთო დონე 0,12 პროცენტით გაიზარდა

გასული ერთი კვირის განმავლობაში თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 100,12 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,02 პროცენტი იყო.

წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე 0,12 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე - 0,24 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონლის და მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა ფოთლოვან კომბოსტოზე (12.3%-ით), ვაშლზე (4.9%-ით), ხახვზე (4.3%-ით), ყველზე (3.7%-ით), სიგარეტ ძჭინსტონ ლიგჰტ"-ზე (0.6%-ით); ამასთან ფასები შემცირდა კიტრზე (7.1%-ით), სტაფილოზე (6.6%-ით), კარტოფილზე (5.0%-ით), ჭარხალზე (2.6%-ით) და კარაქზე (0.8%-ით). **ჯი-ეიჩ-ენი**

## შპს "ალფა" 1 900 000 დოლარად იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "ალფას" გაყიდვის მიზნით აუქციონი გამოაცხადა, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 1 900 000 დოლარით განისაზღვრა.

შპს "ალფა" თბილისში, ჩაჩავას ქუჩაზე მდებარეობს და მისი საქმიანობის სფერო სამამულო მიკროელექტრონული ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოებაა. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 6 373 970 ლარს შეადგენს, დებიტორული დავალიანება 394 296 ლარია, ხოლო კრედიტორული 66 742 ლარი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება ხვალიდან დაიწყება და 24 აგვისტომდე გაგრძელდება. ტენდერი 24 აგვისტოს, 17:30 საათზე ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

## მარნეულის სასურსათო კომბინატი კონკურსის წესით გაიყიდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს "მარნეულის სასურსათო კომბინატი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 52,7 პროცენტს ყიდის

საპრივატიზაციო ობიექტის საქმიანობის სფერო ფართო ასორტიმენტის სასურსათო პროდუქტების, საკონსერვო ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება-რეალიზაციაა. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 10 508,5 კვ.მეტრია, ხოლო მიწის ფართის სიდიდე 85400 კვ. მეტრი. კომბინატის საწყისი გასაყიდი ფასი 250 ათასი აშშ. დოლარია. კონკურსი 24 აგვისტოს ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 200 ათას დოლარად შეფასდა

ყოფილი სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონში 200 ათას დოლარად შეფასდა. სოფელ აღდგომელაანთკარში მდებარე ობიექტის ქონებაში 3169,8 კვ.მ. შენობა-ნაგებობები და 13 290 კვ. მეტრი მიწის ფართი შედის. კონკურსის მთავარი პირობაა მყიდველის მიერ ობიექტის შესაძენად დასახელებული თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, ასევე მასზე დარიცხული დავალიანების, 1 182 ლარის, დაფარვა. კონკურსი 24 აგვისტოს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზეთი გლობალურ საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრირებას ცდილობს

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება და მომქმედი ფიჭური კავშირის კომპანიები ცდილობენ უახლოეს მომავალში სრულად დაფარონ "რესპუბლიკის" ტერიტორია. აფხაზეთის მთავრობამ მაგისტრალური კავშირის სამსახურის სახით შექმნა ერთობლივი საწარმო "ა-მობაილი". კომპანიის მიზანია აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დარჩეს "მკვდარი წერტილი" რომელზედაც არ გავცელდება რადიო ტალღების გავრცელება, შეზღუდული იქნება ტელემაუწყებლობა და მობილური კავშირი. ამ მიზნით, უახლოეს პერიოდში აფხაზეთში რუსეთიდან შესაბამის დანადგარებსა და აპარატურას შეიტანენ. კომპანია.

დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიჭურ კავშირს უზრუნველყოფენ "МегаФон", "Би Лайн GSM" და "МТС". ნიშანდობლივია, რომ "Би Лайн GSM" ვიმპელკომს ეკუთვნის რომელიც უახლოეს პერიოდში თავის საქმიანობას საქართველოშიც დაიწყებს. აფხაზეთში მობილური ტელეფონების დისპლეებზე ოპერატორის შერჩევის შესაბამისად სხვადასხვა წარწერები ფიქსირდება - Aquafon-GSM, GEO-67 an CC 282NC 67.

აფხაზები ინტერნეტის მოხმარებასაც საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე ინტერნეტის გლობალურ ქსელში მოხვედრა სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი.

პირველი - მობილური ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა ფიჭური ტელეფონებიდან, რომელთაც აქვთ WAP ან GPRS მხადრაჭერა. ასევე ნოუთბუქით GSM ქსელის გამოყენებით ისეთი ოპერატორებისაგან როგორიცაა "Кубань-GSM" ან "Мегафон-Кавказ".

მეორე -ტრადიციული ხერხით ინტერნეტში მოხვედრა შესაძლებელია სოხუმსა და გაგრაში. სოხუმში ასეთი სერვისი ხორციელდება ინტერნეტკაფეში.

შიდა საქალაქო სატელეფონო ქსელებში ახალი კოდების შემოღების შემდეგ შეიცვალა აფხაზეთის ტერიტორიაზე დარეკვის წესებიც. სოხუმსა და სოხუმის რაიონში დარეკვა შესაზლებელია შემდეგი სახით +(995 442). გულრიფშის რაიონში +(995 442), გაგრასა და გაგრის რაიონში +(995 443), ბიჭვინთაში +(995 443), გუდაუთა და გუდაუთის რაიონი +(995 444), ახალი ათონი +(995 444), ოჩამჩირე და ოჩამჩირის რაიონი +(995 445), ტყვარჩელი და ტყვარჩელის რაიონი +(995 446), გალი და გალის რაიონი +(995 447), ზარები ტელეფონზე "აკვაფონი" +(995 449).

ცნობისათვის, რამდენიმე თვის წინ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითმა კომისიამ აქტიურად დაიწყო მსჯელობა აფხაზეთში "უკანონოდ" მომქმედი რუსული ფიჭური კავშირის კოპანიების საქმიანობის აკრძალვის წინააღმდეგ.

კომისია შესაძლებლად მიიჩნევდა საქართველოსათვის მიყენებული ზარალისა და უკანონო საქმიანობის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად. თუმცა აღნიშნულ საკითხს არავითარი რეალური შედეგი არ მოყოლია.

უფრო მეტიც აფხაზეთში ე.წ. "უკანონოდ" მომქმედი ერთ-ერთი ფიჭური კომპანია საქათველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კანონიერ საქმიანობას უახლოეს პერიოდში დაიწყებს.

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღეისათვის ფიჭური კავშირით სარგებლობა გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, ახალ ათონში, სოხუმში, ბაბუშერას აეროპორტში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელშია შესაძლებელია.

ფიჭური კავშირის მომსახურეობის ნუსხაში შედის SMS შეტყობინება, ზარის გადამისამართება, ზარის დაყოვნება, კონფერენცია, საერთაშორისო როუმინგი. როუმინგის სისტემა აფხაზეთის მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს დარეკოს მსოფლიოს ნებისმიეს კუთხეში. **ჯი-ეიჩ-ენი**




# სასამართლოში უძრავი ქონების საკუთრების უფლებაზე 282 საქმე განიხილება

პირველი გვერდიდან

ქვეყნაში გარიგების გასაფორმებელ საბუთებს ხშირად უძრავი ქონების სააგენტოები აგროვებენ. ეს მოსახურება გარკვეული თანხა ღირს და თუ მყიდველ-გამყიდველს მისი გადახდა არ სურს, მაშინ მხარეები ნოტარიუსთან ურთიერთიერთობას თვითონვე აგვარებენ. ექსპერტების განმარტებით, საერთაშორისო პრაქტიკა სულ სხვა მეთოდებზე საუბრობს: უცხოეთში გარიგების წინ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების კვლევა ხდება. ასეთი მომსახურება საქართველოშიც არსებობს და როგორც ირკვევა ამ საქმეში ლიდერი ჯერჯერობით "თბილისის სატიტულო კომპანიაა". "24 საათი" კომპანიის აღმასრულბელ დირექტორს დავით არსენაშვილს ესაუბრა.

- უძრავი ქონება, ძვირადღირებული ქონების კატეგორიაა, რომელსაც გასხვისების თავისი წესები აქვს. ჩვენს ეპოქაში, ეს წესები არცერთ ქვეყანში მესაკუთრეს ბოლომდე ვერ იცავს საბუთების გაყალბებისგან. ვგულისხმობ კომპიუტერულ ეპოქას, როდესაც ნებისმიერი ხელმოწერის გაყალბებაა შესაძლებელი. როცა თაღლითური გარიგება ხდება, მაშინ ყოველთვის საქმე გვაქვს საბუთების გაყალბებასთან.

ქვეყანაში არსებობს კერძო საკუთრების ფორმა. კერძო საკუთრება კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია. იმისთვის რომ კერძო საკუთარებაზე უფლება მოვიპოვოთ, საჭიროა ძალიან ფრთხილად ვიყოთ მისი შეძენის დროს. სასურველია ქონების რეგისტრაცია პროფესიონალებს მივანდოთ.

**- როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ცრუ გამყიდველებთან ურთიერთობა?**

| | N | დავის სახე | დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი | შემოსულია საქმე | განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით | მ.შ. სარჩელის დაკმაყოფილებით | შეწყვეტილია | დატოვებულია სარჩელი განუხილველად | გადაეცა სხვა სასამართლოს | გადაეცა საქალაქო სასამართლოს | სულ დამთავრებულია | მ.შ. 5 თვეზე ზევით | განუხილველ საქმეთა ნაშთი | მ.შ. 5 თვეზე ზევით | ბაჟის თანხა დაკისრებული | ბაჟის თანხა გადახდილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანივთო სამართლებრივი დავები | 1 | სამეზობლო | 46 | 131 | 63 | 43 | 10 | 15 | 3 | 29 | 91 | 15 | 86 | 25 | 400.50 | 2254.50 |
| | 2 | დაკავშირ. უძრავ ქონებაზე საკუთრ. | 315 | 1119 | 475 | 352 | 78 | 111 | 15 | 239 | 679 | 63 | 755 | 133 | 5684.96 | 35838.61 |
| | 3 | აღნაგობა | | 2 | | | | 2 | | | 2 | | | | | |
| | 4 | უზურფრუქტი | | | | | | | | | | | | | | |
| | 5 | სერვიტუტი | 1 | 2 | 1 | | 1 | | | 1 | 2 | | 1 | 1 | 45.00 | 95.00 |
| | 6 | გირავნობა | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | | | 1 | 3 | | 7 | 2 | | 563.00 |
| | 7 | იპოთეკა | 39 | 177 | 81 | 76 | 32 | 13 | 6 | 38 | 132 | 20 | 84 | 27 | 481.00 | 111312.36 |
| | 8 | სხვა სახის დავები | 304 | 812 | 381 | 233 | 62 | 78 | 17 | 148 | 538 | 24 | 578 | 57 | 13050.26 | 30780.10 |
| | | *სულ სანივთო სამართლებრივი დავები* | *708* | *2250* | *1003* | *705* | *184* | *219* | *41* | *456* | *1447* | *122* | *1511* | *245* | *19661.72* | *180843.57* |

| | N | დავის სახე | დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი | შემოსულია საქმე | განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით | მ.შ. სარჩელის დაკმაყოფილებით | შეწყვეტილია | დატოვებულია სარჩელი განუხილველად | გადაეცა სხვა სასამართლოს | სულ დამთავრებულია | მ.შ. 5 თვეზე ზევით | განუხილველ საქმეთა ნაშთი | მ.შ. 5 თვეზე ზევით | ბაჟის თანხა დაკისრებული | ბაჟის თანხა გადახდილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანივთო სამართლებრივი დავები | 1 | სამეზობლო | 90 | 35 | 14 | 11 | 11 | 2 | | 27 | 1 | 98 | 23 | 31.00 | 1891.00 |
| | 2 | დაკავშირ. უძრავ ქონებაზე საკუთრ. | 749 | 282 | 122 | 105 | 23 | 25 | 2 | 172 | 3 | 859 | 111 | 992.50 | 30187.50 |
| | 3 | აღნაგობა | | 1 | | | | | | | | 1 | | | |
| | 4 | უზურფრუქტი | | 2 | | | | | | | | 2 | | | 60.00 |
| | 5 | სერვიტუტი | 1 | 3 | | | | | | | | 4 | 1 | | 60.00 |
| | 6 | გირავნობა | 7 | 9 | | | 1 | 1 | | 2 | | 14 | 6 | | 5692.00 |
| | 7 | იპოთეკა | 82 | 67 | 19 | 19 | 4 | | | 23 | | 126 | 12 | 500.60 | 65475.66 |
| | 8 | სხვა სახის დავები | 576 | 142 | 77 | 54 | 17 | 24 | 3 | 121 | 2 | 597 | 18 | 2203.64 | 22578.01 |
| | | *სულ სანივთო სამართლებრივი დავები* | *1505* | *541* | *232* | *189* | *56* | *52* | *5* | *345* | *6* | *1701* | *171* | *3727.74* | *125944.17* |

- თუ საბუთების გაყალბების საფრთხის თავიდან აცილებაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში პრობლემა შედარებით მარტივი გადასაწყვეტია. საჭიროა მოხდეს იმ პიროვნების პირადობის მოწმობის იდენტიფიცირება, რომელიც ქონებას ყიდის. შესაძლებელია დოკუმენტში გაყალბებული იყოს, სურათი, ხელისმოწერა, ან ბეჭედი. უფრო მნიშვნელვანი და რთულია, იმის დადგენა გაყალბებულია თუ არა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც ქონების მესაკუთრის შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

**- როგორ უნდა გადავამოწმოთ, პარტნიორი ნამდვილად ის პირია, ვინც ქონებას ყიდის, თუ სხვა?**

- ამ დოკუმენტების გადამოწმებას სპეციალური განათლება სჭირდება. ანუ, უნდა მივმართოთ ადამიანებს, რომლებიც ამ საქმის სპეციალისტები არან. გარგების დადების წინ საბუთების გადამოწმება მყიდველსაც შეუძლია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის ცოდნა - თუ რა ადმინისტრაციული მექანიზმები გამოიყენება საჭირო ინფორმაციის კანონიერი გზით მისაღებად.

**- საბუთები ყალბდება და ვიღაც ზარალდება იმიტომ, რომ სისტემამ არ უზრუნველყო მათი დაცვა, თუ სხვა შემთხვევებთან გვაქვს საქმე?**

- საბუთების შეგროვება და ნოტარიუსში წარდგენა გარიგების გასაფორმებლად, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი საკუთრების უფლება გარანტირებული და დაცულია. შეიძლება სახლის იდენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც შევისყიდე, გაყალბებული აღმოჩნდეს. ამიტომაც საჭიროა ამ ფაქტების გამოვლენა გარიგებამდე. თბილისის სატიტულო კომპანიის საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ გარიგებების დადების დროს ქონების შემძენის საკუთრების უფლება მაქსიმალურად იყოს დაცული. ჩვენ ვიკვლევთ გამყიდველის ნამდვილ ვინაობას, ვის ეკუთვნის სინამდვილეში უძრავი ქონება და სად მდებარეობს. მაგალითად, შეიძლება ორი მიწის ნაკვეთი მეზობლად მდებარეობდეს, მაგრამ სხვადასხვა კონფიგურაციისა და სხვადასხვა ღირებულების იყოს. გააჩნია რომელ ნაკვეთზე როგორი სახლი დგას და შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ ცუდი სახლის საკუთრების მოწმობით კარგი სახლი გაიყიდოს.

**- ხშირად ხდება ქონების ფასი სასამართლო დავის საგანი?**

- საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. პირველ რიგში კლიენტს ვურჩევთ, რომ ქონების შეძენის დროს გარიგების ხელშეკრულებაში შემცირებული კი არა, ის რეალური ფასი ჩაწეროს, რასაც იხდის. ასეთი ქმდება კანონიერია, რომელიც გადასახადების დამალვას უშლის ხელს. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ გამყიდველს, ან მყიდველს გარიგება არ მოეწონება და მის ჩაშლას მოინდომებს, მხარეები ადვილად დაამტკიცებენ რა თანხის დაბრუნებაზეა საუბარი. ფასი სასასამართლო დავის საგანი ხშირად გამხდარა, რასაც არსებული სტატისტიკაც ადასტურებს. მინდა გითხრათ, რომ კომპანიის კლიენტების უმეტესობა გარიგების დადების დროს ხელეკრულებაში ჩანაწერს რეალური ფასის შესაბამისად აკეთებს.

# საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი კვლავ რუსეთია

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, რუსეთი კვლავ საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორია. თუმცა ბუნებრივია ეს პარტნიორობა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ვითარდება.*

რუსეთის სტატკომის მონაცემებით, მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში საქართველოდან რუსეთში ექსპორტი 14,6 პროცენტით შემცირდა. საქართველოში იმპორტი კი 68,5 პროცენტთ გაიზარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოდან ექსპორტის შემცირების მიზეზად სტატკომი ღვინისა და მინერელური წყლის აკრძალვას ასახელებს.

წინა წლებთან შედარებით საქართველოში დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებელი 8,59 პროცენტით გაიზარდა და 623,4 მილიონი დოლარი შეადგინა. მეტად არის გაზრდილი ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში. კერძოდ, ზრდამ 50 პროცენტს მიარწია და 412,2 მილიონ დოლარს მიაღწია.

ქვეყნის მთლიან იმპორტში პირველ ადგილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იკავებს. 2005 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით, 2006 წლის იანვარ-ივნისში ნავთობპროდუქტების იმპორტმა 130,8 მილიონი დოლარიდან 203,3 მილიონ დოლარს მიაღწია

კერძოდ, 2006 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში მთლიანად იმპორტირებული საქონელი პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 12,9 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 8,8 პროცენტი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები და სხვა - 6,4 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 3,6 პროცენტი, ხორბალი და მესლინი - 2,4 პროცენტი, შაქარი 1,7 პროცენტი, რადიოსატელეფონო და რადიომაუწყებლობის აპარატურა - 1,3 პროცენტი, ელექტროენერგია 1,2 პროცენტი და ა.შ.

ენერგომატარებლების იმპორტის ზრდის მთავარი მიზეზი კი მათზე ფასების ზრდაა. იმპორტში მეორე ადგილს მსუბუქი ავტომობილები იკავებს. მათი იმპორტი 2005 წელთან შედარებით 65,1 მილიონი დოლარიდან 138,2 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, ანუ მათი შემოტანა 2,1-ჯერ გაიზარდა. შემდეგ ადგილზე ნავთობის აირებს და აირისებრი ნახშირწყალბადების იმპორტი იკავებს. წინა წლის იანვარ-ივნისთან შედარებით 47,6 მილიონი დოლარიდან 101,5 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ასევე გაორმაგდა ხორბლის შემოტანა 18,1 მლნ დოლარიდან 37,6 მლნ. დოლარამდე. წინა წელთან შედარებით, შემცირდა შაქრისა და ელექტროენერგიის იმპორტი, შესაბამისად, შაქარი - 29,8 მლნ დოლარიდან -27,4 მლნ დოლარამდე და ელექტროენერგია - 20,8 მლნ დოლარიდან 19,2 მლნ დოლარამდე. სამკურნალო საშუალებების იმპორტის ზრდა სტაბილურია და 10 პროცენტს შეადგენს. მთლიანად იმპორტში მსხვილ ჯგუფს შეადგენს ისეთი საინვესტიციო სახის საქონელი, როგორიცაა რადიო და სატელევიზიო გადამცემი აპარატურა, აპარატურა სატელეფონო კავშირისთვის, სატვირთო ავტომობილები და სხვა. **24 საათი**

## ტყიბული-შაორის საბადოზე ქვანახშირის მოპოვების ლიცენზია 110 ათას ლარად გაიყიდა

ტყიბულის რაიონში, ტყიბული-შაორის საბადოზე ქვანახშირის მოპოვების ლიცენზია პარასკევს 110 ათას ლარად გაიყიდა. ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განაცხადეს.

30-წლიანი ლიცენზიის მფლობელი კომპანია "საქინვესტი" გახდა, რომელმაც საწყის ფასზე - 100 ათას ლარზე - 10%-ით მეტი გადაიხადა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აღნიშნულ საბადოზე ქვანახშირის მოპოვებაზე მხოლოდ "საქინვესტის" განაცხადი შევიდა.

გამარჯვებული კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს 200 ათასი ტონა ქვანახშირის მოპოვება პირველ წელს, შემდეგ წლებში კი არანაკლებ 350 ათასი ტონის მოპოვება წელიწადში.

ლიცენზიაში საბოლოო თანხის გადახდა ოქმის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## პლასტიკური ბარათების ბრუნვის 3/4 აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკზე მოდის

ბრუნვაში გაშვებული აქტიური პლასტიკური ბარათების რიცხვის საერთო რაოდენობამ 2006 წლისMმეორე კვარტლის შედეგების მიხედვით 1,3 მლნ შეადგინა, ამის შესახებ სააგენტო "ტრენდი" იტყობინება.

გამოშვებული ბართების დიდი ნაწილი სოციალურ და სახელფასო ბარათებზე მოდის., რომელიც აზერბაიჯანის საერთაშორისო და კაპიტალბანკის მიერაა გაცემული. გამომდინარე აქედან, ემიტირებული პლასტიკური ბარათების რაოდენობის მიხედვით აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი პირველ ადგილზეა, 1 ივლისისთვის მას გამოშვებული აქვს სულ 800 ათასი ბარათი, მეორე ადგილზეა ძკაპიტალბანკი" (300 ათასი ბარათზე მეტი), მესამე ადგილი ძტექნიკაბანკს" ეკუთვნის, რომელმაც 20 ათასი მეტი ბარათი გამოუშვა .

ბრუნვაში ითვლება 620 ათასი საპენსიო ბარათი, რომელიც ბარათების ბაზა ძVisa"-ს მიერაა გამოშვებული. მათგან 480 ათასი პლასტიკური ბარათი აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკზე მოდის, ხოლო 140 ათასი - კაპიტალბანკზე.

ბარათებთან დაკავშირებულმა ოპერაციების საერთო ბრუნვამ მეორე კვარტალში 350 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, როცა პირველ კვარტალში ბრუნვა 200-210 მლნ აშშ დოლარი იყო. "Visa"-ს ბარათები - საერთო თანხა 230-250 მლნ აშშ დოლარი, MasterCard - 100 მლნ აშშ დოლარი. ბარათების სტაბილური ბრუნვის 75-80% საერთაშორისო ბანკზე მოდის, რამაც მეორე კვარტალში 250 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ტრანსაქციების მოცულობა გაიზარდა და ყოველდღიური ოპერაციების რიცხვა 40-50 ათასი შეადგინა, ხოლო ბრუნვამ დღეში 3,5-4 მლნ აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისი-ლენტეხი-თბილისის მიმართულებით პირველი საჰაერო რეისი მალე ამოქმედდება

უამინდობის გამო ჩაშლილი თბილისი-ლენტეხი-თბილისის მიმართულებით პირველი საჰაერო რეისი, რომელიც 20 ივლისს უნდა შესრულებულიყო უახლოეს მომავალში განხორციელდება.

როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, "ან-28 ტიპის მცირეგაბარიტიანი (17-ადგილიანი) საჰაერო ხომალდი სვანეთში ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებისთანავე, ჩიხარეშის აეროდრომზე დაეშვება. მათივე ინფორმაციით, ავიარეისზე რეგულარულ გადამზიდავად დაინიშნა ავიაკომპანია "თბილისის საავიაციო უნივერსიტეტი," რომელიც ან-28 ტიპის თვითმფრინავით კვირაში ერთ რეისს შეასრულებს.

მგზავრობის ღირებულება ერთი მიმართულებით, სახელმწიფო დოტაციის შედეგად 30 ლარი იქნება. თბილისი-ჩიხარეშის რეგულარული ავიარეისების სუბსიდირებისთვის ლენტეხის რაიონის ბიუჯეტში 30 000 ლარია გათვალისწინებული. **ჯი-ეიჩ-ენი**



### ბილ გეიტსი შიდსის ვაქცინის შექმნაში 287 მილიონს ჩადებს

ბილისა და მელინდა გეიტსების ფონდი შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის პროცესს აჩქარებს და ამ საქმიანობაში 287 მილიონ დოლარს დებს.

ბილ გეიტსის შემოწირულობა მსოფლიოს 19 ქვეყანაში 165 სპეციალისტზე გადანაწილდება. მედიკებს აღნიშნული თანხა ამ სასიკვდილო ვირუსთან უფრო აქტიური ბრძოლის საშუალებას მისცემს.

გრანტის მფლობელი ყველა კომპანია თანახმაა, რომ ინფორმაცია იმათაც გაუზიაროს, ვინც ალტერნატიულ პროექტებზე მუშაობს.

დღევადელი მონაცემებით, მსოფლიოში შეძენილი იმუნო დეფიციტის ვირუსით 40 მილიონი ადამიანია დაავადებული.

25 წლის წინ, ანუ მაშინ, როცა შიდსის ვირუსი პირველად აღმოაჩინეს, მედიკებმა და მეცნიერებმა რამდენიმე პოტენციური ვაქციანა გამოუშვეს, თუმცა ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა შიდსის მომაკვდინებელ ვირუსს შებრძოლებოდა.

ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ვირუსი ყოველ წუთიერად განიცდის მუტაციას და აზიანებს ადამიანის იმუნურ სისტემას, ვაქცინების მოქმედება, კი იმუნურ სისტემას ინფექციასთან ბრძოლაში პროვოცირებას უწევენ.

### უკრაინის ბანკი ვერცხლის მონეტას გამოუშვებს




უკრაინა ფულადი რეფორმების ათი წლის იუბილეს 2 სექტემბერს იზეიმებს. ამ დღის აღსანიშნავად, ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა საიუბილეო მონეტა გამოუშვა. მისი წონა ერთი კილოგრამია, დიამეტრი კი 100 მილიმეტრი. ეროვმული ბანკი მონეტას ვერცხლისგან დაამზადებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უკრაინის ეროვნული ბანკის ფულადი კანონმდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელმა გაავრცელა.

მისი თქმით, 2006 წელს, უკრაინის ეროვნული ბანკი 32 დასახელების, სხვადასხვა მეტალის საიუბილეო მონეტის გამოშვებას აპირებს. მათ შორის იქნება განსაკუთრებით ძვირფასი მონეტებიც. საიუბილეო მონეტების ნაწილი უკვე დამზადებულია. 2007 წლისთვის კი უკრაინის ეროვნული ბანკი 30 სამახსოვრო მონეტის გამოშვებას აპირებს.

### Goldman Sach-ი ბეჰს რუსეთისკენ იღებს

გლობალურმა მსოფლიო საინვესტიციო ბანკმა Goldman Sach-მა შესაძლოა რუსეთში შვილობილ ბანკი შემოდგომის შუა თვეებში გახსნას. გუშინ ბანკმა საფონდო ბაზრის მონაწილეებს ლიცენზიის მიღების თაობაზე მიმართვა გაუგზავნა. Goldman Sachs-ის ლონდონის ოფისში კი ბანკის რუსულ გეგმებზე ჯერ ოფიციალურად არ საუბრობენ. რუსული საინვესტიციო ბანკირები აღნიშნავენ, რომ Goldman Sachs-ის რუსეთში დამკვიდრება გლობალურ კონკურენტ დაინვესტიციო ბანკებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს, პირველ რიგში კი Morgan Stanley-ისა და Merril Lynch-ს.

"Goldman Sachs-ი მზადაა ლიცენზიების მთელი პაკეტი მიიღოს, და ამას ის თანდათანობით აკეთებს. მას ძალიან ამბიციური გეგმები აქვს, რომელიც საინვესტიციო-საბანკო ბიზნესში ლიდერული პოზიციიების მოპოვებაში გამოიხატება."- ასეთი აზრი რუსეთის საფონდო ბაზარის ერთ-ერთი წარმომადგენელმა გააჟღერა. ექსპერტები აცხადებენ, რომ ოქტომბერში ბანკი ყველა ლიცენზიას მიიღებს.

# თავდაჯერებულობის სამიტი

პირველი გვერდიდან

### ნავთობგიგანტის აღსასრული

"იუკოსის" კრედიტორებს წარმოადგენენ რუსეთის სახელმწიფო (13.5 მილიარდი დოლარის ვალი) და კომპანია "როსნეფტი." ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ "იუკოსს" მისი 3,5 მილიარდი მართებს. საერთოდ, "როსნეფტი" ეს ის კომპანიაა, რომელიც "იუკოსის" ჩაძირვის ხარჯზე აღზევდა. "იუკოსის" თავკაცის, მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრების შემდეგ, როცა მის კომპანიას დიდი ოდენობით გადასახადების დამალვა წაუყენეს ბრალდებად, კრემლმა "იუკოსს" რუსეთის უმსხვილესი ნავთობისმწარმოებელი ფირმა "იუგანსკნეფტგაზი" ჩამოართვა და "როსნეფტს" გადასცა. ახლა "როსნეფტის" აქციები (ანუ, "იუკოსის" ყოფილი ქონება) ლონდონის ბირჟაზე საჯაროდ იყიდება. ჩანს, ამ გაყიდვით (რაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის თამაშის წესებში ჯდება) მოსკოვი ცდილობს როგორღაც შეარბილოს ხოდორკოვსკის საქმით გამოწვეული უარყოფითი განწყობა. თუმცა, დასავლეთში ბევრი მოითხოვს მოხდეს გამოძიება, თუ რამდენად კანონიერია "როსნეფტის" აქციების გასაყიდად გამოტანა. რუსული კომპანია ამ ღონისძიების შედეგად დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის მოგებას იმედოვნებს. აქციათა შესაძლო მყიდველებად სახელდებიან "ბრიტიშ პეტროლიუმი," ჩინეთის ეროვნული ნავთობკომპანია და მალაიზიური "პეტრონასი."

"იუკოსი" კი "იუგანსკის" ჩამორთმევის მიუხედავად მაინც დიდძალ ქონებას ფლობს. მას ეკუთვნის "როსნეფტის" აქციათა 10% და "სიბნეფტის" (ამ კომპანიას, მას შემდეგ, რაც იგი "გაზპრომმა" შეისყიდა და რომელიც ადრე რომან აბრამოვიჩს ეკუთვნოდა, უკვე "გაზპრომნეფტი" ეწოდება,) აქციათა 20%. რაც შეეხება ნავთობმოპოვებას, "იუკოსს" ეკუთვნის "ტომსკნეფტი" (1,6 მილიარდი ბარელის რეზერვები), "სამარანეფტგაზი" (1,7 მილიარდი ბარელი) და "არქტიკგაზი" (ჯერ კიდევ აღუწერავი მოცულობის გაზის საბადოები). "იუკოსის" ქარხნებზე მთელი რუსეთის ნავთობმოპოვების 16% მოდის.

წესით და რიგით, ასეთი აქტივების მქონე კომპანია 15 მილიარდ დოლარზე მეტი უნდა ღირდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევს სტივენ ტიდიც, რომლის აზრითაც "იუკოსის" ფასი ხელოვნურად იქნა დაბლა დაწეული, რათა კომპანია საბოლოოდ გაანადგურონ. ნამდვილად არ იქნება მოულოდნელი, თუკი "იუკოსის" ლიკვიდაციას ხმას მისცემენ მისი კრედიტორებიც. ამის შემდეგ კი კომპანიის დარჩენილ ქონებას ალბათ ისევ "გაზპრომი" და "როსნეფტი" დაინაწილებენ.

ერთ დროს რუსეთის უმდიდრესი კომპანია ახლა მეტწილად კრემლის პოლიტიკის უმთავრესი იარაღის, "გაზპრომის" გაძლიერებას ხმარდება. ნაწილობრივ კი მისი ნარჩენები ლონდონში იყიდება. ძნელად სავარაუდოა, რომ რუსეთს, რომლის ხაზინაც ნავთობზე მაღალი ფასების წყალობით უკვე მილიარდებს ვეღარ იტევს, ძალიან სჭირდებოდეს "როსნეფტის" აქციების გაყიდვიდან შემოსული 10 მილიარდი. ეს გაყიდვა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უფრო პიარის ხასიათს ატარებს. ის პროპორცია, რომლითაც "იუკოსის" აქტივები ნაწილდება (დიდი ნაწილი "გაზპრომს" და მცირე ნაწილი დასავლეთში იმიჯის გაუმჯობესებისათვის) კარგად გამოხატავს კრემლის დღევანდელ სტრატეგიას - ძირითადი ყურადღება "გაზპრომსა" და ენერგეტიკული ზესახელმწიფოს მშენებლობას.

### სამიტი, რომელსაც იალტამდე ბევრი აკლდა

დიდი რვიანის შეხვედრის წინ, კრემლმა თავისი იმიჯის გასაუმჯობესებლად დასავლური პიარჯგუფი დაიქირავა. რუსული პრესა წერდა, რომ იალტის სამიტის შემდეგ ქვეყანას ასეთი მნიშვნელოვანი თავყრილობისათვის არ უმასპინძლია. თუმცა, დიდი რვიანის მორიგი შეხვედრის შედარება იალტის შეხვედრასთან, რომელმაც მსოფლიოს რუკა ხელახლა მოხაზა, ნამდვილად გაზვიადებულია. მითუმეტეს, რომ ახლანდელი დიდი რვიანის სამიტზე პრაქტიკულად არაფერი გადაწყვეტილა. მონაწილეებმა ლიბანში მიმდინარე კონფლიქტის თაობაზეც ვერ დააფიქსირეს საერთო პოზიცია. მიიღეს განცხადება ენერგეტიკული უსაფრთხოების თაობაზეც (რომელიც სამიტის დღის წესრიგის უმთავრესი თემა იყო), რომელშიც ასევე არ გამოკვეთილა რაიმე ახალი პრინციპები. თუმცა, განცხადებაში ჩამოყალიბებული მოწოდება "გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე მეტი გამჭვირვალეობის, სტაბილურობისა და პროგნოზირებადობისკენ" და ასევე "ენერგეტიკული ქარტიის პრინციპების მხარდაჭერა" ყველამ თავისებურად გაშიფრა. ევროკავშირის აზრით, ეს დოკუმენტი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან რუსეთი ვალდებულია უცხოური კომპანიებისათვის თავისი საბადოები "გახსნას" და ეს კომპანიები თავის მილსადენებზეც დაუშვას. მაგრამ, პუტინი განცხადებას თავისებურად შიფრავს. მისი თქმით, სამიტი დათანხმდა "აქცენტების" შეცვლაზე. კერძოდ: "თუკი აქამდე ენერგეტიკული უსაფრთხოება ქვეშ გაგებულ იყო, როგორც მომხმარებელთა სტაბილური უზრუნველყოფა ენერგორესურსებით, ახლა ჩვენი პარტნიორები დავარწმუნეთ, რომ ენერგოუსაფრთოება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა. იგი მოიცავს მოპოვებას, ტრანსპორტირებას და ბაზარზე გაყიდვას. ამ ჯაჭვის ყველა რგოლს თანაბრად სოლიდური პასუხისმგებლობა ეკისრება."

პუტინის ეს განცხადება ნიშნავს, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება ეს არა მხოლოდ დასავლური კომპანიების რუსულ საბადოებსა და მილსადენებზე დაშვებაა, არამედ რუსული კომპანიების დაშვება დასავლეთის ენერგოგანაწილების ბაზარზე. ამასთან, ძნელი სავარაუდოა, რომ კრემლი ამ გარიგებაზე თანახმაა და დასავლურ კომპანიებს რუსულ ენერგოსექტორში უშვებს. ძნელი წარმოსადგენია იმიტომ, რომ უშუალოდ რვიანის სამიტის დაწყების წინ დუმამ "გაზპრომს" გაზის ექსპორტირებაზე მონოპოლიური უფლება მიანიჭა. თავად პუტინი კი ენერგოსექტორს რუსული ეკონომიკის "წმიდათაწმინდა" სფეროს უწოდებს.

სამიტის წინ რუსული პოლიტიკური წრეები ვარაუდობდნენ, რომ დასავლეთის ლიდერები კრემლს დემოკრატიული ნორმების დარღვევისათვის დაუფარავად გააკრიტიკებდნენ. დასავლელებმა დელიკატურად შეიკავეს თავი მასპინძლისათვის ნოტაციების კითხვისაგან. თუმცა, ამას საპასუხო დელიკატურობა არ მოჰყოლია - რუსეთის პრეზიდენტმა პრეს-კონფერენციებზე საკმაოდ მწარედ გაჰკრა კბილი პრეზიდენტ ბუშსა და პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს, რისთვისაც რუსი ჟურნალისტებისგან ტაშის გრიალი დაიმსახურა. ამ სცენებმა აშკარა გახადა, რომ რუსეთი დღეს თავს ერთობ თავდაჯერებულად გრძნობს.




პეკინი ცდილობს ეკონომიკური ზრდის ტემპი შეაჩეროს.




რუსეთი დღეს თავს ერთობ თავდაჯერებულად გრძნობს.

### ჩინეთი ეკონომიკური ზრდის გაკონტროლებას ცდილობს

სანამ რუსეთი დასავლეთთან "ველიკოდერჟავობას" თამაშობს, ჩინეთი ცდილობს როგორმე დაამუხრუჭოს თავისი ეკონომიკის არანორმალური ზრდა, რომელმაც მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 11.3% შეადგინა. აშკარა ხდება, რომ ამ ტემპის შენელებისათვის საკმარისი არაა ჩინეთის ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული ზომები, რომელმაც ქვეყნის ბანკებს რეზერვის (თანხა, რომელიც კომერციული საქმიანობისათვის არ გამოიყენება და ერთგვარი დაზღვევისათვის არის გადადებული) 0,5%-ით გაზრდა მოსთხოვა. ახლა გადაწყდა, რომ უცხოურ ფირმებსა და ინდივიდებს აეკრძალებათ სახლების შესყიდვა, სადაც ისინი ცხოვრებას არ აპირებენ. სახლის ყიდვის უფლება მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ, თუკი იქამდე ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობენ ჩინეთში.

ეს ნაბიჯი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებისკენაა გადადგმული. თავის დროზე ჩინეთის ეკონომიკის აღზევება სწორედ უცხოურმა ინვესტიციებმა განაპირობა და ახლა ალბათ დროა, რომ მათი წილი ჩინეთის ეკონომიკაში როგორმე შემცირდეს. პეკინს წესით უნდა აწუხებდეს ის გარემოება, რომ უცხოური ინვესტიციების მოზღვავებამ თავის დროზე ხელი შუაშალა ჩინური მარკების განვითარებას. დღეს მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიების სიაში ჩინური კომპანიები თითქმის არ ფიგურირებენ, მაშინ როცა იქ არაერთი ინდური კორპორაციაა. მათ შორის გამოირჩევა "მიტალ სტილი," რომელმაც ახლახან ევროპულ მეტალურგიულ გიგანტთან, "არსელორთან" გაერთიანება განახორციელა და კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საქმიან სამყაროს ინდური ბიზნესის დიდი პერსპექტივები.

ზემოთ ჩამოთვლილი ზომების გარდა ჩინეთმა ასევე აკრძალა ფეშენებელური სახლების აშენება აუთვისებელ მიწებზე, რათა ეს ტერიტორიები ღარიბი ოჯახებისათვის იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ეს ნაბიჯი მშენებლობის ტემპების დასამუხრუჭებლადაც იქნა გადადგმული, რადგან ჩინელი ეკონომისტების აზრით მშენებლობა ყველაზე უფრო ნოყიერ ნიადაგს ქმნის ინფლაციისათვის.

თუკი ინფლაციის თავიდან აცილება მოხერხდა, წესით და რიგით ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ნორმალურ მაჩვენებლებზე უნდა გადავიდეს. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეული იქნება ეკონომიკის კანონებით, რომლის მიხედვითაც ზრდას ჩავარდნა მოჰყვება. მეორე მხრივ კი - იმ გარემოებით, რომ ჩინეთმა თავისი მაგალითით ეკონომიკური განვითარების გეზი უჩვენა რეგიონის (და არა მხოლოდ რეგიონის) ღარიბ სახელმწიფოებს. ეს გეზია იაფიან მანუფაქტურულ საქონელზე ორიენტირებული წარმოება, რომლის მეშვეობით იზრდება ექსპორტი, და ამავე დროს იაფი მუშახელის წყალობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამასთან, დროთა განმავლობაში ჩინური საქონელი თანდათანობით გაძვირდება (რადგან უკვე იზრდება მათი ხარისხი და მათზე მოთხოვნილებაც) და მათ ნაწილობრივ ღარიბი ქვეყნების საქონელი ჩაანაცვლებს. ამის ანალოგი უკვე არსებობს: თავის , დაახლოებით ამგვარი გზით წავიდა იაპონიაც და მისი საქონელი თანდათანობით ჩაანაცვლა იგივე ჩინეთმა, ტაივანმა თუ ტაილანდმა.

### კლება აშშ-ს ბირჟაზე










ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გასული კვირა ძირითად ინდექსთა კლებით დასრულდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა დოლარის კურსის დაცემამ, ნავთობის გაძვირებამ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური სიტუაციის დაძაბვამ და არადამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა. ამ უკანასკნელთაგან აღნიშვნის ღირსია მაღალტექნოლოგიური სექტორი. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიო ლიდერის Mocrosoft Corp-ის მოგებამ მეორე კვარტალში 23 პროცენტით მოიკლო. ამავე პერიოდში 12 პროცენტით შემცირდა მიკროსქემების მწარმოებელი მსოფლიო ლიდერის Advanced Micro Devices Inc (AMD)-ს შემოსავალი. გარდა ამისა, კომპანია Dell Inc-მა განაცხადა, რომ, გაყიდვების შემცირების გამო, წინასწარ ნავარაუდევზე ნაკლებ მოგებას მიიღებს, რამაც მისი აქციების 9,9 პროცენტით დაცემა განაპირობა. აქვე უნდა ითქვას, რომ კლება გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა Microsoft-ის მიერ 40 მილიარდი დოლარის ღირებულების საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ გაკეთებული განცხადება, რომელმაც ინვესტორებში ენთუზიაზმი დანერგა. როგორც ცნობილი გახდა, ასევე მოიქცევა Coca-Cola, რომელიც თავისი აქციების 13 პროცენტს შესყიდვას აპირებს. გარდა ამისა, თავისი მთავარი კონკურენტის, Yahoo-საგან განსხვავებით, რომელიც შემოსავლის კლებას განიცდის, ინტერნეტ-კომპანია Google-ს შემოსავალი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თითქმის ორჯერ, 94 პროცენტით - 2,46 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. Google-ის ამ წარმატებამ ინდექსთა უფრო მკვეთრი კლება შეაფერხა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,55 პროცენტით, 10.868,38 პუნქტამდე შემცირდა. 0,93 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.020,39 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,71 პროცენტით, 1.240,29 პუნქტამდე მოიკლო.

### ნავთობის ფასმა მოიმატა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 74,19 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 74,52 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. "შავი ოქროს" გაძვირების მიზეზი მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან ერთად გახლდათ გავრცელებული ინფორმაცია აშშ-ში ციკლონისაგან დაზიანებული ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გაჩერებამ, რომელთაგან ერთი, ლუიზიანას შტატში მდებარე კომპანია Valero Energy Corp-ს, ილინოისის შტატში კი კომპანია ConoccoPhillips-ს ეკუთვნის.

### ძვირფასი ლითონები ისევ გაიაფდა

გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსი დაეცა, ნავთობი გაძვირდა და მსოფლიოში კვლავ მძიმე გეოპოლიტიკური ვითარებაა, კვირის განმავლობაში ოქრო მესამედ, ამჯერად 1,6 პროცენტით, 632,5 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. ამის მთავარი მიზეზები წინა დღის გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაცია და სპილენძის ფასის მკვეთრმა, 5 პროცენტით, 340,95 ცენტი/ფუნტამდე კლებამ განაპირობა, რაც უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. ოქროსა და სპინლენძის გაიაფებამ და მოგების ფიქსაციამ გავლენა მოახდინა ვერცხლის ღირებულებაზე, რომლის ფასმა 0,5 პროცენტით, 11,065 დოლარი/უნციამდე მოიკლო. გარდა ამისა, 0,9 პროცენტით, 1226,3 დოლარი უნციამდე გაიაფდა პლატინა, პალადიუმის ფასმა კი 1,9 პროცენტით, 312 დოლარი/უნციამდე მოიკლო.

### ლონდონში უძვირესი ტეკილა გაიყიდება

მსოფლიოს ალკოჰოლური მრეწველობის ისტორიაში უძვირფასესი, ახალი მარკის ტეკილა ლონდონში ჩაიტანეს. "აცტეკთა ვნებად" წოდებული ამ სასმელის თითოეული ბოთლი 200 ათასი დოლარი ღირს. ეს ტეკილა ლურჯი აგავასაგანაა დამზადებული და სხვა მარკებისაგან ხანგრძლივი, 6 წლიანი დაძველებით განსხვავდება. უმაღლეს ხარისხს განაპირობებს ბოთლი, რომელიც პლატინისგან არის დამზადებული. სწორედ ამით აიხსნება "მექსიკურ არაყად" წოდებული ამ სასმელის სარეკორდო ფასი.

სულ ჩამოსხმულია 66 პლატინის ბოთლი "აცტეკთა ვნება". უფრო იაფი პარტიები დამზადებულია ოქროსა და ვერცლისაგან. ვერცხლის ბოთლში ჩამოსხმული ტეკილა 20 ათასი დოლარი ღირს. "აცტეკთა ვნების" მწარმოებელმა კომპანია "ტეკილა ლეი 925"-მა განაცხადა, რომ აპირებს დაამზადოს ტეკილას უნიკალური მარკა, რომელიც მილიონი დოლარი ეღირება. იგი პლატინისაგან დამზადებულ, ბრილიანტებით მოოჭვილ ბოთლში იქნება ჩამოსხმული და "სოთბის" აუქციონზე გაიყიდება.

### უმდიდრესი ადამიანების წუთობრივი შემოსავალი

განთქმულმა ჟურნალმა Forbes-მა გამოთვალა, რა ღირს პლანეტის უმდიდრესი ადამიანების დრო. როგორც აღმოჩნდა, 1 წუთში ყველაზე მეტს, 6659 დოლარს Microsoft-ის თავკაცი ბილ გეითსი შოულობს. მეორე ადგილზე აღმოჩნდა განთქმული ინვესტორი უორენ ბაფეტი, რომლის წუთობრივი შემოსავალი 5594 დოლარი გახლავთ. მესამე, წუთში მიღებული 3995 დოლარით მექსიკელი სატელეკომუნიკაციო მაგნატი კარლო სლიმ ელუ გახლავთ.

შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა შორის ბევრად მოკრძალებული ვითარებაა: რეჟისორ სტივენ სპილბერგის წუთობრივი შემოსავალი 632 დოლარია, მას ცოტათი ჩამორჩება და წუთში 575 დოლარს იჯიბავს განთქმული ტელეწამყვანი ჰოვარდ სტერნი, კიდევ ერთი რეჟისორის ჯორჯ ლუკასის წუთობრივი შემოსავალი კი 447 დოლარია. ცნობისათვის, საშუალო ამერიკული ოჯახის წუთობრივი შემოსავალი სულ რაღაც 8 ცენტია.




# საქართველოს ბაზარზე უმსხვილესი აზერბაიჯანული ბანკი შემოდის

პირველი გვერდიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკს" სურვილი აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში და ამ მიზნით, საქართველოში შვილობილი კომპანიის დაფუძნებას აპირებს.

აზერბაიჯანული ბანკის გეგმების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც სებ-ის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, უმსხვილესი აზერბაიჯანული ბანკის "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის" გამგეობის თავმჯდომარე ჯაჰანგირ გაჯიევი და ამავე ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ასკერ მამედოვი მიიღო და საქართველოში მათ სამომავლო საქმიანობის შესახებ ესაუბრა.

"აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი", რომლის აქციების 50 პროცენტზე მეტი აზერბაიჯანის მთავრობას ეკუთვნის, 2005 წლის ბოლოსათვის ამ ქვეყნის საბანკო სექტორის აქტივების 50.9 პროცენტს (1257.9 მლნ აშშ დოლარს), საკრედიტო პორტფელის 53.48 პროცენტს, დეპოზიტების 61.91 პროცენტს, სააქციო კაპიტალის 24.58 პროცენტს (90.92 მლნ აშშ დოლარს) ფლობდა.

**"ჩვენ მივესალმებით საქართველოს საბანკო ბაზარზე აზერბაიჯანის უმსხვილესი ბანკის შემოსვლას. საქართველო მზად არის, ითანამშრომლოს რეგიონის წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებთან,"** - განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

სხვათაშორის, მიმდინარე წელს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკს" საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოსაგან გრძელვადიანი რეიტინგი "BB" და მოკლევადიანი და ინდივიდუალური რეიტინგი "B" აქვს მიღებული.

მეტიც, ჟურნალმა "EUOMONEY"-მ 1997-2004 წლებში "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" აზერბაიჯანის საუკეთესო ბანკად დაასახელა, საბანკო ჟურნალმა "The banker"-მა ის 2000-2004 წლებში აზერბაიჯანში წლის ბანკად აღიარა, ხოლო ჟურნალმა "GLOBAL FINANE"-მა 2001-2005 წლებში მსოფლიოს განვითარებადი ბაზრების საუკეთესო ბანკად მიიჩნია.

ქართული საბანკო სექტორით დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების წარმომავლობა საკმაოდ მრავალფეროვანია. გერმანია, რუსეთი, ყაზახეთი, ავსტრია, ინგლისი, საფრანგეთი, სომხეთი - ეს მხოლოდ ერთი ნაწილია. მათი ინტერესი, ძირითადად, გამოწვეული იყო საქართველოში საბანკო სექტორის სწრაფი განვითარებით და სხვადასხვა საბანკო პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნით. საბანკო სექტორში კაპიტალის ზრდა კიდევ ერთი მიზეზით - კომერციული ბანკების მოგებისა და საწესდებო კაპიტალის ზრდითაც არის განპირობებული.

ქართული ბანკებით, კერძო ინვესტორების გარდა, ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიც ინტერესდებიან. თუმცა მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები კომერციულად ნაკლებად იყო გათვლილი და ის უფრო მეტად ჩვენს ქვეყანაში საბანკო სისტემის ხელშეწყობასა და განვითარებას ისახავდა მიზნად.

საბანკო სისტემაში საინვესტიციო მიმზიდველობას, როგორც წესი, მისი დინამიკური განვითარება (ამ მხრივ, გასული წლის შედეგებით, საქართველოს საბანკო სექტორს რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე სწრაფი ტემპი გააჩნდა) განაპირობებს. ამასთან, ეკონომიკური ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კაპიტალური დაბანდება შედარებით მოკლე დროში დიდ მოგებას მოიტანს.

ცალკეულ შემთხვევებში უცხოური საბანკო კაპიტალის შემოსვლის საფუძველს მათივე ქვეყნის კომპანიათა (ან შვილობილ ორგანიზაციათა) მასშტაბური პროექტების ადგილზე მომსახურების სურვილი წარმოადგენს.

### საქართველოს კომერციული ბანკების აქტივ-პასივების სტრუქტურა

2006 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით

(ლარებში)

| N | ბანკების დასახელება | აქტივები: მთლიანი აქტივები | მათ შორის: ნაღდი ფულადი სახსრები | ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | წმინდა სესხები | მისაღები პროცენტები და დივიდენდები | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | სხვა წმინდა აქტივები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „კასკად ბანკი - საქართველო" | **13180396** | 810930 | 5099828 | 0 | 742851 | 4808512 | 18610 | 63498 | 1496143 | 140024 |
| 2 | ეკბ „კავკასიის განვითარების ბანკის" თბილისის ფილიალი | **8905761** | 55216 | 5565276 | 0 | 0 | 2851418 | 16514 | 0 | 405197 | 12140 |
| 3 | სს „ბანკი ქართუ" | **245107978** | 9719215 | 31580939 | 0 | 0 | 182252003 | 1398731 | 1319336 | 17776408 | 1061346 |
| 4 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | **95217333** | 17110485 | 18438938 | 0 | 1051285 | 29391356 | 1498032 | 1928200 | 12097806 | 13701231 |
| 5 | სსკბ „საქართველოს ბანკი" | **606016414** | 37171323 | 88839678 | 0 | 5038755 | 360565386 | 3704432 | 9868834 | 38112033 | 62715973 |
| 6 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | **409674877** | 13017590 | 47215674 | 0 | 1584628 | 308860925 | 12698710 | 305496 | 22527512 | 3464342 |
| 7 | სს „პირველი კომერციული ბანკი" | **17460659** | 807157 | 585240 | 0 | 0 | 13541231 | 321503 | 42502 | 1842885 | 320141 |
| 8 | სს „შუგრეფიმპექსბანკი" | **10259780** | 162222 | 192673 | 0 | 0 | 5713287 | 461880 | 0 | 2517254 | 1212464 |
| 9 | სს „ინვესტბანკი" | **20710859** | 1585256 | 5368515 | 0 | 0 | 12669673 | 184028 | 0 | 796482 | 106905 |
| 10 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | **235463200** | 26700313 | 39066630 | 0 | 990819 | 137862617 | 3046154 | 4488656 | 19580326 | 3727685 |
| 11 | სსკბ „თბილბიზნესბანკი" | **10147944** | 875394 | 1276310 | 0 | 0 | 5203694 | 317574 | 40200 | 2142162 | 292610 |
| 12 | სს „ბანკი თეთრი" | **9334628** | 283977 | 1778360 | 0 | 0 | 6283416 | 45825 | 0 | 905356 | 37694 |
| 13 | სს „თიბისი ბანკი" | **701160454** | 30199558 | 152310497 | 0 | 3328881 | 434162684 | 4526937 | 3045762 | 37103848 | 36482287 |
| 14 | თურქეთის სს „ზირაათ ბანკის" თბილისის ემლაქის ფილიალი | **10897570** | 905637 | 7340763 | 0 | 2400235 | 0 | 0 | 0 | 240850 | 10085 |
| 15 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | **34110457** | 3087912 | 5059843 | 0 | 0 | 20845406 | 341577 | 300288 | 1481392 | 2994040 |
| 16 | სს „პროკრედიტ ბანკი" | **361703518** | 17920990 | 51835141 | 0 | 0 | 267436150 | 2535026 | 126011 | 15084655 | 6765545 |
| 17 | სს „ინტელექტბანკი" | **14601373** | 2534583 | 4310864 | 0 | 0 | 3179934 | 375359 | 1271170 | 1693752 | 1235711 |
| 18 | სს „სტანდარტ ბანკი" | **37645718** | 1014200 | 8245209 | 0 | 0 | 26288709 | 318493 | 2538 | 1113543 | 663026 |
| 19 | სსკბ „ბაზისბანკი" | **49872570** | 6799535 | 5462148 | 0 | 0 | 33125049 | 142959 | 55407 | 4045358 | 242114 |
|  | სულ | **2891471489** | **170761493** | **479572526** | **0** | **15137454** | **1855041450** | **31952344** | **22857898** | **180962962** | **135185362** |

### საქართველოს კომერციული ბანკების აქტივ-პასივების სტრუქტურა

2006 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით

(ლარებში)

| N | ბანკების დასახელება | პასივები: მთლიანი ვალდებულებები | მათ შორის: ბანკების დეპოზიტები | არასაბანკო დეპოზიტები | გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | ნასესხები სახსრები | სხვა ვალდებულებები | სააქციო კაპიტალი | მათ შორის: განაღდებული საწესდებო კაპიტალი | კაპიტალური რეზერვები | გაუნაწილებელი მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „კასკად ბანკი - საქართველო" | **3632467** | 0 | 1729645 | 5547 | 1827000 | 70275 | **9547929** | 10108700 | 79677 | -640448 |
| 2 | ეკბ „კავკასიის განვითარების ბანკის" თბილისის ფილიალი | **935526** | 555218 | 375802 | 0 | 0 | 4506 | **7970235** | 0 | 7923716 | 46519 |
| 3 | სს „ბანკი ქართუ" | **161184492** | 311752 | 66730675 | 403137 | 92263500 | 1475428 | **83923486** | 54716000 | 3715782 | 25491704 |
| 4 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | **81758572** | 2270776 | 64011921 | 208039 | 8221500 | 7046336 | **13458761** | 10000000 | 822134 | 2636627 |
| 5 | სსკბ „საქართველოს ბანკი" | **506837690** | 3049390 | 320684285 | 4871112 | 129153357 | 49079546 | **99178724** | 15464558 | 43513925 | 40200241 |
| 6 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | **368943789** | 157322063 | 138485595 | 9332142 | 54960004 | 8843985 | **40731088** | 35163895 | 364844 | 5202349 |
| 7 | სს „პირველი კომერციული ბანკი" | **3009963** | 15 | 2516950 | 17195 | 150000 | 325803 | **14450696** | 11992071 | 399384 | 2059241 |
| 8 | სს „შუგრეფიმპექსბანკი" | **1378292** | 0 | 1359354 | 3519 | 0 | 15419 | **8881488** | 7941480 | 250685 | 689323 |
| 9 | სს „ინვესტბანკი" | **12885416** | 913723 | 7254530 | 10271 | 0 | 4706892 | **7825443** | 7920000 | 91275 | -185832 |
| 10 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | **200235348** | 3736673 | 179350815 | 2395182 | 10870650 | 3882028 | **35227852** | 7000000 | 4748829 | 23479023 |
| 11 | სსკბ „თბილბიზნესბანკი" | **2377206** | 230 | 2253350 | 33113 | 0 | 90513 | **7770738** | 7361850 | 102019 | 306869 |
| 12 | სს „ბანკი თეთრი" | **1040096** | 0 | 962650 | 1837 | 0 | 75609 | **8294532** | 5950000 | 406293 | 1938239 |
| 13 | სს „თიბისი ბანკი" | **603391172** | 6497590 | 441035107 | 7045951 | 116839766 | 31972758 | **97769282** | 5384700 | 14718413 | 77666169 |
| 14 | თურქეთის სს „ზირაათ ბანკის" თბილისის ემლაქის ფილიალი | **2865474** | 1568 | 2601004 | 0 | 0 | 262902 | **8032096** | 0 | 7280247 | 751849 |
| 15 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | **27858605** | 369198 | 13702020 | 46964 | 13337100 | 403323 | **6251853** | 6914400 | 575338 | -1237885 |
| 16 | სს „პროკრედიტ ბანკი" | **316233521** | 17906148 | 157977083 | 3987696 | 125185609 | 11176985 | **45469997** | 35328990 | 1896009 | 8244998 |
| 17 | სს „ინტელექტბანკი" | **34811284** | 137426 | 6735304 | 197360 | 708276 | 27032918 | **-20209911** | 5000000 | 1263018 | -26472929 |
| 18 | სს „სტანდარტ ბანკი" | **29881690** | 3039450 | 12620216 | 132995 | 13917210 | 171819 | **7764028** | 6900000 | 0 | 864028 |
| 19 | სსკბ „ბაზისბანკი" | **38636286** | 797201 | 35645371 | 256613 | 1365400 | 571701 | **11236284** | 5025000 | 3996146 | 2215138 |
|  | სულ | **2397896889** | **196908421** | **1456031677** | **28948673** | **568799372** | **147208746** | **493574600** | **238171644** | **92147734** | **163255223** |

## მცირე სტატისტიკა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2006 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების წილმა საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალის 51.6 პროცენტი შეადგინა. კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 10 ბანკი, რომელთა წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 79 პროცენტს შეადგენდა. ამ ბანკების საწესდებო კაპიტალში 50 პროცენტზე მეტს უცხოელები ფლობდნენ. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით მოქმედი 10 კომერციული ბანკიდან 6 ბანკის კაპიტალში ინვესტიციები განხორციელებული აქვთ სხვადასხვა უცხოურ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, რომელთა შორის არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC), გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG), გერმანიის "აღმშენებლობის საკრედიტო დაწესებულება" (KfW), სს "პროკრედიტ ჰოლდინგი", გერმანული "კომერცბანკი", რუსული "ვნეშტორგბანკი", ყაზახური "ბანკი ტურან ალემი", ავსტრიული "ბანკ ავსტრია კრედიტანშტალტი", სომხური "კასკად ბანკი" და სხვ. უკვე მიმდინარე წლის დასაწყისში უმსხვილესი ფრანგული ბანკის "სოსიეტე ჟენერალეს" (SOCIETE GENERALE) წარმომადგენლები საქართველოში საბანკო ბაზარზე არსებული ვითარებით და მისი განვითარების პერსპექტივებით დაინტერესდნენ. გამორიცხული არ არის, რომ არცთუ ისე შორეულ მომავალში ფრანგებმა საკუთარი ფილიალი საქართველოშიც გახსნან.

ამასთან, დღეისათვის ლიკვიდაციის პროცესში მყოფი 17 კომერციული ბანკიდან აქტივების მოცულობის სიდიდიით საქართველოს საზღვაო ბანკი ლიდერობს. მისი მთლიანი აქტივების მოცულობა 29 775 355 ლარს შეადგენს.

პასივების კატეგორიაში პირველი ადგილი ამავე ბანკს უკავია. მისი პასივების მთლიანი ვალდებულებები 23 207 051 ლარს შეადგენს.

შემდეგ ადგილზეა თბილკომბანკი, რომლის მთლიანი ვალდებულებების მოცულობა 15913126 ლარია.

პასივების კატეგორიაში, კერძოდ კი ნასესხები სახსრების მოცულობაში, თბილკომბანკი ლიდერობს. ამ ბანკის ნასესხები სახსრების მოცულობაა 12730823 ლარი.

ეს მაჩვენებელი თბილკრედიტბანკისთვის 12697382 ლარია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის ექვს თვეში კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დოლარიზაცია 8,1 პროცენტით შემცირდა და 66,4 პროცენტით განისაზღვრა. 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 74,5%-ი იყო.

დაფიქსირდა 107-პროცენტიანი ზრდა ეროვნულ ვალუტაში და მისმა მოცულობამ 553 მილიონი ლარი შეადგინა.

## ოქტომბრიდან "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" "ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" დაერქმევა

გადაწყვეტილება 21 ივლისს გამართულ "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე იქნა მიღებული.

როგორც "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" აცხადებენ, სახელწოდების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება "ვნეშტორგბანკის" ჯგუფში მიმდინარე "რებრეინდინგისა" და ჯგუფის ერთიანი კორპორატიული სტილის შემუშავების პროცესიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ქართულ საფინანსო ბაზარზე "გაერთიანებული ქართული ბანკი" ახალი სახელწოდებით განაგრძობს მუშაობას - ს.ს. "ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" (ლათინური აბრევიატურით: VTB Bank Georgia).

"გაერთიანებული ქართული ბანკის" გარდა "ვნეშტორგბანკის" ჯგუფი აერთიანებს შვილობილ კომპანიებს დასავლეთ ევროპისა და დსთ-ს მთელი რიგი ქვეყნებიდან, კერძოდ: ლონდონიდან (დიდი ბრიტანეთი); პარიზიდან (საფრანგეთი); ციურიხიდან (შვეიცარია); ფრანკფურტიდან (გერმანია); ლიმასოლიდან (კვიპროსი); ვენიდან (ავსტრია); ლუქსემბურგიდან; კიევიდან (უკრაინა); ერევნიდან (სომხეთი). ასევე წარმომადგენლობებს მილანიდან (იტალია); პეკინიდან (ჩინეთი); დელიდან (ინდოეთი) და მინსკიდან (ბელორუსი).

"გაერთიანებული ქართული ბანკი" "ვნეშტორგბანკის" ჯგუფის წევრია 2005 წლის 18 იანვრიდან, როცა გაფორმდა ხელშეკრულება "ვნეშტორგბანკის" მიერ "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენის შესახებ.

სადღეისოდ "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციონერები არიან: "ვნეშტორგბანკი" (საკონტროლო პაკეტით); "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" და საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები.

უახლოეს მომავალში, 2006 წლის ბოლომდე, დაგეგმილია "ვნეშტორგბანკისა" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან" "გაერთიანებული ქართული ბანკისათვის" დამატებით სოლიდური მოცულობის ახალი საკრედიტო რესურსის გამოყოფა. აღნიშნული რესურსი ბანკს საშუალებას მისცემს გააძლიეროს აქტიურობა, როგორც კორპორატიულ, ისე საცალო საბანკო ბაზარზე და გაიმყაროს ქართული საფინანსო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია.

2006 წლის 1 ოქტომბრამდე დარჩენილ პერიოდში "რებრეინდინგთან" დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა. **24 საათი.**

## ამინდი

| | 24/07 | 25/07 | 26/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 30 | 30 | 32 |
| რიგა | 30 | 26 | 28 |
| ვილნიუსი | 29 | 30 | 28 |
| მოსკოვი | 24 | 25 | 27 |
| მინსკი | 31 | 30 | 31 |
| პარიზი | 28 | 35 | 37 |
| რომი | 34 | 35 | 35 |
| ლონდონი | 30 | 31 | 35 |
| მადრიდი | 36 | 37 | 35 |
| ბონი | 31 | 33 | 36 |
| ვარშავა | 36 | 35 | 35 |
| ათენა | 31 | 31 | 32 |
| ბერნი | 31 | 34 | 35 |
| ამსტერდამი | 27 | 28 | 32 |
| ოსლო | 26 | 28 | 27 |
| ანკარა | 31 | 32 | 33 |
| ვარნა | 35 | 35 | 33 |
| დელი | 51 | 45 | 39 |
| ტოკიო | 32 | 32 | 33 |
| კოპენჰაგენი | 25 | 23 | 25 |
| ბაქო | 33 | 33 | 32 |
| ერევანი | 40 | 38 | 38 |
| ასტანა | 20 | 20 | 21 |
| ჰელსინკი | 23 | 24 | 23 |
| დუბლინი | 20 | 21 | 21 |
| ლისაბონი | 27 | 28 | 28 |
| პრაღა | 31 | 31 | 33 |
| სოფია | 28 | 30 | 30 |
| ბუდაპეშტი | 36 | 36 | 37 |
| ბუხარესტი | 37 | 39 | 40 |

## ზაფხულში კარტოფილის დაავადების გავრცელებაა მოსალოდნელი

საქართველოს მოსახლეობას კარტოფილის დაავადების გავრცელების თავიდან აცილებისკენ მოუწოდებს საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური. კარტოფილის ჩხირებით, ძირითადად, ხორბლის პური ავადდება, პური კი ერთ-ერთი ძირითადი საკვებია, რომელიც კალიუმს, რკინას და B ჯგუფის ვიტამინს შეიცავს. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ალექსანდრე ოდიაშვილის განცხადებით, ავადდება მხოლოდ პურის გული, სადაც ცხობის დროს მაღალი ტემპერატურა ვერ აღწევს. კარტოფილის დაავადებით დაზიანებული პური არასასიამოვნო სფეციფიკურ სუნს ღებულობს და აქვს მწებავი გული. ეს დაავადება მაღალი მჟავიანობის გამო ჭვავის პურში არ აღინიშნება.

მისი თქმით, აღნიშნული დაავადების პურში გაცილების თავიდან ასაცილებლად პურის მწარმოებელ ობიექტებში ფქვილი მშრალ და განიავებულ საწყობში უნდა ინახებოდეს. ზაფხულის პერიოდში ცომში უნდა მოხდეს სიმჟავის მომატება. უნდა დაჩქარდეს პურის რეალიზაცია როდონებზე ვენტილაციის გაძლიერებით და 4 საათის შემდეგ მოხდეს მისი რეალიზაცია. პურის რეალიზაციის ვადაა 24 საათი. სარეალიზაციო ქსელში პური უნდა ინახებოდეს სპეციალურ თაროებზე, არ უნდა ელაგოს ერთმანეთზე და გადაფარებული უნდა ჰქონდეს დოლბანდი. საოჯახო პირობებში ზემოაღნიშნული დაავადების თავიდან ასაცილებლად პური უნდა შევინახოთ მშრალ განიავებულ ადგილას სადაც ტემპერატურა არ აღემატება +160 C -ს. დაავადებული პურის საკვებად გამოყენება იწვევს კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას და ფაღარათს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისი-ბათუმის საფირმო მატარებლის მიმოსვლა დღეს აღდგება

24 ივლისს, თბილისი-ბათუმის საფირმო მატარებლის მიმოსვლა აღდგება. ახალი სეზონისთვის შემადგენლობა შეკეთდა და უფრო კომფორტული და მოდერნიზებული გახდა. შპს "საქართველოს რკინიგზა" მოსახლეობას საფირმო მატარებლით მგზავრობის ახალ ფასებს სთავაზობს. რბილი ვაგონის ღირებულება 35 ლარს შეადგენს, კუპირებულის - 23 ლარს, ხოლო პლაცკარტის ტიპისა - 10 ლარს. თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელი ღამის რეისს დღეგამოშვებით შეასრულებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მთავრობა პარლამენტის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევისთვის ფულს ვერ იმეტებს

საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის პრინციპული შეუთანხმებლობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტი აპარატის თანამშრომლების დაზღვევის თანადაფინანსებას მაინც განახორციელებს. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება ორი მოსმენით უკვე მიიღო, თუმცა მთავრობა ცვლილების მიღების კატეგორიული წინააღმდეგია. ხვალინდელ რიგგარეშე სხდომაზე "პარლამენტის რეგლამენტის შესახებ" კანონპროექტში აღნიშნული ცვლილებების მიღება მესამე მოსმენით იგეგმება.

როგორც ცვლილებათა პროექტშია აღნიშნული : პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა. პარლამენტის აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეთა, ასევე პარლამენტთან არსებული დაწესებულებების მოსამსახურეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებზე, ხაზინადართა საბჭოს წარდგინებით, გადაწყვეტილებას პარლამენტის თავმჯდომარე იღებს.

დეპუტატები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მთავრობა მხოლოდ იმიტომ არის წინააღმდეგი, რომ მას ბიუჯეტში დამატებითი თანხების გათვალისწინება აღნიშნული საკითხის დასაფინანსებლად არ სურს. გარდა ამისა, როგორც დეპუტატები აცხადებენ, მთავრობა მიიჩნევს, რომ თუკი პარლამენტმა საკუთარი აპარატის საჯარო მოხელეებს აღნიშნული სახით დაზღვევის ფორმა დაუწესა, დაზღვევის ამ ფორმას სხვა დაწესებულებების საჯარო მოხელეებიც მოითხოვენ. შესაბამისად, ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხები კატასტროფულად გაიზრდება. **ინტერპრესნიუსი**

## სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროცესი ემ-სი-ჯი-ს აღმასრულებელმა გუნდმა მოინახულა

სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით კარწახის სასაზღვრო ზოლსა და ახალქალაქის მიმდებარე ტერიტორიას ეწვივნენ.

ვიზიტის ძირითადი მიზანი, კარწახის შესაძლო სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტებთან მისასვლელი გზების, კარწახის ტბასთან გამავალი გზისა და ასევე ახალქალაქის ასაქცევი გზის ალტერნატიული მარშრუტების დათვალიერება-შეფასებაა.

ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში "ემ-სი-ჯი"-ს აღმასრულებელი გუნდის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალური პირები, ასევე "ემ-სი-ჯი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, თურქეთის საელჩოსა და გერმანული საპროექტო კომპანიაn"კოქს კონსალტი"-ს წარმომადგენლები იყვნენ.

"სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების, ტურისტული პოტენციალის გაცოცხლების, იზოლირებული რეგიონების დანარჩენ საქართველოსთან რეინტეგრაციის, ბიზნესის განვითარებისა და კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს. ჩვენი დღევანდელი ვიზიტი კი სარეაბილიტაციო გზის კონკრეტული მონაკვეთების უკეთ დაგეგმარებას ითვალისწინებს და მოხარული ვარ, რომ ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც საქართველოს ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები"- განაცხადა "ემ-სი-ჯი"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა და ვიზიტის ინიციატორმა ლაშა შანიძემ. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

დონ-ადონი



C2

უბურთოდ ჩაგვძირეს



C3

ამსტერდამიდან
მოდის ქარავანი...



C4

## კოკაის წარმატებული ბაშო



იაპონიაში დასრულდა ივლისის ბაშო, რომელიც ქართველ სუმოისტ კოკაის აქტივში უნდა ჩაეთვალოს. 15 ბრძოლაში კოკაიმ 10 გამარჯვება მოიპოვა და აგვისტოს რეიტინგში აშკარად წინ წაიწევს.

შაბათს კოკაის ძლიერი მეტოქე ჰყავდა - ქართველი დასავლეთ კონფერენციის ოძეკის ტოშიაძიმას ეპაექრებოდა. ლევანმა კარგად წარმართა ორთაბრძოლა და მეტოქე დაამარცხა. შეჯიბრების ბოლო, მე-15 დღეს, კოკაიმ, ეტყობა, კონცენტრაცია დაკარგა და მე-12 მაიგეშირა ტოჩინონდასთან დამარცხდა. რაც შეეხება ბაშოს გამარჯვებულს. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება არავის დაუთმო მონგოლმა სუმოისტმა ასოშორიუმ, რომელსაც ივლისის ბაშოზე არც ერთი ბრძოლა არ წაუგია და 15 გამარჯვებით პირველ ადგილზე გავიდა.

## ქართული "მაზურკა" პოლონეთში

**ჩოგბურთი. დევისი თასი.**
**ევრო-აფრიკის ზონა. მე-2 ჯგუფი**
**პოლონეთი - საქართველო**
**მიხაელ პრიშენჟი - ირაკლი ლაბაძე 6:3, 3:6, 4:6, 4:6**
**ლუკაშ კუბოტი - ლადო ჩიხლაძე 7:5, 6:4, 6:2**
**ფირსტენბერგერი-მატკოვსკი - ლაბაძე-ჩიხლაძე 6:1, 6:2, 6:4**
**ლუკაშ კუბოტი - ირაკლი ლაბაძე 6:4, 3:6, 7:5, 2:6, 4:6**
**მარიუს ფირსტენბერგერი - ლადო ჩიხლაძე 5:7, 6:7, 6:7**

პარასკევს, შაბათს და კვირას საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის ევრო-აფრიკის ზონის მე-2 ჯგუფის მორიგ მატჩს მართავდა პოლონეთის ნაკრებთან. ამ დაპირისპირებას ჩვენი მეტოქე მასპინძლობდა და კორტის საფარიც პოლონელებმა აირჩიეს. პოლონელებმა თიხაზე თამაში ამჯობინეს.

ასპარეზობის პირველ დღეს საქართველოს ნაკრების პირველი ჩოგანი ირაკლი ლაბაძე პოლონელთა მეორე ნომერ მიხაელ პრიშენჟს დაუპირისპირდა. პირველი სეტი მასპინძელი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ შემდეგ ლაბაძე ჩვეულ სტილში ათამაშდა და მეტოქე უშანსოდ დატოვა. პარასკევს ვერაფერს გახდა ლადო ჩიხლაძე, რომელიც სამივე პარტიაში დამარცხდა პოლონელთა პირველ ნომერ ლუკაშ კუბოტთან.

მეორე დღეს ლაბაძეს და ჩიხლაძეს პოლონურ წყვილთან მოუხდათ დაპირისპირება. პოლონელთა კაპიტანმა კორტზე დასვენებული ჩოგბურთელები გამოიყვანა. მასპინძლებმა იოლად, სამ სეტში დაამარცხეს ქართული წყვილი. ასე რომ, ასპარეზობის ორი დღის შემდეგ უპირატესობა პოლონელთა მხარეს იყო.

გუშინ პირველები ორივე გუნდის პირველი ნომრები გამოვიდნენ კორტზე და კუბოტს ლაბაძისთვის რომ მოეგო, მეხუთე მატჩი აზრს კარგავდა. პოლონელმა კარგად დაიწყო თამაში და პირველ სეტში იმარჯვა კიდეც. შემდეგი სეტი ლაბაძის უპირატესობით წარიმართა, თუმცა სამი სეტის შემდეგ წინ მაინც კუბოტი იყო. მეოთხე და მეხუთე სეტი უიმბლდონის ტურნირის ქართველმა მეოთხედფინალისტმა ალმავლობით ჩაატარა და საერთო ჯამში ანგარიში გაათანაბრა. ყველაფერი ბოლო, მეხუთე მატჩში უნდა გადაწყვეტილიყო, რომელშიც ჩიხლაძე მარიუს ფირსტენბერგერს ეთამაშებოდა. ლადომ კარგი ჩოგბურთი აჩვენა და სამ სეტში დაამარცხა მეტოქე. ერთი შეხედვით, ქართველმა იოლად მოიგო, თუმცა, ასე არ ყოფილა. თუ პირველ სეტში ლადომ მეტოქის გეიმის მოგება მოახერხა, დარჩენილ ორ სეტში გამარჯვებულის ბედი ტაიბრეიკზე გადაწყდა.

ასე რომ, ჩვენმა ჩოგბურთელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. ახლა უნგრეთის ნაკრებთან მოუწევთ თამაში. ეს შეხვედრა 22-24 სექტემბერს უნგრეთში გაიმართება.

# ესეც ასე!

## ელიტაში ვართ

პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე 20 წლამდე ასაკის კალათბურთელთა შორის საქართველოს ნაკრებმა პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა და B დივიზიონიდან ელიტაში გადაინაცვლა.

იმისთვის, რომ ქართველ ახალგაზრდებს A დივიზიონის საგზური მოეპოვებინათ, საჭირო იყო ფინალში გასვლა. საქართველოს ნაკრებმა ორი ჯგუფური ეტაპი კარგად გაიარა და ნახევარფინალში ფინეთის ნაკრებს დაუპირისპირდა. შეგახსენებთ, რომ უსტიაშვილის ბიჭებმა ტურნირი სწორედ ფინეთთან მატჩით დაიწყეს და დამარცხდნენ, თუმცა იმ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. ფინეთ-საქართველოს მეორე მატჩში კი ფინალისტის ბედი ირკვეოდა. ფინალის საგზური ელიტურ დივიზიონში აღზევებას ნიშნავდა.

საქართველოს ნაკრებმა ეს პრინციპული მატჩი - 74:63 მოიგო.

შეხვედრა დაძაბული გამოდგა. თავდაპირველად მცირე უპირატესობას ფინელები ფლობდნენ, რომლებმაც პირველი მეოთხედი 15:14 მოიგეს, თუმცა ამის შემდეგ თამაში ქართველი ახალგაზრდების სრული უპირატესობით წარიმართა. ვიქტორ სანიკიძე კი საერთოდ შეუჩერებელი იყო. მეორე მეოთხედში მან თავის გუნდს 13 ქულა შესძინა და 7-ჯერ მოიგო ფარქვეშ ბრძოლა, რითიც განაპირობა ჩვენი გუნდის უპირატესობა. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში - 41:34 იყო საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

მესამე მეოთხედში ფინელებმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს. ერთ-ერთ მომენტში 5-ქულიანი უპირატესობაც კი მოიპოვეს - 55:50, თუმცა ეს დროებითი წარმატება აღმოჩნდა. ქართველებმა სანიკიძის დახმარებით კვლავ შეიტანეს თამაშში გარდატეხა და მეოთხე მეოთხედი ისე დამთავრდა, მეტოქეს მატჩის გადარჩენის შანსი არ ჰქონია.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა სოლიდურ წარმატებას მიაღწია. მართალია, პორტუგალიური ტურნირი უსტიაშვილის გუნდისთვის მარცხით დაიწყო, მაგრამ მთავარი მიზანი მიღწეულია. მომავალ სეზონში საქართველოს ნაკრები უკვე ევროპის ელიტურ გუნდებთან ერთად ითამაშებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ვიქტორ სანიკიძის ბრწყინვალე თამაში, რომელიც შესაძლოა ტურნირის საუკეთესო კალათბურთელადაც დაასახელონ. ნახევარფინალური მატჩი ვიქტორმა 27 ქულით და 14 ფარიდან მოხსნილი ბურთით დაასრულა. მთლიანობაში კი სანიკიძე მატჩში საშუალოდ 23,4 ქულას აგროვებდა და 10,4-ჯერ ხსნიდა ფარიდან ბურთს, რაც უდავოდ ბრწყინვალე შედეგია.



*სანიკიძეს ნაკრების წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის.*

## რატომ ვერ ითამაშა რონალდინიომ

მსოფლიო ჩემპინატზე ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდინიო საკუთარ აჩრდილს ჰგავდა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა გერმანიის მინდვრებზე ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. ბევრს მიაჩნია, რომ პენტაკამპეონთა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ რონალდინიოს სუსტი თამაში იყო. ხოლო რა იყო რონალდინიოს უფერული თამაშის მიზეზი, ამის თაობაზე ბრიტანულ გაზეთ "სენს" ფეხბურთელის 22 წლის მეგობარი გოგონა, ფრანგი ალექსანდრა პარესანი ესაუბრა.

თურმე ნუ იტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას რონალდინიო იპარებოდა ბრაზილიის ნაკრების საწვრთნელი ბაზიდან, რათა ყოველი ღამე, მატჩისწინაც კი, შეყვარებულთან გაეტარებინა.

"ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ფეხბურთელებს აუკრძალა სასტუმროს დატოვება, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, მაგრამ მე და რონალდინიოს ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. ამიტომ "რონი" ყოველღამ იპარებოდა და ჩემთან მოდიოდა, - ამბობს ფრანგი ლამაზმანი, - არა მგონია, ჩვენს სიყვარულს მისი თამაშისთვის ხელი შეეშელოს. ლოგინში ისეთივე ფანტასტიკურია, როგორც მინდორზე. მე მას ბედნიერება ვაჩუქე, ხოლო როცა რონალდინიო ბედნიერია, ფეხბურთსაც ბრწყინვალედ თამაშობს".

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელები მეოთხედფინალურ ეპატზე საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდნენ. რონალდინიოს არც ამ მატჩამდე და არც მანამდე მინდორზე დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანგი გოგონა სიმართლეს ამბობს.

## ტრეზეგეს არჩევანი

ტურინის "იუვენტუსისა" და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი დავიდ ტრეზეგე ეძებს კლუბს, რომელშიც კარიერის გაგრძელებას შეძლებდა. ფრანგული მედიის ინოფრმაციით, ტრეზეგე სამ კლუბს შორის აკეთებს არჩევანს. მას "რეალი", "ინტერი" და "ლიონი" იწვევენ.

"დავიდისთვის "ლიონი" ურიგო ვარიანტი არ იქნება, რადგან სამშობლოში შეძლებს დაბრუნებას. "ინტერი" იმით არის კარგი, რომ ტურინიდან შორს წასვლა არ მოუწევს. "რეალის" სასარგებლოდ კი კაპელოს ფაქტორი მეტყველებს. ტრეზეგე უახლოეს დღეებში გააკეთებს არჩევანს ", - აცხადებს ფეხბურთელის აგენტი.

მართალია, ტურინულ გრანდს ტრეზეგეს შენარჩუნება უნდოდა, მაგრამ ფრანგმა ფორვარდმა სერია B-ში თამაშზე კატეგორიული უარი განაცხადა.

## გამოძიება თურქეთშიც დაიწყო

იტალიური საფეხბურთო სკანდალი ვირუსივით მოედო მთელ საფეხბურთო ევროპას. სულ ცოტა ხნის წინ ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებული საქმის გამოძიება ბრიტანეთში დაიწყეს, გუშინ კი ანალოგიური ტიპის სისხლის სამართლის საქმე თურქეთის პროკურატურამ აღძრა. შაბათს თურქულმა გაზეთმა "ჰარიათმა" გამოაქვეყნა მასალა, რომლის თანახმად კლუბ "დენიზლის" ხელმძღვანელებმა თამაშის მოგების მიზნით ქრთამი შესთავაზეს "მალათიას" სამ ფეხბურთელს. ფეხბურთელებმა ფული აიღეს, "დენიზლმა" ის მატჩი მოიგო და თურქეთის ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონში შეინარჩუნა ადგილი.

## თანაგუნდელთა ჩხუბი

ინტერტოტოს თასის გათამაშების მატჩში უკრაინულ "დნიპროსა" და ფრანგულ "მარსელს" შორის უცნაური რამ მოხდა. შესვენებისას ოლეგ პროტასოვმა ეზერსკის ნაცვლად მინდორზე რუსოლი შეუშვა. არადა, პირველ ტაიმში ეზერსკის ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია. მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე პროტასოვმა ჟურნალისტებს შეცვლის მიზეზი გაუმხილა. თურმე გასახდელში ეზერსკის თანაგუნდელისთვის დაურტყამს.

## დაფი - "ნიუკასლში", დელ ორნო - "ვალენსიაში"

"ამ უქმეებზე "ჩელსი" ორ ფეხბურთელს დაემშვიდობა. დემიენ დაფი "ნიუკასლში" გადავიდა, ასიერ დელ ორნო კი - "ვალენსიაში". "ნიუკასლმა" ირლანდიელ ნახევარმცველში 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა და ფეხბურთელთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება დელ ორნოს, ესპანელ მცველში ლონდონელებმა 4,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღეს.

## ვინ არის "რეალის" პრეზიდენტი?

ხუან ვილიარ მირი რამონ კალდერონის მეტოქე იყო მადრიდის "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნებში. შაბათს ვილიარ მირმა განაცხადა, რომ კალდერონი მხოლოდ დროებითი პრეზიდენტია. ეს განცხადება ვილიარ მირმა იმ კომისიაზე დაყრდნობით გააკეთა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობას შეისწავლის.

სააგენტო როიტერის ცნობით, არჩევნებამდე ორი დღით ადრე სასამართლოში შევიდა ვილიარ მირისა და კალდერონის საჩივრები. ორივე მოითხოვდა, რომ ხმები, რომლებიც ფოსტით გაიგზავნებოდა, მხედველობაში არ მიეღოთ, რადგან მათი გადამოწმება თითქმის შეუძლებელია. კალდერონმა არჩევნები დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ ფოსტით მიღებულ 10 000 ხმას არ გაითვალისწინებენ. ახლა ვილიარ მირი მოითხოვს, რომ ამ ხმების ლეგიტიმურობა იქნას შესწავლილი, რასაც, კომისიის თქმით, დაახლოებით რვა თვე დასჭირდება. ამ ხნის განმავლობაში პრეზიდენტის მოვალეობას კალდერონი შესარულებს, შემდეგ კი უკვე არჩევნების რეალური შედეგი დაითვლება.

## ლაპორტა ახალ არჩევნებს ელის

"ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟუან ლაპორტამ განაცხადა, რომ ოთხშაბათს დატოვებს კლუბის პრეზიდენტის პოსტს. შეგახსენებთ, რომ ესპანური სასამართლოს მოთხოვნით კატალონიურ კლუბში აუცილებლად უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები. საქმე ის არის, რომ ლაპორტა უკვე ოთხი წელია კლუბის პრეზიდენტის პოსტზე მუშაობს და, ესპანური კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია ახალი არჩევნების გამართვა.

ჟოან ლაპორტას თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებში ის აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ იგი კვლავ გახდება პრეზიდენტი. ახლა ლაპორტა ფაქტობრივად უალტერნატივო კანდიდატურაა. მისი მოღვაწეობის პერიოდში "ბარსელონამ" ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია და საეჭვოა, რომ ლაპორტამ ვერ შეძლოს არჩევნების მოგება.

# დონ-ადონი

მარი ჯავახიშვილი

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, როცა მარჩელო ლიპიმ ეროვნულ გუნდში მუშაობის გაგრძელებაზე უარი თქვა. არადა, როგორია ტრიუმფატორი მწვრთნელის სრულფასოვანი შემცვლელის პოვნა?

იფფ-ს არჩევანმა ბევრი გააოცა - "სკუადრა აძურას" გაწვრთნა ახალგაზრდა და გამოუცდელ რობერტო დონადონის მიანდეს. თუმცა, ფედერაციის პრეზიდენტი გვიდო როსი დარწმუნებულია, რომ 42 წლის დონადონი მასზე გაცემულ ავანსებს გაამართლებს.

"მისი არჩევისას ყველა ერთსულოვანი ვიყავით, რადგან მის კომპეტენციაში ეჭვი არ გვეპარება. დარწმუნებული ვარ, დონადონი გუნდს ახალ იმპულსს შესძენს. ნურავინ დამადანაშაულებს, რომ რობერტო ძალიან ახალგაზრდაა. მის ასაკში ამერიკამ ორი პრეზიდენტი აირჩია".

სკეპტიკოსები კი მიიჩნევენ, რომ დონადონის დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა იმ ზეწოლას გაუძლოს, რომელიც აუცილებლად დაატყდება თავს, თუ ლიპის მიერ აშენებული გუნდის მაღალ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს.

"მილანის" ყოფილი ნახევარმცველი, რომელიც სამწვრთნელო საქმიანობას მცირე შესვენების შემდეგ დაუბრუნდა (თებერვალში დონადონი "ლივორნოდან" წამოვიდა), ჩემპიონთა სათავეში დანიშვნას "ლიპის მიერ დაწყებული გზის გაგრძელება" გასდევს ფონად.

"ნაკრების თამაშის ტაქტიკაზე საკუთარი მოსაზრება მაქვს, მაგრამ მუშაობისას აუცილებლად დავეყრდნობი მარჩელო ლიპის მიერ ჩაყრილ საფუძველს", - ამ სიტყვებით დაიწყო "სკუადრა აძურას" ახალი ისტორიული ციკლი 42 წლის დონადონიმ.

აპენინელთა ახალ თავკაცს სულაც არ ეშინია, რომ მსოფლიო ჩემპიონებთან უწევს მუშაობა, პირიქით, მისთვის ეს დამატებითი სტიმულია:

"გაცილებით საინტერესოა იმ ნაკრებთან მუშაობა, რომელიც ჩემპიონთა თასს ფლობს, ვიდრე იმასთან, რომელსაც თასი არა აქვს. როდესაც ფეხბურთის ფედერაციამ ლიპის შეცვლა შემომთავაზა, გაოცებული დავრჩი. თუმცა, უარის თქმა აზრადაც არ მომსვლია. მწვრთნელობა გადავწყვიტე და მეამაყება, რომ ჩემი ქვეყნის ნაკრებს ვუთავკაცებ. პასუხისმგებლობა ყოველთვის იყო ჩემი მუშაობის შემადგენელი ნაწილი და მას არასოდეს გავექცევი."

ფრანჩესკო ტოტის სანაკრებო კარიერის დასრულებას, ცხადია, ახალი თავკაციც ეწინააღმდეგება: "ტოტი უპირობო ლიდერია. მინდა მას პირადად შევხვდე, რათა კონკრეტულად გავიგო, რას აპირებს. იმედი მაქვს, წასვლას გადაიფიქრებს. ნაკრებში ტოტის მსგავსი ფეხბურთელის ყოლა ნებისმიერი მწვრთნელის სურვილია. მგონია, რომ მისი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის".

"სკუადრა აძურას" მომავალი 42 წლის სპეციალისტს ასე წარმოუდგენია:

"ძალიან მინდა, ახალგაზრდებით დაკომპლექტებული კონკურენტუნარიანი გუნდი შევქმნა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასაკოვან ფეხბურთელებს პრობლემები შეექმნებათ. ახალგაზრდული ასაკი და გამოცდილება ერთმანეთს უნდა შეერწყას. ნაკრებში ორივე კატეგორიის მოთამაშეებისთვის გამოიძებნება ადგილი. ქვეყნის პირველ გუნდში შესაძლოა სერია ბ-ს ფეხბურთელებიც ვიხმო, თუ, რა თქმა უნდა, ისინი გუნდის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ".



"სკუადრა აძურა" თბილისში დონადონის მოჰყავს.

"საბედნიეროდ, იტალიაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა თამაშობს. ასე რომ, არჩევანი დიდი მაქვს. სხვადასხვა კლუბების ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს პირადად შევხვდები. სისტემატურად დავესწრები კლუბების ვარჯიშებს, რადგან ნაკრების თავკაცისთვის მნიშვნელოვანია კლუბის ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ნებისმიერი კლუბის ნებისმიერ მოთამაშეს ექნება ნაკრების მაისურის მორგების შანსი".

რობერტო დონადონიმ 1998 წელს, "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ჩატარებული 63 მატჩის შემდეგ დაასრულა სანაკრებო კარიერა. ამიტომ ცხადია, მას სხვაზე უკეთ შეუძლია ნაკრების პრობლემების გაგება და მათი მოგვარება. გუნდის რამდენიმე ფეხბურთელთან ახალ მწვრთნელს ახლო მეგობრობა აკავშირებს, თავის დროზე კი რამდენიმე მათგანის გვერდითაც უთამაშია.

მიუხედავად ამისა, იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ამბობენ, რომ ნაკრების სათავეში დონადონის მოსვლაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

"ჩვენ არაფერი ვიცოდით. დონადონის დანიშვნა ტელევიზიით შევიტყვე და თანაგუნდელებს დავურეკე. ისინი ჩემზე არანაკლებ გაკვირვებული დარჩნენ", - ირწმუნება ჯენარო გატუზო.

"ის ყოველთვის ცდილობდა იმაზე უკეთ ეთამაშა, ვიდრე თამაშობდა. რობერტო კონკურენტუნარიანი და მიზანდასახული ადამიანია. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ეროვნულ გუნდთან ერთად არაერთ წარმატებას მიაღწევს", - ასე ახასიათებს ყოფილ მილანელ თანაგუნდელს დემეტრიო ალბერტონი, რომელიც ცოტა ხანში, სავარაუდოდ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-კომისრის პოსტს დაიკავებს.

# მშვიდობით, დენის!

მარი ჯავახიშვილი

1995 წლის 25 აგვისტოს, როცა დენის ბერხკამპმა პირველად მოირგო ლონდონის "არსენალის" მაისურა, ის ერთადერთი არაინგლისელი ფეხბურთელი იყო "ჰაიბერიზე". "მეთოფეები" საკუთარ მოედანზე "მიდლსბროს" ხვდებოდნენ. მატჩს 37 ათასი ინგლისელი ესწრებოდა. ბერხკამპის გუნდმა იან რაიტის ერთადერთი გოლის წყალობით ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მატჩი ისე დასრულდა, მეტი გოლი არც ერთ გუნდს აღარ გაუტანია. სეზონის ბოლოს "არსენალი" პრემიერლიგის გათამაშებაში მეთორმეტე ადგილს დასჯერდა.

მას შემდეგ თერთმეტი წელი გავიდა და, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. "არსენალი" პრემიერლიგის ლიდერთა შორის აღზევდა, დენის ბერხკამპს კი ერთადერთი არაინგლისელის ტიტული ჩამოერთვა. გუნდში ზეინტერნაციონალურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. დღეს ჩრდილოლონდონური კლუბის ღირსებას იცავენ ესპანელი, ბრაზილიელი, ბელორუსი ფეხბურთელები (აღარაფერს ვამბობთ ფრანგებზე).

თერთმეტი წლის შემდეგ, "ჰაიბერის" ნაცვლად, "არსენალის" გულშემატკივარს 60-ათასიან "ეშბარტონ გრუვზე" (იგივე "ემირატზე") მოეყარა თავი და დენის ბერხკამპის გამოსამშვიდობებელ მატჩს ესწრებოდა.

იმ დღეს ლონდონის "არსენალი" ისტორიის ახალ ფურცელს წერდა - გუნდი ახალი სარბიელის გახსნას ზეიმობდა. ოღონდ ეგაა, ზეიმს ლეგენდარულ მოთამაშესთან გამოთხოვება აფერმკრთალებდა.

"უდიდესი პატივია, რომ კლუბის ახალი ერა "არსენალის" ღირსეული ფეხბურთელის პატივსაცემად იწყება", - განაცხადა "მეთოფეთა" ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა.

შაბათს, 22 ივლისს, "არამფრინავმა ჰოლანდიელმა" (როგორც მას ფრენისადმი პანიკური შიშის გამო შეარქვეს), ბუცები სამუდამოდ გაიხადა.

"ეშტონ გრუვზე" მის გამოსამშვიდობებელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ "არსენალი" და "აიაქსი". მატჩი ინგლისელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა, თუმცა ბერხკამპს თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემია. მეტოქე გუნდების ღირსებას იცავდნენ ახლანდელი და წარსული წლების ვარსკვლავები: დევიდ სიმენი, მარკ ოვერმარსი, ძმები დე ბურები, იან რაიტი, პატრიკ ვიეირა, ნვანკვო კანუ, ტიერი ანრი და სხვა ცნობილი მოთამაშეები.



დენის ბერხკამპი ხელში აყვანილი გააცილეს ფეხბურთიდან.

"არსენალში" თერთმეტი ბრწყინვალე, დაუვიწყარი წელი გავატარე. მთელი ეს პერიოდი წარმატებული იყო გუნდისთვის. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვით გულშემატკივრებს, რომლებიც მძიმე წუთებშიც გვამხნევებდნენ. ასეთ დროს ფეხბურთელები და ფანები ერთი ოჯახის წევრებად გრძნობენ თავს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ქომაგს გამოვემშვიდობე ისეთი უმაღლესი დონის არენაზე, როგორიც "ემირატია". "არსენალი" უდავოდ იმსახურებს ასეთ სარბიელს", - დენის ბერხკამპი.

დენის ბერხკამპი ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში 1969 წლის 10 მაისს დაიბადა. მშობლებმა ახალშობილს "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ფეხბურთელის დენის ლოუს პატივსაცემად დაარქვეს დენისი. პარადოქსია, მაგრამ მშობლიური "აიაქსის" ნაცვლად, ბერხკამპების ოჯახი ინგლისურ "მანჩესტერს" ქომაგობდა.

12 წლის დენისი მშობლებმა ამსტერდამის "აიაქსის" საფეხბურთო აკადემიაში მიაბარეს. 17 წლისა ლეგენდარული კლუბის მაისურით პირველად გამოვიდა მოედანზე.

ჰოლანდიურ გრანდში "არამფრინავი ჰოლანდიელი" გამოკვეთილი თავდამსხმელის ფუნქციებს არ ასრულებდა - ორ თავდამსხმელს შორის იყო გამწესებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, დენისს გოლი გოლზე გაჰქონდა და მალე რეკორდიც კი დაამყარა - ზედიზედ ათი მატჩი ისე ითამაშა, რომ გოლის გარეშე არ დაუტოვებია მოედანი. ბერხკამპის რეკორდი დღემდე ვერც ერთმა ჰოლანდიელმა (მათ შორის თვით რუუდ ვან ნისტელროოიმაც) ვერ დაამხო.

პირველი მატჩი "ნარინჯისფერთა" რიგებში 1990 წლის სექტემბერში, იტალიის ნაკრების წინააღმდეგ გამართა. პირველი გოლი კი ნაკრების მაისურით იმავე წლის ნოემბერში საბერძნეთის კარში შეაგდო.

1993 წელს, ყველასთვის მოულოდნელად, "აიაქსმა" ბერხკამპი მილანის "ინტერს" მიჰყიდა, თუმცა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა "სან სიროზე" ვერაფრით გამოიჩინა თავი.

როგორც მოგვიანებით ლეგენდარული "მფრინავი ჰოლანდიელი" იოჰან კრუიფი იტყვის, ბერხკამპს "ინტერზე" მეტად "მილანი" და "ბარსელონა" მოუხდებოდა. ჰოლანდიელი ფეხბურთელები ხომ, ტრადიციულად, სწორედ ამ კლუბებში ავლენენ საკუთარ თავს.

წარუმატებელი საკლუბო ასპარეზობის მიუხედავად, ბერხკამპი ნაკრებში ბრწყინავდა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე "ნარინჯისფერებმა" მეოთხედფინალს უწიეს, სადაც ბრაზილიასთან დამარცხდნენ 2:3. მუნდიალზე ნათამაშევ ხუთ მატჩში დენისის ანგარიშზე სამი გოლი იყო.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბერხკამპი მილანში დაბრუნდა და საბოლოოდ მიხვდა, რომ იტალიაში მისი ადგილი არ იყო. 1995 წლის 3 ივლისს "ნერიაძურიმ" 7,5 მილიონი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ ჰოლანდიელი თავდამსხმელი "არსენალს" მიჰყიდა.

"ჰაიბერიზე" ბერხკამპს მეორე სუნთქვა გაეხსნა და "აიაქსისებურად" ათამაშდა. პირველივე ლონდონურ სეზონში იან რაიტთან ერთად პრემიერლიგის ყველაზე მრისხანე ტანდემი შექმნა. სტატისტიკური მონაცემებით კი, "არსენალის" გოლების 75 პროცენტი უშუალოდ "არამფრინავი ჰოლანდიელის" ჩარევით იყო გატანილი.

"როდესაც გოლი დენისს გააქვს, ეს ჩვეულებრივი გოლი არ არის. ჩვენ მას ბერხკამპის გოლს ვეძახით", - ტიერი ანრი.

დენის ბერხკამპის კარიერაში ბევრი დაუვიწყარი წარმატებაა, თუმცა ყველაზე დაუვიწყარი, ალბათ, მაინც 1997-98 წლების სეზონი იყო. იმ სეზონში ის ორჯერ (აგვისტოსა და სექტემბერში) დაასახელეს თვის ფეხბურთელად, პირველად შეასრულა ჰეთ-თრიქი "არსენალის" შემადგენლობაში, წლის ბოლოს პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში კი მესამე ადგილი ერგო.

### დენის ბერხკამპი

დაიბადა: 18.05.1969
ქალაქი: ამსტერდამი
სიმაღლე: 188 სმ; წონა: 80 კგ;
ამპლუა: თავდამსხმელი;
კლუბები: "აიაქსი" (1986-93; ჰოლანდია), "ინტერი" (1993-95; იტალია), "არსენალი" (1995-2006);
ტიტულები:
1987 - თასების მფლობელთა თასი ("აიაქსი"), 1992 - უეფას თასი ("აიაქსი"), 1994 - უეფას თასი ("ინტერი"), 1998, 2002, 2004 - ინგლისის ჩემპიონი ("არსენალი"), 1998, 2002, 2003 - ინგლისის თასი ("არსენალი"), 2004 - ინგლისის სუპერთასი ("არსენალი");
"აიაქსში" გამართა 239 მატჩი, გაიტანა 122 გოლი;
"ინტერში" - 52 მატჩი, 11 გოლი;
"არსენალში" - 423 მატჩი, 120 გოლი;
ჰოლანდიის ნაკრებში - 79 მატჩი, 36 გოლი;

# რუი კოშტას ახდენილი ოცნება

12 წლის წინ რუი კოშტამ დატოვა მშობლიური ლისაბონი და იტალიაში გადაბარგდა. დამდეგი სეზონის წინ კი პორტუგალიელი ნახევარმცველი დაუბრუნდა საყვარელ კლუბს, რომლისთვისაც იგი მზადაა მოედანზე ბოლომდე დაიხარჯოს. 25 მაისს "ლუჟის" სტადიონზე მრავალი გულშემატკივარი შეიკრიბა, რათა მისალმებოდნენ შინ დაბრუნებულ გმირს. ახლა "არწივების" ქომაგები მოუთმენლად ელიან ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს, რათა "ბენფიკას" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი საქმეში იხილონ.



### ეუსებიოს როლი

რუი კოშტა უშუალოდ არის დაკავშირებული "ბენფიკას" დიად წარსულთან. ლეგენდარულმა ეუსებიომ, რომელიც თავის დროზე "არწივების" ახალგაზრდულ გუნდთან მუშაობდა, პირველმა მიაქცია ყურადღება რუი კოშტას ტალანტს. ახალგაზრდა ფეხბურთელის პროგრესი ელვისებური იყო. მან უმოკლეს დროში გამოიჩინა თავი "ბენფიკას" სარეზერვო გუნდში, შემდეგ კი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი იმედი გახდა. 1991 წლის ზაფხულში რუი კოშტამ, როგორც იქნა, დაიწყო იმედების გამართლება - ლუიშ ფიგუსთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ტრიუმფში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ფინალურ მატჩში გამარჯვების მომტანი გოლი პენალტიდან სწორედ რუი კოშტამ გაიტანა. ეს მატჩი "ლუჟის" სტადიონზე გაიმართა და მას 127 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა.

### იტალიაში

ახალგაზრდა რუი კოშტა სწრაფად გაშინაურდა "ბენფიკაში" და 1993 წელს კლუბს პორტუგალიის თასის მოპოვებაში დაეხმარა. მომდევნო სეზონში "არწივები" ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ. კლუბი იძულებული გახდა, რომ პაულუ ფუტრე გაეყიდა, ხოლო ანტონიუ პაშეკუ და პაულუსოუზა "ბენფიკას" "მოსისხლე" მტერ "სპორტინგში" გაეშვა და გაბანკროტებისგან ამით გადაერჩინა თავი. რუი კოშტა კი დარჩა და 1994-95 წლების სეზონში დედაქალაქური კლუბი პორტუგალიის ჩემპიონი გახადა. ამ დროს კოშტა 22 წლის იყო, ხოლო "ბენფიკამ" ოცდამეათედ მოიპოვა ეს ტიტული. ამის შემდეგ "არწივები" ველარ ახერხებდნენ რუი კოშტას შენარჩუნებას და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. თავად ფეხბურთელი "ბარსელონაში" გადასვლაზე ოცნებობდა, მაგრამ ამის ნაცვლად ის "ფიორენტინაში" გაყიდეს იმ დროისთვის სარეკორდო თანხად - 6 მილიონ ევროდ. "ბარსელონამ" ორჯერ ნაკლები შემოგვთავაზა. კარგად მახსოვს, როგორ ვუხსნიდი რუი კოშტას, რომ იტალიური ფეხბურთი ასევე მაღალი დონის იყო. "ბენფიკასთვის" აუცილებელი იყო, რომ მას საკუთარი ამბიციები შეეწირა", - იხსენებს პორტუგალიური კლუბის მაშინდელი პრეზიდენტი მანუელ დამაზიუ.

### მდიდრული კარიერა

პორტუგალიელი ჰავბეკი სამი სეზონის მანძილზე იცავდა "იების" ღირსებას, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში კი "მილანის" შავ-წითელი დროშის ქვეშ თამაშობდა. ამ პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო 338 მატჩში, 2003 წელს კი ჩემპიონთა ლიგა მოიგო კახა კალაძესთან ერთად. ამას გარდა, 1996 და 2003 წლებში რუი კოშტამ იტალიის თასი მოიპოვა, ხოლო 2004 წელს, როგორც იქნა, იტალიის ჩემპიონი გახდა (ისევ კალაძესთან ერთად). მთელი ამ ხნის განმავლობაში რუი კოშტა პატიოსნად ემსახურებოდა პორტუგალიის ნაკრებს და არც მშობლიურ "ბენფიკას" ივიწყებდა. "მშობლიურ კლუბში კარიერის დასრულებაზე ვოცნებობ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "არწივები" ჩათვლიან, რომ მათთვის კვლავაც გამოსადეგი ვარ", - თქვა ერთხელ რუი კოშტამ. სანამ ეს ნახევარმცველი "მილანის" შემადგენლობაში ბრწყინავდა, "ბენფიკას" თავზე საავდრო ღრუბლები შეიყარა. "არწივები" ევროთასებზე კარგ შედეგს ველარ უჩვენებდნენ, ხოლო შიდა ასპარეზზე ერთიმეორის მიყოლებით უთმობდნენ საჩემპიონო ტიტულს "პორტუს".

### მარცხი ფინალში

"ოქროს თაობის" ამ წარმომადგენელმა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 94 მატჩი ჩაატარა. თუმცა ნაკრების მაისურით საერთაშორისო არენაზე თამაშებიდან რუი კოშტას მწარე მოგონებები აქვს. 200 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პორტუგალია ნახევარფინალში (ისიც დამატებით დროში) დამარცხდა მომავალ ჩემპიონ საფრანგეთთან, ხოლო ოთხი წლის შემდეგ საკუთარ სამშობლოში, ფინალურ მატჩში დამარცხდა საბერძნეთის ნაკრებთან. ევრო 2004-ზე რუი კოშტა ნაკრების ძირითადი შემადგენლობიდან დეკუმ ამოაგდო, თუმცა "მილანის" ჰავბეკმა მაინც უდიდესი როლი ითამაშა საკუთარი გუნდის წარმატებაში (გადამწყვეტი და ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა ინგლისთან მეოთხედფინალურ მატჩში). რუი კოშტას საერთაშორისო კარიერა იქ დასრულდა, სადაც დაიწყო - "ლუჟის" სტადიონზე გამართულ ფინალურ შეხვედრაში, რომელშიც ბერძნებმა პორტუგალიელები მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს.

### ოცნება რეალობად იქცა

რუი კოშტას დაბრუნებაზე დიდხანს საუბრობდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. "მან მითხრა, რომ მზად არის, ხელი მოაწეროს კონტრაქტის ცარიელ ბლანკს და უფლებას მაძლევს ჩავწერო ნებისმიერი თანხა, რომელსაც ანაზღაურების სახით გადავუხდი", - განაცხადა "ბენფიკას" პრეზიდენტმა ლუიშ ფილიპე ვიეირამ. სწორედ ამ ფორმით შედგა გმირის დაბრუნება. რუი კოშტამ არც იცოდა, თუ რა ხელფასს მიიღებდა. ფეხბურთელი, რომელსაც კონტრაქტით კიდევ ერთი წლის განმავლობაში ეკუთვნოდა "მილანში" თამაში, სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს და ბედნიერებას ვერ მალავს. "მადლიერი ვარ "როსონერის", რომელიც დამეხმარა ჩემი ოცნების რეალიზებაში და საშუალება მომცა მშობლიურ კლუბში დამემთავრებინა კარიერა", - თქვა ფეხბურთელმა, რომელიც 12 წლის შემდეგ ისევ ჩაიცვამს "ბენფიკას" 10-ნომრიან მაისურას.

# "ბარსელონა ერთი ოჯახია"

"ბარსელონას" ფორვარდ სამუელ ეტო`ოსთვის ზაფხული საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა - კარგად დაისვენა, არც მსოფლიო ჩემპიონატი ჰქონდა სათამაშო და არც ვარჯიშობდა. მთელი ზაფხული ოჯახს დაუთმო, დასვენების ბოლო კვირა კი ცოლ-შვილთან ერთად ლოს ანჯელესში გაატარა. თანაც, დანარჩენებისგან განსხვავებით, ერთი კვირით მეტი დაჰყო არდადეგებზე. წესით და რიგით, ეტო`ო გუნდს ათი დღის წინ უნდა შეერთებოდა, თუმცა კამერუნელმა რაიკაარდს დასვენებისთვის კიდევ ერთი კვირა სთხოვა და მწვრთნელისგანაც თანხმობა მიიღო. გუშინ პოპულარულ ესპანურ გაზეთ "სპორტში" კამერუნელი ფორვარდის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა.

**- დასვენების ბოლო დღეებით კარგად ისიამოვნეთ?**

- ძალიან. თუმცა, გამოგიტყდებით, ბარსელონაც მომენატრა. მინდა დავიწყო მუშაობა. ლომივით ვარ.

**- იცით თუ არა, რომ ბევრს არ ესმის რატომ მოგცათ რაიკაარდმა ერთი კვირით მეტი დასვენება, ვიდრე დანარჩენებს?**

- ჯერ კიდევ გასული სეზონის დამთავრებამდე ვთხოვე რაიკაარდს, რომ ერთი კვირით მეტი დასვენება მოეცა და ისიც დამთანხმდა. არ მესმის, რატომ გამოიწვია ამან მითქმა-მოთქმა. ნუთუ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ მე ვარჯიშს თავს ვარიდებ.

**- არა. უბრალოდ, ამბობენ, რომ თქვენ პრივილეგიებით სარგებლობთ.**

- სისულელეა. რას ნიშნავს პრივილეგიები? ვარჯიშებზე ასობით კილომეტრის სირბილს? დავარდნამდე მუშაობას? თუ ამას ნიშნავს, კი ბატონო, პრივილეგირებული ვარ. სხვა პრივილეგიები კი არ არსებობს.

**- "ბარსელონაში" სამი ახალი ფეხბურთელია. გუდიონსენის თაობაზე ალბათ იცოდით. ორი კი სულ ახლახან შეიძინა გუნდმა.**

- ვიცი, როგორ არა, სიახლეებს თვალყურს ვადევნებდი. ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მქონდა.

**- რას იტყვით ახალ ფეხბურთელებზე?**

- ტურამი ძმასავით მიყვარს. "ბაბუა" ფანტასტიკური შენაძენია. მასთან ერთად ჩვენი გუნდის დაცვა ერთიორად გაძლიერდება. "ბარსელონა" ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, როდესაც ლილიანი იყიდა.

**- ძამბროტა?**

- მას ყველაფერი აქვს მოგებული, რისი მოგებაც შეიძლება ფეხბურთში. ვფიქრობ, "ბარსელონას" ძალიან დაეხმარება.

**- გუდიონსენი?**

- შევეცდები დავეხმარო. დარწმუნებული ვარ, შეტევაში მე და ეიდური ძლიერ წყვილს შევქმნით.



*დასვენებული ეტო`ო "ბარსას" უბრუნდება.*

**- რა წყვილზე საუბრობთ, გუდიონსენი ყველას თქვენს შემცვლელად მიაჩნია...**

- რას ამბობთ, ეიდურს შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. დარწმუნებული ვარ, მინდორზე ორივე ვიქნებით.

**- შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ "ბარსელონას" იდეალური შემადგენლობა ჰყავს?**

- რაც შეეხება იდეალურობას, ვერაფერს გეტყვით. ერთი კი ფაქტია: მეტოქეებს ჩვენი შეეშინდებათ. ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ და პატივისცემას ისედაც ვიმსახურებთ. ახლანდელი შემადგენლობით კი გასული სეზონის წარმატებების შენარჩუნება რეალურად მეჩვენება.

**- რა არის ამისთვის საჭირო?**

- პირველ რიგში არ უნდა მოვეშვათ.

**- ამ სეზონში ხავი და მესიც მწყობრში იქნებიან...**

- ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხავი მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველად მიმაჩნია. რაც შეეხება მესის, ის საერთოდ უნიკალურია.

**- ბევრი შიშობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჩაგდების შემდეგ რონალდინიო ისე ვერ ითამაშებს, როგორც გასულ სეზონში.**

- რონი მსოფლიო ჩემპიონატამდეც საუკეთესო იყო და ახლაც საუკეთესოა. რაც შეეხება მუნდიალს, ბოლოს და ბოლოს, რონალდინიო ადამიანია და არა მანქანა. შეუძლებელია მუდმივად ერთი და იგივე დონეზე ითამაშო.

**- კლუბში ჩასატარებელ საპრეზიდენტო არჩევნებზე რას იტყვით?**

- ლაპორტა ბრწყინვალე პრეზიდენტია. მან ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც ოჯახივით ცხოვრობს.

**- მომავალ სეზონზე რა გეგმები გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია ყველა იმ ტურნირის მოგება, რომელშიც მონაწილეობას მივიღებთ.

**- მადრიდის "რეალი" საგრძნობლად გაძლიერდა. ვიხილავთ თუ არა ნორმალურ კლასიკოს?**

- რა თქმა უნდა. კაპელოს მისვლით "რეალი" საშიში მეტოქე ხდება. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობისთვის სწორედ "ბარსელონა" და "რეალი" იბრძოლებენ.

# უბურთოდ ჩაგვძირეს

ბიბა ბურასაშვილი

*საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც შარშან ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩა, მაგრამ წლეულს საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, პირველობა წარუმატებლად დაიწყო და ასევე გააგრძელა. გუშინ და გუშინწინ ორადეაში (რუმინეთი) მიმდინარე კონტინენტის პირველობაზე სოსო მაისურაძის ბიჭები საფრანგეთსა და რუმინეთს ეთამაშნენ.*

წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ერთი თვის განმავლობაში "ლაგუნა ვერეზე" ემზადებოდა. საქართველოს ნაკრებს რთული თამაშები ელოდა. ოთხ ჯგუფში გადანაწილებული 16 გუნდიდან საქართველო B ჯგუფში მოხვდა. აქ კი, მასპინძლებთან ერთად, ფრანგებთან და უნგრელებთან უნდა გაერკვია ურთიერთობა.

პირველ დღეს სწორედ მასპინძლებს შეხვდნენ და ოთხი პერიოდის ჯამში 6:13 წააგეს ([1-2] [3-2] [1-6] [1-3]). მართალია, წინ ჰქონდათ ფრანგებთან მატჩი, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ მათთანაც ვერაფერს გააწყობდნენ.

"ძალიან ძლიერ ჯგუფში ვართ, - ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ამბობდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე, - თითოეული მათგანი შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია. მაშინ რუმინელებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ფრანგებმა - მერვე, ხოლო უნგრელებმა ფინალში ითამაშეს. ასე რომ, მათთან თამაში იოლი არ იქნება".



*რუმინეთმა და საფრანგეთმა საქართველოს წყალი არ დაუთმო.*

გუშინ, შეჯიბრების მეორე დღეს, საფრანგეთის ნაკრებთან მარცხი უფრო თვალშისაცემი გამოდგა - 11:20 ([5-3] [4-1] [7-2] [4-5]). დღეს უნგრეთის ნაკრებთან გვიწევს თამაში. თავი რომ არ მოვიტყუოთ, ყველაზე მეტად ალბათ მათთან გაგვიჭირდება. უნგრეთი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. დიდ წყალბურთშიც მათთან ბევრი ვერ მოვა. სხვა რომ არაფერი, რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან.

საგულისხმოა, რომ ჩვენი მეტოქეებიდან არც ერთი არაა ისეთი, ვინც საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. ყოფილი საბჭოეთიდან მხოლოდ ჩვენ და რუსებმა შევძელით ევროპული საგზურის მოპოვება.

რუსეთის ნაკრებმა ორივე მატჩი წააგო - ჯერ ესპანეთთან, მერე გერმანიასთან.

## კაკა 100 მილიონადაც არ გაყიდეს

იტალიურ კლუბ "მილანის" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ლონდონის "ჩელსი" ბრაზილიელ კაკაში 100 მილიონ ევროს იხდიდა, თუმცა "მილანის" ხელმძღვანელობამ ეს სარფიანი წინადადებაც უარყო.

## მჟავანაძემ გაძევებით დაიწყო

უკრაინაში სტარტი აიღო ქვეყნის ჩემპიონატმა ფეხბურთში. პირველივე ტურში უკრაინის უმაღლესი ლიგის ყველაზე ქართული გუნდი "ჩერნომორეცი" კიევის "დინამოს" სტუმრობდა. ამ მატჩში "ჩერნომორეცის" შემადგენლობაში სამმა ქართველმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. კანდელაკმა და შაშიაშვილმა მინდორზე მთელი 90 წუთი დაჰყვეს, მჟავანაძემ კი მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, რომლის მიწურულსაც მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს მინდვრიდან. მატჩი კიეველთა დამაჯერებელი გამარჯვებით 4:1 დასრულდა. პირველ ტაიმში მინდორზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. კიეველებმა მხოლოდ მჟავანაძის გაძევების შემდეგ მოიპოვეს გადამწყვეტი უპირატესობა.

მატჩის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა მცირე ინტერვიუ მისცა უკრაინელ ჟურნალისტს.

- რა შთაბეჭდილებებზე უნდა ვისაუბრო, როცა მატჩი ასეთი ანგარიშით წავაგეთ, მე კი მინდვრიდან გამაძევეს. ორი ყვითელი ბარათი მივიღე და, ცხადია, გუნდი დავალალატე. ძალიან მწყინს და, რაც მთავარია, მრცხვენია. თუმცა, რას იზამ, ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. მომავალში დანაშაულს გამოვასწორებ.

**- ასეთივე ანგარიშით გასულ სეზონშიც დამარცხდით. ამ ორი მატჩის შედარება თუ შეგიძლიათ?**

- შედარება ძნელია. ორი სრულიად განსხვავებული მატჩი იყო. გასული სეზონის შეხვედრაში გოლი სწრაფად გავუშვით, შემდეგ კლებერმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. მიმაჩნია, რომ მაშინ განწირულები ვიყავით. ამჯერად კი შანსი აშკარად გვქონდა. თუმცა ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა მინდვრიდან გამაძევეს.

**- თქვენი აზრით, მსაჯმა ორივე ყვითელი ბარათი სამართლიანად გიჩვენათ?**

- არ მინდა მსაჯი დავადანაშაულო. ვერ ვიტყვი, რომ მან გააფუჭა თამაში. თუმცა პირველ ეპიზოდში აშკარად გაცხარდა. ვფიქრობ, ყვითელ ბარათს არ ვიმსახურებდი. რებროვის წინააღმდეგ წესები საერთოდ არ დამირღვევია. რაც შეეხება მეორე ბარათს, ნამდვილად უხეშად ვითამაშე, მაგრამ მსაჯს შეეძლო ჯარიმა დაენიშნა და არ გავეძევებინე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მსაჯის მიმართ პრეტენზია არ მაქვს. ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება.

**- თქვენს გაძევებამდე "ჩერნომორეცი" ურიგოდ არ თამაშობდა...**

- მატჩის სტარტი, ცხადია, დინამოელთა სასარგებლოდ იყო, თუმცა ჩვენ ორგანიზებულად ვთამაშობდით დაცვაში და მეტოქეს სათამაშო სივრცეს არ ვაძლევდით. ტაიმის მიწურულს უპირატესობას დავეუფლეთ და ანგარიშიც კი გავათანაბრეთ.

## კემპბელი ბრიტანეთს დატოვებს

ინგლისის ნაკრებისა და "არსენალის" 31 წლის მცველი სოლ კემპბელი ბრიტანეთის საზღვრებს მიღმა აპირებს კარიერის გაგრძელებას. მიუხედავად იმისა, რომ "არსენალიდან" წასულ კემპბელს არაერთი ინგლისური კლუბი იწვევს, ვეტერან მცველს მაინც უცხოეთში სურს თამაში. ჯერჯერობით უცნობია, რომელ ევროპულ კლუბში ითამაშებს კემპბელი, თუმცა, თავად ფეხბურთელის თქმით, მას რამდენიმე საინტერესო მიწვევა აქვს.

## პფიტცერი ტოგოში დარჩა

გერმანელმა სპეციალისტმა ოტო პფიტცერმა ახალი კონტრაქტი გააფორმა ტოგოს ფეხბურთის ფედერაციასთან და 2008 წლამდე იქნება ამ ქვეყნის ნაკრები გუნდის სათავეში. თავისთავად ამაში გასაკვირი არაფერია - პფიტცერმა ხომ ტოგოელებს მუნდიალზე თამაშის უფლება მოუპოვა, თუმცა სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ შეექმნა ვეტერან გერმანელ მწვრთნელს პრობლემები ფეხბურთელებთან და ტოგოური ფეხბურთის მესვეურებთან. იმასაც კი ამბობდნენ, რომ პფიტცერი მუნდიალის დაწყებამდე დაიტოვებდა ნაკრებს, თუმცა, როგორც ხედავთ, ოტო პფიტცერმა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე ათამაშა, ახლა კი ტოგოს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

## ვიეირაც - "ბარსელონაში"

"ბარსელონა" ლილიან ტურამისა და ჯანლუკა ძამბროტას ყიდვას არ დასჯერდა. თითქოს ამ ორი ფეხბურთელის შეძენის შემდეგ კატალონიური კლუბი სრულად დაკომპლექტდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კვლავ გეგმავს გაძლიერებას - "ბარსელონა" ფრანგი საყრდენი ნახევარმცველის პატრიკ ვიეირას შეძენას აპირებს.

თითქოს ვიეირა უკვე "ინტერის" ფეხბურთელი იყო, მაგრამ კატალონიელებმა "იუვენტუსს" უფრო სარფიანი წინადადებით მიმართეს. "ბარსელონა" ფრანგ საყრდენში 15 მილიონ ევროს იხდის და თანაც ტურინულ კლუბში ტიაგო მოტას უშვებს.

როგორც უცხოური მედია ირწმუნება, ვიეირას ტრანსფერი კატალონიურ კლუბში უკვე გადაწყვეტილი საქმეა.

## ტური ლენდისმა მოიგო

გუშინ დასრულდა 2006 წლის ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა ტურ დე ფრანსი, რომელიც ამერიკელი ველომრბოლის ფლოიდ ლენდისის გამარჯვებით დასრულდა.

წლევანდელ ტურს თავიდანვე მიადგა ჩრდილი. რბოლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ველორბოლის სამყაროში უდიდესი სკანდალი მოხდა - ტურს ჩამოშორდა რამდენიმე საუკეთესო ველომრბოლი. კერძოდ, დოპინგის მიღებაში ამხილეს იან ულრიხი, ივან ბასო და ვლადიმირ ვინოკუროვი. ეს სამეული ტურს მიღმა დატოვეს. არადა, სამივე რბოლის ფავორიტად ითვლებოდა. განსაკუთრებით დიდი იყო იან ულრიხის დანაკლისი, რომელიც იმდენად კარგად მომზადა ტურისთვის, რომ უპირობო ფავორიტად თვლიდნენ.

ლიდერების არყოფნით კარგად ისარგებლეს მეორე ეშელონის სპორტსმენებმა. მთელი ტური მშვენივრად განვლო ამერიკელმა ფლოიდ ლენდისმა. მან მხოლოდ ერთი ეტაპი ჩააგდო, თუმცა საბოლოოდ მაინც შეძლო უპირატესობის მოპოვება და ესპანელ ოსკარ პერეირო სივოს ბოლოსწინა ეტაპზე ჩამოართვა ლიდერის ყვითელი მაისური. გადამწყვეტი სწორედ მე-19 ეტაპი აღმოჩნდა, რომელზეც სპორტსმენები დროს ეჯიბრებოდნენ. ლენდისმა უპრობლემოდ აღმოფხვრა 30-წამიანი ჩამორჩენა და ბოლო ეტაპის წინ (რომელიც, ფაქტობრივად, ფორმალობაა) თითქმის წუთს უგებდა ესპანელს.

## კურნიკოვა პენსიაზე გასვლას არ აპირებს

რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. აგერ უკვე სამი წელია, რაც რუსი ლამაზმანი კორტზე არ გასულა, თუმცა აცხადებს, რომ პროფესიული ჩოგბურთიდან წასვლა ჯერაც არ გადაუწყვეტია.

"ჯერჯერობით არ ვიცი რას ვიზამ. სპორტიდან წასვლის საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. მართალია, კარგა ხანია აღარ ვთამაშობ, მაგრამ კარიერის დასრულებაზე განცხადების გაკეთებას არ ვჩქარობ, რადგან იმ კატეგორიას არ ვეკუთვნი, რომლებიც ერთ დღეს ამბობენ, წავედიო და მეორე დღეს ბრუნდებიან", - აცხადებს 25 წლის რუსი ჩოგბურთელი, რომელიც უფრო გარეგნობის გამო გახდა პოპულარული.

## ფორმულა ტალანტებს კარგავს

სულ ცოტა ხნის წინ ხუან-პაბლო მონტოიამ განაცხადა, რომ ფორმულა 1-ს ემშვიდობება და NASCAR-ში გადადის. მონტოიას ამ გადაწყვეტილებამ ბევრს დასწყვიტა გული. გუნდ "უილიამსის" ტექნიკურმა დირექტორმა სემ მაიკლმა განაცხადა, რომ მონტოიას წასვლით ფორმულა ბევრს დაკარგავს. "მონტოია უაღრესად ნიჭიერია პილოტია. მეგონა, რომ, სულ ცოტა, სამი სეზონით მაინც დარჩებოდა ფორმულაში და თავის სიძლიერეს დაამტკიცებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო. მისი წასვლით ფორმულამ ბევრი დაკარგა", - აცხადებს მაიკლი.

## რუნი გაქურდეს

უიენ რუნის მშობლების სახლი გაქურდეს. სააგენტო ბი-ბი-სის ინფორმაციით, მძარცველებმი სახლიდან ძვირფასეულობასთან ერთად უეინის ჯილდოების კოლექციაც წაიღეს.

## ვან ნისტელროი "ბაიერნში" გადადის

ჰოლანდიელი ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი მომავალ სეზონს მიუნხენის "ბაიერნში "გაატარებს. მიუნხენურ კლუბს უკვე დიდი ხანია სურს ამ ფორვარდის შეძენა. მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ვან ნისტელროის ტრანსფერი "რეალში", ფეხბურთელის შეძენის რეალური შანსი გერმანულ გრანდს გაუჩნდა, მით უმეტეს, რომ თავად ვან ნისტელროოიმ მიუნხენურ კლუბში თამაშზე თანხმობა განაცხადა.

## ისაქსონი ინგლისში ითამაშებს

შვედეთის ნაკრებისა და ფრანგული "რენის" მეკარე ანდრეას ისაკსონი მომავალ სეზონში შესაძლოა ინგლისურ "ჩარლტონში" აღმოჩნდეს. "ინგლისურ პრემიერლიგაში თამაში ჩემი ოცნებაა", - უთხრა შვედმა მეკარემ ჟურნალისტებს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "ჩარლტონი" მზადაა გამოისყიდოს ფრანგული კლუბისგან ისაკსონის ტრანსფერი.

## იობო ოთხი წლით ევერტონელია

"ევერტონის" ნიგერიელმა მცველმა ჟოზეფ იობომ კლუბთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "გუნდში დარჩენა მინდოდა და კმაყოფილი ვარ, რომ კონტრაქტის გაფორმება მოვახერხე", - აცხადებს იობო, რომელსაც პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი იწვევდა სათამაშოდ.

## "ფულემმა" უიფალუში იყიდა

ჩეხეთის ნაკრების მცველი ტომაშ უიფალუში მომავალ სეზონს ინგლისურ "ფულემში" გაატარებს. მას შემდეგ, რაც "ფიორენტინა" იტალიის ელიტური დივიზიონიდან გააგდეს, ჩეხმა მცველმა კლუბის დატოვება გადაწყვიტა. ლონდონური "ფულემი" მზადაა ჩეხ ფეხბურთელში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს, რაც ფლორენციელებისთვის სოლიდური თანხაა.

## სორინი იყიდება

ესპანური "ვილიარეალი" მზადაა "ბოლტონში" გაყიდოს არგენტინის ნაკრების კაპიტანი ხუან პაბლო სორინი. ინგლისელებმა თავიდან ესპანურ კლუბს სორინში 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს, რაც "ვილიარეალის" ხელმძღვანელებს ეცოტავათ. შემდეგ სატრანსფერო თანხა გაიზარდა და ახლა ესპანელები მზად არიან დაემშვიდობონ არგენტინელ ნახევარმცველს.

## ბუფონი "იუვენტუსში" დარჩება

ტურინის "იუვენტუსის" ახალი მწვრთნელის დიდიე დეშამის განცხადებით, ჯანლუიჯი ბუფონი არ გაიყიდება. "როდესაც გუნდი დაისაჯა, ჩვენ ფეხბურთელებს არჩევანის თავისუფლება მივეცით. ვისაც გუნდის დატოვება მოუნდა, ხელი არავის შევუშალეთ. ჯანლუიჯიმ წასვლა არ ისურვა. ამიტომ მის ტრანსფერზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია", - აცხადებს დეშამი.

## "ჩელსი" ფეხბურთს ანადგურებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის განცხადებით "ჩელსი" ფეხბურთს ანადგურებს. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი ლონდონური კლუბის თაობაზე, სერ ალექსმა უპასუხა: "ვფიქრობ, ასეთი მოქმედებები ფეხბურთს ანადგურებს. გთხოვთ ცუდად არ გამიგოთ. არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რასაც "ჩელსი" აკეთებს. ფინანსური თვალსაზრისით ამ კლუბს კონკურენციას ნამდვილად ვერ გავუწევთ, მაგრამ მაინც არ მესმის რას აკეთებს ეს გუნდი. ამ ზაფხულს 30-მდე ახალგაზრდა აფრიკელი ფეხბურთელი შეიძინეს. თუ თითოეულ მათგანს თამაშის საშუალება მიეცა, ამას რა სჯობს, მაგრამ არა მგონია, რომ ასე მოხდეს".

რაც შეეხება თავად "მანჩესტერის" სატრანსფერო პოლიტიკას, სერ ალექსის აზრით, გუნდის პრიორიტეტად როი კინის შემცვლელის მოძებნა უნდა იქცეს.

"ვიცი, რომ ახლა ყველა რუუდ ვან ნისტელროის წასვლაზე საუბრობს, თუმცა მიმაჩნია, რომ ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია როი კინის შემცვლელის პოვნა, ვიდრე იმ ფეხბურთელისა, რომელიც ჰოლანდიელს შეცვლიდა. ვან ნისტელროი კლუბს დატოვებს. მან უკვე სამჯერ მთხოვა ტრანსფერზე დაყენება და მე წინააღმდეგობას არ გავუწევ. ჩემთვის მთავარი პრობლემა ნახევარდაცვაა. როდესაც კარგავ ისეთ ფეხბურთელს, როგორიც როი კინია, ძნელია მისი სრულფასოვანი შემცვლელის პოვნა. ახლა ჩვენი მთავარი მიზანი სწორედ ძლიერი საყრდენი ნახევარმცველის შეძენაა. სამწუხაროდ, ჯერაც ვერ შევძელით როის დონის ფეხბურთელის ნახვა".

# რაგბული ლოგიკით



პორტუგალიასთან გადამწყვეტ მატჩში პირველი ნომრები ვათამაშეთ.

**თვენახევარი რომ გავიდა მორაგბე ბორჯღალოსანთა ბოლო ტესტიდან და უახლოეს რკენამდეც ორთვენახევარი რჩება, უპრიანად გვეჩვენება თვალი გადავავლოთ ნაკრების მიერ 2005-06 წლების ევროპულ სეზონში გადახდილ ბრძოლებს და 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევებისთვის მზადყოფნა შევაფასოთ.**

თავიდანვე ვთქვათ, რომ წინა, ჩაფლავებული მსოფლიო თასის შემდეგ გუნდის გადახალისება გეგმით მიდის. ახალმა ქართველმა მწვრთნელებმა ერთი წელი ექსპერიმენტები ატარეს. შემდეგ კი, ბირთვი ხომ ჩამოქნეს და როგორც კი შანსი მიეცათ, მარქაფაც გამოსცადეს, რამაც რამდენიმე მზარდი მოთამაშეც წარმოაჩინა.

სატურნირო შედეგიც რიგიანი გვაქვს. ბორჯღალოსნებმა ერთა თასზე უპრობლემოდ დაიკავეს მეორე ადგილი (ჩემპიონმა რუმინეთმა ორი პირადი რკენის ჯამური ანგარიშითღა გვაჯობა) და მსოფლიო თასზე თუ პირველივე ცდით, რუმინეთის გარეთ ძლევით ვერ გავლენ, ორი შანსი კიდევ მიეცემათ და მეორით უეჭველად მოიპოვებენ საგზურს.

არადა, სეზონი უკუღმართად დაიწყო და მერე კიდევ ორჯერ შეგვახსენა თავი. ნოემბერში რაგბის მახვშთა ყოვლად უაზრო წამოწყების, "კოპას" პროგრამით ურუგვაი უნდა გვწვეოდა, მაგრამ ესპანეთში ჩამოსული აქეთ აღარ გადმოფრინდა. ამის გამო თასი პორტუგალიამ მიითვისა, ურუგვაი არ დასჯილა, ჩვენს ბიჭებს კი გული ხომ გაუტყდათ და რაგბის კავშირმაც გუნდის ტყუილუბრალოდ შეკრების გამო იზარალა.

ურუგვაის შატალოს ვალში ირბ-მ იაპონიაში მიგვავლინა და ვაკეშიც ბარბაროსები გვაწვია, მაგრამ ორივე ღონისძიება წყალწყალა იყო: ჯერ ერთი, მამებმა ბორჯღალოსანთა კადნიერ ფრანგ პატრონებს თითი არ დაუქნიეს და ამის გამო არათუ საუკეთესო რაზმი ვერ შევკრიბეთ, ოსაკაში კაცნაკლულებმაც კი ვიტესტეთ, მსოფლიო ნაკრების ვიზიტი კი ფეხბურთის მსოფლიო თასმა ხომ უმალვე დაავიწყა საზოგადოებას და რაგბის კავშირსაც იმხელა ხარჯი დააწვა, რომ ფინანსურ კრიზისს თურმე კიდევ ერთი თვე თავს ვერ დააღწევს.

საუკეთესო შემადგენლობა ვერც უკრაინაში და ჩეხეთში წავიყვანეთ. ორივე მასპინძელმაც თავი გადადო და გვეომა, მაგრამ უპირატეს კლასთან მაინც ვერაფერს გახდა. სამაგიეროდ, ერთა თასის სამ გადამწყვეტ მატჩში (რუსეთი, რუმინეთი, პორტუგალია) ერთიანად პირველი ნომრები ვათამაშეთ და იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ოქტომბერ-ნოემბერში, მსოფლიო თასის შესარჩევებშიც ფრანგთა ხუშტურების გამო არავინ დაგვაკლდება.

რუსეთსა და პორტუგალიას (ანუ ნოემბერის შესარჩევებში ჩვენს სავარაუდო მეტოქეებს) ბორჯღალოსნებმა უსასტიკესი მარცხები აგემეს. მომავალ რკენათა წინ უდავო ფსიქოლოგიური ფორა მოიპოვეს და გემრიელი, ალალად ქართული რაგბითაც გაახარეს მაყურებელი. რუმინეთთან ვერ ვივარგეთ იმის მიუხედავად, რომ პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა გვქონდა.

დაგვღუპა ჩვენივე სიჯიუტემ, ტაქტიკურმა მოუქნელობამ და სულსწრაფობამ: იმის ნაცვლად, რომ ჯარიმები კარში დაგვერტყა და ანგარიში გაგვეთანაბრებინა, რვა წუთი მეტოქის ლელოს ვუტრიალეთ, მაგრამ მსაჯმა დამიწება არ ჩაგვითვალა და შეტევაში გართულები ბოლოს რომ დაგვაჯარიმა კიდეც, ჩვენმა მტარვალმა პეტრე მიტუმ ზურგში გადაგვიკიდა ბურთი.

ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა, შემოდგომაზე ბორჯღალოსნები ნაღდად მკაცრად მიყვებიან რაგბულ ლოგიკას.

**მასალა მომზადებულია საიტზე:**
**http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm**

# ამსტერდამიდან მოდის ქარავანი...





ავტორალი "ამსტერდამი - პეკინი" საქართველოში შემოგორდა.

ბიბა ბურასაშვილი

*მანქანები ისეთები, რომლებზეც იოცნებებდნენ ან ისურვებდნენ. ისეთები, რომელზეც უარს ვერ იტყოდნენ ისინი, ვისაც ჰყავს ან არ ჰყავს მანქანა. ნებისმიერ შემთხვევაში, ავტომობილებია ისეთი, რომლის ხილვაც ნამდვილად ღირს. ევროპული, ბრიტანული, ამერიკული, შვედური მანქანათმშენებლობის გიგანტები, რომლებმაც გუშინ დილით გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი და საღამოს თბილისში შემოვიდნენ. ერთი სიტყვით, ისეთი მანქანები, რომელთა დახასიათება შეიძლება ერთ სიტყვაში ჩაატიო - ნოსტალგიური. ლეგენდარული საკოლექციო ავტომობილებისგან შემდგარი ავტორალი "ამსტერდამი - პეკინი" საქართველოში შემოიჭრა.*

ქარავნის მოლოდინში სადღაც წეროვანთან, შარაგზაზე დავბანაკდით. დაახლოებით სამსაათიანი დგომის შემდეგ რამდენჯერმე ჩაჩხაკუნდა ჩვენი ფოტორეპორტიორის აპარატი. მერე უკან, თბილისისკენ დავიძარით და "ავტოფარეხს" - "შერატონ მეტეხი პალასს" მივადექით. ადგილს, სადაც უნიკალურ ავტომობილთა მეპატრონენი და მათი თანმხლებნი ღამის გასათევად შეჩერდნენ.

"როლს როისი", "ბენტლი", "იაგუარი" "მერსედესი" BMW, "პორშე", "ფოლკსვაგენი" "დოდჯი", "სიტროენი", "ვოლვო"... აჭრელებულები გადასაკრავებით, რუკებით, დროშებით, ნარინჯისფერი ტიტებით და, ვინ იცის, კიდევ რით. ბუნებრივიცაა: ქარავანი ჰოლანდიიდან - ტიტების ქვეყნიდან დაიძრა. გზა დიდი აქვთ - საქართველოს გავლით ჩინეთამდე.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ავტორალი "ამსტერდამი - პეკინი" აბრეშუმის გზაზე გადის. რბოლის მონაწილეებმა ერთ თვეში 14 ქვეყანა უნდა გადაკვეთონ და A წერტილიდან B წერტილამდე - ამსტერდამიდან პეკინამდე დაახლოებით 17500 კილომეტრი უნდა დაფარონ.

ჰოლანდიის დედაქალაქიდან დაძრული ქარავანი 100 საკოლექციო ავტომობილისგან შედგება. გუშინ დილით მათ სარფის საზღვარი გადმოკვეთეს და საქართველოს ტერიტორიაზე 590 კილომეტრის გავლას შეუდგნენ.

რაც მთავარია, ავტორალის მონაწილე ყველა მანქანა გამოშვებულია 1977 წლამდე და საკოლექციო ნიმუშია. მათ შორის ყველაზე "უხუცესი" 1947 წელს გამოშვებული "ბენტლია", ხოლო ყველაზე ძვირად ღირებული - "მერსედეს ბენცი", რომელიც 329 ათას ევროდ ყოფილა შეფასებული!

უშუალოდ ჰოლანდიელი მრბოლებისგან შემდგარი ქარავანი მარტო არ არის. მათ ახლავთ ევროპის, შუა აზიისა და ჩინეთის 15-მდე ტელეარხი, რომლებიც პირდაპირ ჩართვებს ახორციელებენ ყველა იმ ქვეყნიდან, რომელსაც გაივლიან ავტორალის მონაწილენი.

ესეც ერთი ნაბიჯი ინტეგრაციისკენ. ეს ნაბიჯი თუ ახირება ჰოლანდიელებისგან მოდის, რომლებიც ევროპული გზატკეცილებიდან საქართველოში "კავკაზუს თრეველის" დახმარებით კავალკადად შემოიჭრნენ.

რა ნახეს გზად? შეჩერდნენ ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. ეს გუშინ. დღეს კი ლაგოდეხის საზღვრის გავლით დატოვებენ საქართველოს. თუ უკვე არ დატოვეს...

